

დოკუმენტის ქართულენოვანი თარგმანი მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ - ENIGMMA 2-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 30 დეკემბრის რეგულაცია (EU) 2017/2226

შესვლა/გასვლის სისტემის („EES“) შექმნის შესახებ, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის და შესვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ მონაცემთა აღსარიცხად, რომლებიც კვეთენ წვერი სახელმწიფოების გარე საზღვრებს, ასევე, სამართალდაცვითი მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პირობების დადგენის თაობაზე და შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციასა და (EC) No 767/2008 და (EU) No 1077/2011 რეგულაციებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით

ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო

ითვალისწინებს რა ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას და, კერძოდ, 77(2)(ბ) და (დ) და 87(2)(ა) მუხლებს,

ითვალისწინებს რა ევროპული კომისიის წინადადებას,

გადაეცა რა საკანონმდებლო აქტის სამუშაო ვერსია ეროვნულ პარლამენტებს,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას (1);

გაიარა რა კონსულტაცია რეგიონების კომიტეტთან,

მოქმედებს რა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად (2),

იმის გათვალისწინებით, რომ:

- (1) თავის 2008 წლის 13 თებერვლის კომუნიკაციაში, სახელწოდებით „ევროპის კავშირში საზღვრის მართვის შემდგომი ნაბიჯების მომზადება“, კომისიამ აღნიშნა ევროკავშირის საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის ფარგლებში შესვლა/გასვლის სისტემის („EES“) შექმნის საჭიროება. EES ელექტრონულად აღრიცხავს მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის დროსა და ადგილს, რომლებიც წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაუშვებს მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით, ასევე, ითვლის მათი ყოფნის ნებადართულ ხანგრძლივობას.
- (2) 2008 წლის 19 და 20 ივნისის ევროპულმა საბჭომ ხაზი გაუსვა განგრძობადი მუშაობის მნიშვნელობას ევროკავშირის საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის

შემუშავებაზე, მათ შორის, გარე საზღვრების მართვის გაუმჯობესებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების უკეთესი გამოყენების კუთხით.

- (3) თავის 2009 წლის 10 ივნისის კომუნიკაციაში, სახელწოდებით „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცე, რომელიც ემსახურება მოქალაქეებს“, კომისიამ ადვოკატირება გაუწია ელექტრონული სისტემის დაარსებას, რომლითაც გარე საზღვრებზე აღრიცხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა და გასვლა. სისტემის მიზანია აღნიშნულ ტერიტორიებზე წვდომის უფრო ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა.
- (4) 2011 წლის 23 და 24 ივნისის ევროპულმა საბჭომ გააკეთა მოწოდება, რომ „ჭკვიან საზღვრებზე“ მუშაობის პროცესი სწრაფად უნდა წაიწიოს წინ. 2011 წლის 25 ოქტომბერს კომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკაცია, სახელწოდებით „ჭკვიანი საზღვრები — ალტერნატივები და გზა წინსვლისკენ“.
- (5) 2014 წლის ივნისში მიღებულ სტრატეგიულ სახელმძღვანელოში ევროპულმა საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ შენგენის ზონა — რომელიც ადამიანებს შიდა სასაზღვრო კონტროლის გარეშე მოგზაურობის შესაძლებლობას აძლევს — და ევროკავშირში მოგზაურთა რიცხვის ზრდა მოითხოვს ევროკავშირის საერთო გარე საზღვრების ქმედით მართვას ძლიერი დაცვის უზრუნველსაყოფად. მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირმა მობილიზება უნდა გაუკეთოს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი ამოცანის შესრულებაში მხარდასაჭერად. ამ მიზნით, ხარჯეფექტიანად უნდა განხორციელდეს გარე საზღვრების ინტეგრირებული მართვის მოდერნიზაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზღვრის ჭკვიანური მართვა, მათ შორის, შესვლა-გასვლის სისტემის გამოყენებითა და ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემებისთვის შექმნილი ახალი სააგენტოს (eu-LISA) მხარდაჭერით.
- (6) თავის 2015 წლის 13 მაისის კომუნიკაციაში სახელწოდებით „ევროპის მიგრაციის დღის წესრიგი“, კომისიამ აღნიშნა, რომ „ჭკვიანი საზღვრების“ ინიციატივასთან ერთად, დადგებოდა ახალი ფაზა, რაც გულისხმობს საზღვრის გადაკვეთის ეფექტიანობის გაზრდას, მესამე ქვეყნის კეთილსინდისიერ მოგზაურთა უმეტესობისთვის საზღვრის გადაკვეთის გამარტივებას და, ამავდროულად, არარეგულარული მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ყველა ტრანსსასაზღვრო მოძრაობის აღრიცხვის გზით, პროპორციულობის პრინციპის სრული დაცვით.
- (7) გარე საზღვრების მართვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და, კერძოდ, წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებადართული ყოფნის პერიოდთან დაკავშირებულ დებულებებთან შესაბამისობის დასადგენად, უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის დროსა და ადგილს, რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაუშვებს მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით, ასევე, ითვლის მათი ნებადართული ყოფნის ვადას. მან უნდა ჩაანაცვლოს მესამე ქვეყნის მოქალაქეების პასპორტებში შტამპის დასმის ვალდებულება, რომელიც ვრცელდება ყველა წევრ სახელმწიფოზე.

- (8) აუცილებელია განისაზღვროს EES-ის მიზნები, მასში შესაყვან მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა გამოყენების მიზნები და შეყვანის კრიტერიუმები, მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი ორგანოები, მონაცემთა დამუშავებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის დამატებითი წესები, ასევე, EES-ის ტექნიკური არქიტექტურა, მუშაობისა და გამოყენების წესები და სხვა საინფორმაციო სისტემებთან ფუნქციონალური თავსებადობა. ასევე აუცილებელია EES-ში პასუხისმგებლობების განსაზღვრა.
- (9) EES უნდა გავრცელდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაუშვებს მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით. ის ასევე უნდა გავრცელდეს მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებზე, რომელთაც უარი ეთქვათ მოკლე ვადით შესვლაზე.
- (10) EES უნდა ფუნქციონირებდეს იმ წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებზე, სადაც სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*). სასურველია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), EES-ის მუშაობის დაწყებისთვის იგი სრული მოცულობით ამოქმედონ. მაგრამ თუ EES-ის მუშაობის დაწყებისას შიდა საზღვრების კონტროლი სრულად გაუქმებული არ იქნება, აუცილებელი გახდება, რომ იმ წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) სრულად არ მოქმედებს, განსაზღვრონ EES-ის მუშაობის პირობები. ასევე, საჭირო გახდება შიდა საზღვრებზე EES-ის მუშაობასა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული დებულებების დამტკიცება იმ სახელმწიფოებში, სადაც კონტროლი ჯერ კიდევ არ იქნება გაუქმებული.

რაც შეეხება EES-ის მუშაობის პირობებს — ის უნდა ფუნქციონირებდეს იმ წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებზე, რომლებიც ჯერ სრული მოცულობით არ იყენებენ შენგენის კანონმდებლობას (*Schengen acquis*), მაგრამ რომლებმაც წარმატებით გაიარეს შემოწმება შენგენის შესაბამისი შეფასების პროცედურის მიხედვით, რომლებსაც EES-ის გამოყენების მიზნით მიენიჭათ პასიური წვდომა საბჭოს 2004/512/EC (3) გადაწყვეტილებით დადგენილ ვიზის საინფორმაციო სისტემაზე (VIS) და სადაც რელევანტური მიერთების აქტის შესაბამისად ძალაში შევიდა შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) ის დებულებები, რომლებიც შეეხება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს No. 1987/2006 რეგულაციის (4) საფუძველზე შექმნილ შენგენის საინფორმაციო სისტემას (SIS). რაც შეეხება იმ წევრი სახელმწიფოების მიერ EES-ის მუშაობასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლებიც აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებენ, EES უნდა ფუნქციონირებდეს ყველა იმ წევრი სახელმწიფოს შიდა საზღვრებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუქმებიათ კონტროლი. თუმცა, ასეთ საზღვრებზე EES-ის მუშაობასა და გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა მოქმედებდეს კონკრეტული დებულებები, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სასაზღვრო შემოწმების გავლენა ამ საზღვრებზე ისე, რომ ამავდროულად გავლენა არ მოახდინოს უსაფრთხოების დონეზე, EES-ის სათანადო ფუნქციონირებაზე და სასაზღვრო კონტროლთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/399 რეგულაციით (5).

- (11) ამ რეგულაციის მიზნებისთვის, მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნებადართული მოკლევადიანი ყოფნის ვადა განისაზღვრება მოქმედი შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) შესაბამისად.
- (12) EES უნდა მოიცავდეს ავტომატიზებულ კალკულატორს. ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90-დღიანი ზოგადი ლიმიტის გამოსათვლელად, ავტომატიზებული კალკულატორი უნდა ითვალისწინებდეს იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნის ვადებს, სადაც EES ფუნქციონირებს. აღნიშნული ზედა ზღვრის გამოსათვლელად, მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შემდგომი შესვლისას გასათვალისწინებელია ნებადართული ყოფნის ვადის ნებისმიერი გაგრძელება. იმ წევრ სახელმწიფოებში ყოფნის ვადები, რომლებიც ჯერ არ იყენებენ EES-ს, უნდა დაითვალოს ცალკე, მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამგზავრო დოკუმენტებში დასმული შტამპების საფუძველზე.
- (13) ავტომატიზებულმა კალკულატორმა უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნის ვადები, სადაც მართალია შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) სრულად არ მოქმედებს, მაგრამ ფუნქციონირებს EES შემდეგი მიზნებისთვის: ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90-დღიან საერთო ლიმიტთან შესაბამისობისა და შენგენის მოკლევადიანი ვიზის მოქმედების ვადის დადგენა. ავტომატიზებული კალკულატორი არ უნდა ითვლიდეს მოკლევადიან ყოფნას იმ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული მოკლევადიანი ეროვნული ვიზის საფუძველზე, სადაც ჯერ სრული ფარგლებით არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ ფუნქციონირებს EES.
- (14) უნდა განისაზღვროს კონკრეტული წესები EES-ის შემუშავებასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობების, ასევე, წევრი სახელმწიფოების EES-თან დაკავშირებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შესახებ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) No. 1077/2011 რეგულაციით (6) შექმნილი თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპული სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ რეგულაციის შესაბამისად ცენტრალიზებული EES-ის შემუშავებასა და ფუნქციონალურ მართვაზე. ამრიგად, შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს (EU) No. 1077/2011 რეგულაციაში.
- (15) EES-ის მიზნები უნდა იყოს გარე საზღვრების მართვის გაუმჯობესება, არარეგულარული იმიგრაციის პრევენცია და საიმიგრაციო ნაკადების მართვის ხელშეწყობა. EES-მა საჭიროებისამებრ ხელი უნდა შეუწყოს ნებისმიერი იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებადართული ყოფნის ვადასთან დაკავშირებით დადგენილ პირობებს. გარდა ამისა, EES-მა ხელი უნდა შეუწყოს ტერორისტული და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთას, გამოვლენასა და გამოძიებას.
- (16) EES უნდა მოიცავდეს ცენტრალური სისტემას (EES-ის ცენტრალური სისტემა), რომელსაც აქვს: ბიომეტრიული და ასო-ციფრული მონაცემების კომპიუტერიზებული ცენტრალურ მონაცემთა ბაზა; საერთო ეროვნული ინტერფეისი თითოეულ წევრ სახელმწიფოში; უსაფრთხო კომუნიკაციის არხი EES-ის ცენტრალურ სისტემასა და ვიზის ცენტრალურ

საინფორმაციო სისტემას (VIS-ის ცენტრალური სისტემა) შორის; და უსაფრთხო და დაშიფრული კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა EES-ის ცენტრალურ სისტემასა და ერთიან ეროვნულ ინტერფეისებს შორის. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ თავისი საზღვრის ეროვნული ინფრასტრუქტურა დაცული გზით უნდა დაუკავშიროს საერთო ეროვნულ ინტერფეისს. სტატისტიკის წარმოებისა და ანგარიშგების მიზნით, ცენტრალურ დონეზე უნდა შეიქმნას მონაცემთა საცავი. უნდა შეიქმნას ვებმომსახურება ნებისმიერ დროს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ნებადართული ყოფნის დარჩენილი ვადის დასადასტურებლად. ვებმომსახურება ასევე შესაძლებლობას უნდა აძლევდეს სატრანსპორტო ოპერატორებს, შეამოწმონ ერთი ან ორი შესვლის უფლებით გაცემული შენგენის მოკლევადიანი ვიზის მფლობელმა მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა უკვე გამოიყენეს თუ არა თავიანთი ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობა. ვებმომსახურების შემუშავების ეტაპზე საჭიროა კონსულტაციის გავლა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან. სატრანსპორტო ოპერატორების ვებსერვისზე წვდომის ტექნიკური პირობების დადგენისას, მაქსიმალურად უნდა შემცირდეს გავლენა მგზავრის მოგზაურობასა და სატრანსპორტო ოპერატორებზე. ამ მიზნით, განსახილველია სათანადო ინტეგრაცია შესაბამის სისტემებთან.

(17) EES-ისა და VIS-ის შორის ფუნქციონალური თავსებადობა უნდა დაინერგოს VIS-სა და EES-ის ცენტრალურ სისტემებს შორის პირდაპირი საკომუნიკაციო ხაზის შექმნით, რათა EES-ით მოსარგებლე მესაზღვრეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ: შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერების შექმნის ან განახლების მიზნით, გაეცნონ VIS-ს ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების გადმოსატანად; შეამოწმონ ვიზის მოქმედება და ვიზის მფლობელის ვინაობა პირდაპირ VIS სისტემაში ანაბეჭდების მოძებნით იმ საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES; და ანაბეჭდების გამოყენებით VIS-ში შეამოწმონ ვიზის მოთხოვნისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების ვინაობა. ფუნქციონალურმა ფუნქციონალური თავსებადობამ მესაზღვრეებსა და სავიზო ორგანოებს ასევე შესაძლებლობა უნდა მისცეს, სავიზო განაცხადების განხილვისა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის, VIS-ის გამოყენებით პირდაპირ შეამოწმონ EES, ასევე, ვიზის ანულისების, გაუქმების ან გაგრძელების შემთხვევაში, სავიზო ორგანოებს შეუქმნას EES-ში არსებული ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების განახლების შესაძლებლობა. ამრიგად, შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No. 767/2008 რეგულაციაში (7). შესაბამისი ორგანოს მიერ ოპერაციის ჩაშვების შემდეგ, VIS-იდან ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების გადმოტანა, მათი EES-ში იმპორტირება და VIS-დან EES-ში მონაცემთა განახლება ავტომატიზებული პროცესი უნდა იყოს. EES-სა და VIS-ს შორის ფუნქციონალური თავსებადობის დანერგვისას დაცული უნდა იყოს მიზნის შეზღუდვის პრინციპი.

(18) ამ რეგულაციით უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოების ის უფლებამოსილი ორგანოები, რომელთაც — EES-ის სპეციალური მიზნებისთვის და თავიანთ ამოცანათა

შესასრულებლად საჭირო ფარგლებში — ექნებათ EES-ზე წვდომა მონაცემთა შესაყვანად, შესაცვლელად, წასაშლელად ან სანახავად.

- (19) EES-ის მონაცემთა ნებისმიერი დამუშავება უნდა იყოს მიზნის პროპორციული და აუცილებელი უფლებამოსილი ორგანოების ამოცანათა შესასრულებლად. EES-ის გამოყენებისას, უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს იმ პირთა ადამიანური ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემა, რომელთა მონაცემებიც არის მოთხოვნილი, და არ უნდა მოახდინონ პირთა დისკრიმინაცია სქესის, რასის, კანის ფერის, ეროვნების ან სოციალური წარმოშობის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, საკუთრების, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.
- (20) EES-მა უნდა აღრიცხოს და დაამუშაოს ასო-ციფრული და ბიომეტრიული მონაცემები უმთავრესად გარე საზღვრების მართვის გაუმჯობესების, არარეგულარული იმიგრაციის აღკვეთისა და საიმიგრაციო ნაკადების მართვის გამარტივებისათვის. გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს EES-ის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა ტერორისტული და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნით, მხოლოდ ამ რეგულაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ბიომეტრიკის გამოყენება, მოგზაურთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე მისი გავლენის მიუხედავად, გამართლებულია ორი მიზეზით. პირველი, ბიომეტრიკა არის მესამე ქვეყნის მოქალაქეების იდენტიფიცირების სანდო მეთოდი, რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არიან, თუმცა არ ფლობენ სამგზავრო დოკუმენტს ან იდენტიფიკაციის სხვა საშუალებას — რაც გავრცელებულია არარეგულარული მიგრანტების შემთხვევაში. მეორე, ბიომეტრიკა იძლევა კეთილსინდისიერ მოგზაურთა შესვლისა და გასვლის მონაცემების უფრო სანდოდ დაზუსტების შესაძლებლობას. დაქტილოსკოპიურ მონაცემებთან ერთად სახის გამოსახულებათა გამოყენებით შესაძლებელია შემცირდეს თითის ანაბეჭდების ის საერთო რაოდენობა, რომელთა რეგისტრაციაც საჭიროა, და ამვდროულად მივიღოთ იდენტიფიკაციის თვალსაზრისით იმავე სიზუსტის შედეგები.
- (21) ზუსტი შემოწმებისა და იდენტიფიკაციის მიზნით, თუ ფიზიკურად შესაძლებელია, EES-ში უნდა დარეგისტრირდეს ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქის ოთხი თითის ანაბეჭდი. ეს უზრუნველყოფს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე უკვე არ იყოს დარეგისტრირებული სხვა ვინაობით ან სამგზავრო დოკუმენტით და რომ ხელმისაწვდომი იყოს საკმარისი მონაცემები თითოეულ შემთხვევაში EES-ის მიზნების შესასრულებლად. ვიზის მფლობელი მესამე ქვეყნის მოქალაქეების ანაბეჭდები უნდა შემოწმდეს VIS-ში. EES-ში უნდა დარეგისტრირდეს როგორც ვიზისგან გათავისუფლებული, ისე ვიზის მფლობელი მესამე ქვეყნის მოქალაქეების სახის გამოსახულება. თითის ანაბეჭდები ან სახის გამოსახულებები გამოყენებულ უნდა იქნას ბიომეტრიულ იდენტიფიკატორებად მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების ვინაობის შესამოწმებლად, რომლებიც ადრე უკვე დარეგისტრირდნენ EES-ში — თუ

ინდივიდუალური მონაცემები არ წაშლილა. თითოეული სასაზღვრო პუნქტისა და სხვადასხვა ტიპის საზღვრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეროვნულმა ორგანოებმა თითოეულ სასაზღვრო პუნქტთან მიმართებით უნდა განსაზღვრონ, საჭირო შემოწმებისთვის მთავარ ბიომეტრიულ იდენტიფიკატორად უნდა გამოიყენონ თუ არა თითის ანაბეჭდები ან სახის გამოსახულება.

- (22) ტერორისტულ და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულებთან ბრძოლის თვალსაზრისით, აუცილებელია, რომ დანიშნული ორგანოები საკუთარი ამოცანების შესასრულებლად ფლობდნენ უახლეს ინფორმაციას. სამართალდაცვის მიზნებისთვის, VIS-ის მონაცემებზე წვდომამ უკვე დაადასტურა თავისი სარგებლიანობა ძალადობრივად გარდაცვლილ პირთა იდენტიფიცირებით, ასევე, გამომძიებელთა დახმარების მხრივ, არსებითი პროგრესისთვის მიეღწიათ ადამიანებით ვაჭრობასთან, ტერორიზმთან ან ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საქმეებში. EES-ის მონაცემებზე წვდომა აუცილებელია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/541 დირექტივით (8) განსაზღვრული ტერორისტული დანაშაულების ან საბჭოს 2002/584/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებით (9) დადგენილი სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიებისთვის. შესაძლებელი უნდა იყოს EES-ის მონაცემების, როგორც ვინაობის შემოწმების ინსტრუმენტის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როგორცაა მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ თავისი დოკუმენტების განადგურება და დანიშნული ორგანოების მიერ დანაშულის გამოძიება თითის ანაბეჭდების ან სახის გამოსახულებების გამოყენებით, პირის ვინაობის შესამოწმებლად. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ამ მონაცემების მტკიცებულებათა შეგროვების ინსტრუმენტად გამოყენება — დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ან მსხვერპლის მოძრაობის მარშრუტის შედგენის გზით. ამრიგად, EES-ის მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოებისთვის და ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს (EU) 2016/794 რეგულაციით (10) შექმნილი ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთვის („ევროპოლი“), ამ რეგულაციით განსაზღვრული პირობებითა და შეზღუდვებით.

ტერორისტულ და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულთა აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიების მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პირობები უნდა იყოს იმგვარი, რომ წევრი სახელმწიფოების დანიშნულ ორგანოებს მისცეს შესაძლებლობა, გაუმკლავდნენ მრავალი ვინაობით მოსარგებლე ეჭვმიტანილთა საქმეებს. ამ მიზნით, EES-ზე წვდომა არ უნდა შეიზღუდოს იმ საფუძვლით, რომ EES-ზე წვდომამდე შესაბამის მონაცემთა ბაზაში ძიება შედეგით დასრულდა. სამართალდაცვის მიზნებისთვის, ასევე, ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიების მიზნით EES მონაცემთა ბაზაში ძიება პროპორციულად უნდა იქნას მიჩნეული, თუ არსებობს საჯარო უშიშროების აღმატებული ინტერესი. ნებისმიერი ძიება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და შესაბამისი ინტერესის პროპორციული.

- (23) EES-ის მონაცემების გადამოწმების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულთა აღკვეთაზე, გამოვლენაზე ან გამოძიებაზე პასუხისმგებელ იმ დანიშნულ ორგანოებს, რომელთა მიმართებიდაც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გარანტირება, რომ გამოყენებული იქნება ამ რეგულაციის, ასევე, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/680 დირექტივის (11) ყველა დებულება და შესაძლებელი იქნება უფლებამოსილი ორგანოების — მათ შორის, (EU) 2016/680 დირექტივის საფუძველზე შექმნილი სახედამხედველო ორგანოს — მიერ აღნიშნულ დებულებათა სწორი გამოყენების შემოწმება.
- (24) ევროკავშირის მასშტაბით დანაშაულის აღკვეთის ხელშეწყობით, ასევე, ანალიზისა და გამოძიების ჩატარების გზით, ევროპოლი თამაშობს მთავარ როლს წევრი სახელმწიფოების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო დანაშაულის გამოძიების სფეროში თანამშრომლობის კუთხით. შედეგად, ევროპოლს უნდა ჰქონდეს წვდომა EES-ზე თავისი ამოცანების ფარგლებში და (EU) 2016/794 რეგულაციის შესაბამისად. ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი მონიტორინგს უნდა უწევდეს ევროპოლის მიერ მონაცემთა დამუშავებას და უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის წესებთან სრული შესაბამისობა.
- (25) ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიების მიზნით EES-ზე წვდომა წარმოადგენს იმ პირთა პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითად უფლებებში ჩარევას, რომელთა პერსონალური მონაცემებიც მუშავდება EES-ით. ნებისმიერი ასეთი ჩარევა უნდა იყოს კანონის შესაბამისი; საკმარისი სიზუსტით ფორმულირებული, რომ ინდივიდებს თავიანთი ქცევის მორგების შესაძლებლობა ჰქონდეთ; იცავდეს ინდივიდებს თვითნებობისგან და საკმარისი სიცხადით განსაზღვრავდეს უფლებამოსილი ორგანოების დისკრეციის ფარგლებსა და გამოყენების გზებს. გარდა ამისა, აღნიშნულ ძირითად უფლებებში ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს შეზღუდული იმ მოცულობით, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური და პროპორციული ინტერესის დასაცავად და უნდა იყოს მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.
- (26) საპოლიციო თანამშრომლობის სფეროში არსებითია დაქტილოსკოპიურ კვალზე დაფუძნებულ მონაცემთა შედარება, რომელიც შეიძლება დანაშაულის ადგილზე იპოვონ („ლატენტური თითის ანაბეჭდი“). ისეთ საქმეებში, სადაც არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ დამნაშავე ან მსხვერპლი შეიძლება EES-ში იყოს დარეგისტრირებული, ლატენტური თითის ანაბეჭდის EES-ში დაცულ დაქტილოსკოპიურ მონაცემებთან შედარების შესაძლებლობა აუცილებელია წევრი სახელმწიფოს დანიშნული ორგანოებისთვის ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, გამოსავლენად ან გამოსადიებლად — მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის ადგილზე ერთადერთი მტკიცებულება ლატენტური თითის ანაბეჭდებია.
- (27) აუცილებელია წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების, ასევე, ცენტრალური წვდომის პუნქტების განსაზღვრა, რომელთა გავლითაც წარედგინება EES-ის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნები; ასევე, დანიშნულ ორგანოებში იმ საოპერაციო განყოფილებების

სიის წარმოება, რომლებიც უფლებამოსილები არიან წარადგინონ ასეთი მოთხოვნა წვდომაზე ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიების კონკრეტული მიზნებისთვის.

- (28) EES-ის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნები დანიშნულ ორგანოებში მოქმედმა განყოფილებებმა უნდა წარუდგინონ ცენტრალური წვდომის პუნქტებს და ასეთი მოთხოვნები უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული. დანიშნული ორგანოების საოპერაციო განყოფილებები, რომლებსაც EES-ის მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ, არ უნდა წარმოადგენდნენ შემოწმების განმახორციელებელ ორგანოებს. ცენტრალური წვდომის პუნქტი უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო ან დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას და, თანამშრომელთა რიცხვისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, შეუძლია ეფექტიანად შეამოწმოს თითოეულ შემთხვევაში დაკმაყოფილებულია თუ არა EES-ზე წვდომის მოთხოვნის პირობები. ცენტრალური წვდომის პუნქტები უნდა მოქმედებდნენ დანიშნული ორგანოებისგან დამოუკიდებლად და იყვნენ პასუხისმგებლები ამ რეგულაციით დადგენილ წვდომის პირობებთან მკაცრი შესაბამისობის დამოუკიდებლად უზრუნველყოფაზე. გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ნაადრევი წვდომა აუცილებელია ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაულთან დაკავშირებულ სპეციალურ და არსებით საფრთხეზე რეაგირებისთვის, ცენტრალური წვდომის ორგანოს უნდა შეეძლოს მოთხოვნის დაუყოვნებლივ დამუშავება და შემოწმების პროცესის მოგვიანებით ჩატარება.
- (29) პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სისტემატური ძიებების გამორიცხვის მიზნით, EES-ის მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში და მაშინ, როცა ეს აუცილებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიებისთვის. განსაზღვრულმა ორგანოებმა და ევროპოლმა EES-ზე წვდომა უნდა მოითხოვონ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გონივრული საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ ასეთი წვდომა მათ უზრუნველყოფს ინფორმაციით, რომელიც არსებითად დაეხმარებათ ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიების პროცესში.
- (30) გარდა ამისა, ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის უცნობი ეჭვმიტანილების, დამნაშავეების ან მსხვერპლთა იდენტიფიცირებისთვის EES-ზე წვდომა დაშვებულ უნდა იქნას იმ პირობით, რომ ძიება უკვე განხორციელდა წევრი სახელმწიფოების ეროვნულ მონაცემთა ბაზებში და სრულად ჩატარდა ძიება ყველა სხვა წევრი სახელმწიფოს თითის ანაბეჭდით ავტომატური იდენტიფიცირების სისტემებში, საბჭოს 2008/615/JHA გადაწყვეტილების (12) შესაბამისად, ან ძიება სრულად არ ჩატარებულა ჩაშვებიდან ორი დღის განმავლობაში.
- (31) პერსონალურ მონაცემთა ეფექტიანი შედარებისა და მიმოცვლის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა სრულად უნდა დანერგონ და გამოიყენონ პერსონალურ მონაცემთა გაცვლასთან დაკავშირებული არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე, ევროკავშირის უკვე მოქმედი სამართალი, კერძოდ, 2008/615/JHA გადაწყვეტილება.

- (32) EES-ში დაცული პერსონალური მონაცემები არ უნდა იქნას შენახული იმაზე მეტხანს, ვიდრე მკაცრად აუცილებელია ამ მონაცემთა დამუშავების მიზნებისთვის. სასაზღვრო მართვის მიზნებისთვის, საკმარისია EES-ში მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებთან დაკავშირებული მონაცემების შენახვა სამი წლის ვადით, რომლებმაც დაიცვეს ნებადართული ყოფნის ვადა, რათა აღნიშნული ვადის გასვლამდე თავიდან იქნას აცილებული ამ პირების EES-ში ხელახლა აღრიცხვის აუცილებლობა. შენახვის სამწლიანი ვადა შეამცირებს ხელახლა რეგისტრაციის ხშირ საჭიროებას და სარგებლიანი იქნება ყველა მოგზაურისთვის, ვინაიდან შემცირდება როგორც საზღვრის გადაკვეთის საშუალო დრო, ისე სასაზღვრო პუნქტებზე მოცდის დრო. იმ მოგზაურისთვისაც კი, რომელიც წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მხოლოდ ერთხელ შედის, ის ფაქტი, რომ სხვა მოგზაურები უკვე აღრიცხულები არიან EES-ში და მონაცემთა სამწლიანი შენახვის ვადის გასვლამდე არ სჭირდებათ ხელახალი რეგისტრაცია, შეამცირებს მისი მოცდის დროს სასაზღვრო პუნქტში. მონაცემთა შენახვის სამწლიანი პერიოდი ასევე აუცილებელია საზღვრის გადაკვეთის გამარტივებისა და დაჩქარებისთვის, მათ შორის, ავტომატიზებული და თვითმომსახურების სისტემების გამოყენებით. ასევე ჯეროვანი იქნება მონაცემთა შენახვის სამწლიანი ვადის დაწესება მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებთან მიმართებით, რომლებსაც უარი ეთქვათ მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით შესვლაზე. მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებიც არიან ოჯახის წევრები ევროკავშირის იმ მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004/38/EC დირექტივა (13) ან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის, რომელიც სარგებლობს თავისუფალი გადაადგილების უფლებით ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე, და რომლებიც არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად, ჯეროვანი იქნება თითოეული დაწყვილებული შესვლა/გასვლის ჩანაწერის შენახვა, მაქსიმუმ, ერთი წლის ვადით იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიიდან გასვლის დღიდან, რომლებზეც მიბმულია აღნიშნული ჩანაწერი. მონაცემთა შენახვის შესაბამისი ვადების ამოწურვის შემდეგ, მონაცემები ავტომატურად უნდა წაიშალოს.
- (33) იდენტიფიცირებისა და დაბრუნების პროცედურის ხელშესაწყობად, აუცილებელია მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებთან დაკავშირებული მონაცემების ხუთი წლის ვადით შენახვა, რომლებსაც წევრი სახელმწიფოს ტერიტორია არ დაუტოვებიათ ნებადართული ყოფნის ვადის განმავლობაში. ეს მონაცემები ავტომატურად უნდა წაიშალოს ხუთწლიანი პერიოდის შემდგომ, თუ უფრო ადრე არ წარმოიშობა მათი წაშლის საფუძველები.
- (34) მოგზაურისთვის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის ნებართვის მიცემამდე მესაზღვრის მიერ (EU) 2016/399 რეგულაციით დადგენილი საჭირო რისკების ანალიზის ჩასატარებლად, აუცილებელია მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების პერსონალური მონაცემების შენახვა, რომლებმაც დაიცვეს ნებადართული ყოფნის ვადა; რომლებსაც სამი წლის ვადით უარი ეთქვათ შესვლაზე მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით; ანდა რომლებსაც ნებადართული პერიოდის განმავლობაში ხუთი წელია არ დაუტოვებიათ წევრი სახელმწიფოს ტერიტორია. სავიზო განაცხადების საკონსულო პუნქტებში დამუშავება ასევე მოითხოვს განმცხადებლის სამოგზაურო ისტორიის ანალიზს, რათა შეფასდეს წინა

ვიზების გამოყენება და შემოწმდეს, დაიცვა თუ არა განმცხადებელმა ყოფნის პირობები. პასპორტში შტამპის დასმის გაუქმება კომპენსირდება EES-ის შემოწმებით. ამრიგად, EES-ში ხელმისაწვდომი სამოგზაურო ისტორია უნდა ფარავდეს პერიოდს, რომელიც საკმარისია ვიზის გაცემის მიზნებისთვის.

საზღვარზე და სავიზო განაცხადების დამუშავების დროს რისკის ანალიზის ჩატარებისას უნდა შემოწმდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა სამოგზაურო ისტორია იმის დასადგენად, წარსულში დაარღვია თუ არა პირმა ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ვადა. ამრიგად, აუცილებელია მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების შენახვა ხუთი წლის ვადით, რომლებსაც ნებადართული ყოფნის ვადის შემდეგ არ დაუტოვებიათ წევრი სახელმწიფოს ტერიტორია, რაც მეტია მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების პერსონალურ მონაცემების შენახვის ვადასთან შედარებით, რომლებმაც დაიცვეს ნებადართული ყოფნის ვადა ანდა რომლებსაც უარი ეთქვათ შესვლაზე მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით.

- (35) უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის წესები ამ რეგულაციის ნებისმიერი დარღვევიდან გამომდინარე ზიანისთვის.
- (36) პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის ამ რეგულაციით დადგენილი უფრო სპეციალური წესების მოქმედების შეუზღუდავად, ამ რეგულაციის შესაბამისად წევრი სახელმწიფოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უნდა გავრცელდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/679 რეგულაცია (14), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დამუშავება ხორციელდება წევრი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოების ან ცენტრალური წვდომის პუნქტების მიერ ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოძიების ან გამოვლენის მიზნებისთვის.
- (37) ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოძიების ან გამოვლენის მიზნებისთვის, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის ამ რეგულაციით დადგენილი უფრო სპეციალური წესების მოქმედების შეუზღუდავად, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უნდა გავრცელდეს (EU) 2016/680 დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები.
- (38) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 45/2001 რეგულაცია (15) უნდა გავრცელდეს ევროკავშირის ინსტიტუტების ან ორგანოების საქმიანობაზე, როდესაც ისინი მოვალეობებს ასრულებენ, როგორც EES-ის ფუნქციონალურ მართვაზე პასუხისმგებელი პირები.
- (39) წევრი სახელმწიფოების მიერ ამ რეგულაციის შესაბამისად მოპოვებული პერსონალური მონაცემები არ უნდა გადაეცეს ან ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს რომელიმე მესამე ქვეყნისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ან კერძო დაწესებულებისთვის, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირში ან მის გარეთ. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისის სახით, შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა, როდესაც ასეთი გადაცემა ექვემდებარება

მკაცრ პირობებს და აუცილებელია ინდივიდუალურ შემთხვევებში მესამე ქვეყნის მოქალაქის იდენტიფიცირების ხელშესაწყობად ამ პირის დაბრუნების კონტექსტში. საიმპლემენტაციო აქტის საფუძველზე (EU) 2016/679 რეგულაციის მიხედვით მიღებული შესაბამისობის გადაწყვეტილების ან სათანადო გარანტიების არარსებობისას, რომლებსაც ექვემდებარება გადაცემა აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს გამონაკლის შემთხვევაში, დაბრუნების მიზნებისთვის, EES-ის მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი მნიშვნელოვანი ინტერესების საფუძველით, როგორც ეს გათვალისწინებულია ხსენებული რეგულაციით.

(40) ასევე შესაძლებელი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოების მიერ ამ რეგულაციის შესაბამისად მოპოვებული პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნისთვის გამონაკლის გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ტერორისტულ დანაშაულთან დაკავშირებული გარდაუვალი საფრთხე ან გადაუდებელი საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს, რაც უკავშირდება სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულს. პირის სიცოცხლის გარდაუვალი საფრთხე გაგებულ უნდა იქნას, როგორც საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს ამ პირის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულიდან, როგორცაა სხეულის მძიმე დაზიანება, ადამიანის ორგანოებით და ქსოვილებით უკანონო ვაჭრობა, მოტაცება, თავისუფლების უკანონო შეზღუდვა და მძევლად აყვანა, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და პორნოგრაფია, და გაუპატიურება. ასეთი მონაცემები მესამე ქვეყანას უნდა გადაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილია მომთხოვნი მესამე ქვეყნის მფლობელობაში არსებული შესვლა/გასვლის ჩანაწერების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ორმხრივი მიწოდება იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც იყენებენ EES-ს. შესაძლებელი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოების იმ კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომელთა დანიშნულ ორგანობებსაც აქვთ EES-ზე წვდომა ამ რეგულაციის შესაბამისად, EES-ის მონაცემების გადაცემა იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც არ იყენებენ EES-ს ანდა რომლებზეც არ ვრცელდება ეს რეგულაცია. ინფორმაციის ამგვარი მიწოდება უნდა მოხდეს სათანადოდ მოტივირებული მოთხოვნის საფუძველზე და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის აღკვეთის, გამოვლენის ან გამომიებისთვის. წევრ სახელმწიფოს, რომელიც EES-ს იყენებს, უნდა შეეძლოს ასეთი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილია მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული შესვლა/გასვლის ჩანაწერების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ორმხრივი მიწოდება იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც იყენებენ EES-ს. EES-იდან მოპოვებული ინფორმაციის ყველა შემდგომ მოპყრობაზე ვრცელდება (EU) 2016/680 დირექტივა.

(41) თითოეულ წევრ სახელმწიფოში, (EU) 2016/679 რეგულაციის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანო მონიტორინგს უნდა უწევდეს წევრ სახელმწიფოებში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, ხოლო ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი მონიტორინგს უნდა უწევდეს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და

ორგანოების საქმიანობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტექსტში. ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი და საზედამხედველო ორგანოები ერთმანეთთან უნდა თანამშრომლობდნენ EES-ის მონიტორინგის პროცესში.

- (42) თითოეულ წევრ სახელმწიფოში, (EU) 2016/679 რეგულაციის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანო მონიტორინგს უნდა უწევდეს წევრ სახელმწიფოებში სამართალდაცვის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.
- (43) EU) 2016/679 რეგულაციის შესაბამისად მისაწოდებელი ინფორმაციის გარდა, მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა მონაცემებიც უნდა აღირიცხოს EES-ში, უნდა მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია ამ მონაცემების აღრიცხვის თაობაზე. ინფორმაცია უნდა მიაწოდონ წევრმა სახელმწიფოებმა წერილობით, ნებისმიერი სათანადო საშუალებით, მათ შორის, ბროშურის, პოსტერის ან სხვა სათანადო ელექტრონული საშუალებით.
- (44) ამ რეგულაციის გამოყენების ეფექტიანი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, ეს რეგულაცია უნდა შეფასდეს რეგულარული ინტერვალებით.
- (45) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სანქციებთან დაკავშირებული წესები ამ რეგულაციის დებულებათა შესაბამისი დარღვევებისთვის და უზრუნველყონ მათი დანერგვა.
- (46) ამ რეგულაციის დანერგვის ერთგვაროვანი პირობების უზრუნველსაყოფად, იმპლემენტაციის უფლებამოსილება უნდა გადაეცეს კომისიას. ეს უფლებამოსილება გამოყენებულ უნდა იქნას ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) No 182/2011 რეგულაციის (16) შესაბამისად.
- (47) ამ რეგულაციის მიზნების — კერძოდ, EES-ისა და მონაცემთა გამოყენებასთან დაკავშირებით საერთო ვალდებულებების, პირობებისა და პროცედურების შექმნას — მიღწევას საკმარისი ხარისხით ვერ შეძლებენ წევრი სახელმწიფოები. ქმედების მასშტაბისა და გავლენის გათვალისწინებით, ეს მიზნები უკეთ მიიღწევა ევროკავშირის დონეზე. ამისთვის, ევროკავშირს შეუძლია მიიღოს ზომები სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით, რომელიც დადგენილია ევროკავშირის ხელშეკრულების (TEU) მე-5 მუხლით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, რეგულაცია არ ცდება იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია აღნიშნული მიზნების მისაღწევად.
- (48) EES-ის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ 1985 წლის 14 ივნისის კონვენციაში ბენელუქსის ეკონომიკური კავშირის ქვეყნების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის მათ საერთო საზღვრებზე შემოწმებების თანდათანობითი გაუქმების შესახებ (17) („შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენცია“), უნდა შევიდეს ცვლილებები წევრი სახელმწიფოების მიერ დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებებთან და ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში ნებადართულ 90 დღეზე მეტი ხნით დარჩენასთან დაკავშირებით. EES-ის ზოგად შეფასებაში კომისიამ უნდა შეაფასოს წევრი სახელმწიფოების ორმხრივი ხელშეკრულებების გამოყენება. შეფასების პირველ ანგარიშში კომისიას უნდა შეეძლოს ალტერნატივების განსაზღვრა ასეთი ორმხრივი ხელშეკრულების გამოყენების

თანდათანობით შეწყვეტისა და მათი ევროკავშირის ინსტრუმენტით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

- (49) EES-ის სავარაუდო ხარჯები ნაკლებია ჰკვიანი საზღვრებისთვის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს No. 515/2014 რეგულაციით (18) დადგენილ ბიუჯეტზე. ამრიგად, ამ რეგულაციის მიღების შემდეგ, კომისიამ, No. 515/2014 რეგულაციით განსაზღვრული დელეგირებული აქტის საფუძველზე, ხელახლა უნდა გადაანაწილოს თანხა, რომელიც ამჟამად გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების შემუშავებისთვის გარე საზღვრებზე მიგრანტთა ნაკადების მართვის ხელშესაწყობად.
- (50) წინამდებარე რეგულაცია არ ზღუდავს 2004/38/EC დირექტივის მოქმედებას.
- (51) დანიის პოზიციის შესახებ No. 22 ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლების მიხედვით, რომელიც დაერთვის TEU-სა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, დანია არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და არ შეიბოჭება ან არ დაექვემდებარება მის მოქმედებას. იმის გათვალისწინებით, რომ ეს რეგულაცია ეფუძნება შენგენის კანონმდებლობას (*Schengen acquis*), დანიამ, აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით, საბჭოს მიერ ამ რეგულაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში უნდა გადაწყვიტოს, დანერგავს თუ არა მას ეროვნულ კანონმდებლობაში.
- (52) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას, რომელშიც არ მონაწილეობს გაერთიანებული სამეფო საბჭოს 2000/365/EC გადაწყვეტილების (19) შესაბამისად; ამრიგად, გაერთიანებული სამეფო არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და არ შეიბოჭება ან დაექვემდებარება მის მოქმედებას.
- (53) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას, რომელშიც არ მონაწილეობს ირლანდია საბჭოს 2002/192/EC გადაწყვეტილების (20) შესაბამისად; ამრიგად, ირლანდია არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და არ შეიბოჭება ან დაექვემდებარება მის მოქმედებას.
- (54) რაც შეეხება ისლანდიასა და ნორვეგიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას ევროკავშირის საბჭოს და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც შეეხება ამ ქვეყნების ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან (21), რაც ექცევა საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების (22) 1-ლი მუხლის A ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სფეროში.
- (55) რაც შეეხება შვეიცარიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას ევროკავშირის, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან (23), რაც ექცევა საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების (22) 1-ლი მუხლის A ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სფეროში, საბჭოს 2008/146/EC გადაწყვეტილების (24) მე-3 მუხლთან და საბჭოს 2008/149/JHA გადაწყვეტილების (25) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

- (56) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას ევროკავშირს, ევროპულ თანამეგობრობას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროს შორის გაფორმებული ოქმის ფარგლებში. აღნიშნული ოქმი შეეხება ლიხტენშტეინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან (26), რაც ექცევა საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის A ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სფეროში, საბჭოს 2011/350/EU გადაწყვეტილების (27) მე-3 მუხლსა და საბჭოს 2011/349/EU გადაწყვეტილების (28) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.
- (57) რაც შეეხება კვიპროსს, ბულგარეთს, რუმინეთსა და ხორვატიას, ამ რეგულაციის SIS-თან და VIS-თან დაკავშირებულ დებულებებს აქვთ შესასრულებლად სავალდებულო ძალა ან სხვაგვარად მიემართება შენგენის კანონმდებლობას (*Schengen acquis*) მიერთების შესახებ 2003 წლის აქტის 3(2) მუხლის, მიერთების შესახებ 2005 წლის აქტის 4(2) მუხლისა და მიერთების შესახებ 2011 წლის აქტის 4(2) მუხლის ფარგლებში, საბჭოს 2010/365/EU (29), (EU) 2017/733 (30) და (EU) 2017/1908 (31) გადაწყვეტილებებთან ერთობლიობაში. გარდა ამისა, EES-ის ფუნქციონირება მოითხოვს პასიური წვდომის მინიჭებას VIS-ისთვის და შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) SIS-თან დაკავშირებული ყველა დებულების ძალაში მოყვანას, საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიხედვით. ეს პირობები შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ შენგენის შესაბამისი შეფასების პროცედურის დაცვით შემოწმების წარმატებით გავლის შემდეგ. ამრიგად, EES-ს უნდა იყენებდნენ მხოლოდ ის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც EES-ის ფუნქციონირების დაწყებისთვის აკმაყოფილებენ ამ პირობებს. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ფუნქციონირების თავდაპირველი დაწყებისას არ იყენებენ EES-ს, მას უნდა დაუკავშირდნენ ამ რეგულაციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ყველა ამ პირობის დაკმაყოფილებისთანავე.
- (58) ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან კონსულტაციები ჩატარდა (EC) No 45/2001 რეგულაციის 28(2) მუხლის შესაბამისად და მან მოსაზრება წარმოადგინა 2016 წლის 21 სექტემბერს.
- (59) ეს რეგულაცია ადგენს EES-ზე წვდომის მკაცრ წესებს, ასევე, ამგვარი წვდომისთვის საჭირო გარანტიებს. ის ასევე განსაზღვრავს ინდივიდთა წვდომის, გასწორების, შევსების, წაშლისა და სამართლებრივი დაცვის უფლებებს, კერძოდ კი, უფლებას სასამართლო დაცვის საშუალებაზე, ასევე, დამოუკიდებელი საჯარო ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე ზედამხედველობას. ამრიგად, ეს რეგულაცია პატივს სცემს ძირითად უფლებებს და იცავს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით აღიარებულ პრინციპებს, კერძოდ კი, ადამიანური ღირსების უფლებას, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვას, თავისუფლებისა და უშიშროების უფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას, პერსონალურ მონაცემთა დაცვას, დისკრიმინაციის აკრძალვას,

ბავშვის უფლებებს, მოხუცებულთა უფლებებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციასა და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

(60) ეს რეგულაცია არ ზღუდავს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების მოქმედებას, რომელიც შეივსო ნიუ იორკის 1967 წლის 31 იანვრის ოქმით.

მიიღო წინამდებარე რეგულაცია:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

საგანი

1. რეგულაცია ადგენს „შესვლა/გასვლის სისტემას“ (EES) შემდეგი მიზნებისთვის:

(ა) მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და გასვლის თარიღის, დროისა და ადგილის აღრიცხვა და შენახვა, რომლებიც კვეთენ იმ წევრი სახელმწიფოების საზღვრებს, სადაც ფუნქციონირებს EES;

(ბ) მესამე ქვეყნის ასეთი მოქალაქეებისთვის ნებადართული ყოფნის ხანგრძლივობის გამოთვლა;

(გ) შეტყობინებების გენერირება წევრი სახელმწიფოებისთვის, როდესაც ამოიწურება ნებადართული ყოფნის ვადა;

(დ) მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებისთვის შესვლაზე უარის თქმის თარიღის, დროისა და ადგილის აღრიცხვა და შენახვა, რომლებსაც უარი ეთქვათ შესვლაზე მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით; ასევე, წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც უარი უთხრა შესვლაზე და ასეთი უარის მიზეზები.

2. ტერორისტული ან სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნებისთვის, ეს რეგულაცია ასევე განსაზღვრავს პირობებს, რომელთა მიხედვითაც წევრი სახელმწიფოების დანიშნულ ორგანოებს და ევროპოლს შეუძლიათ EES-ზე წვდომის მოპოვება მონაცემთა გადამოწმების მიზნით.

მუხლი 2

ფარგლები

1. რეგულაცია ვრცელდება შემდეგ პირებზე:

(ა) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოკლე ვადით დაშვებული მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც (EU) 2016/399 რეგულაციის შესაბამისად ექვემდებარებიან სასაზღვრო შემოწმებას იმ საზღვრების გადაკვეთისას, სადაც ფუნქციონირებს EES;

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლისას და მისი დატოვებისას, რომლებიც:

(i) არიან ოჯახის წევრები ევროკავშირის იმ მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა ან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის, რომელიც სარგებლობს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; და

(ii) არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას საბჭოს (EC) No 1030/2002 რეგულაციის (32) საფუძველზე.

2. ეს რეგულაცია ასევე ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთაც (EU) 2016/399 რეგულაციის მე-14 მუხლის შესაბამისად უარი ეთქვათ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით შესვლაზე.

3. ეს რეგულაცია არ ვრცელდება შემდეგ პირებზე:

(ა) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არიან ოჯახის წევრები ევროკავშირის იმ მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა, და ფლობენ ბინადრობის მოწმობას ამ დირექტივის შესაბამისად, იმის მიუხედავად, თან ახლან ან ერთიანდებიან თუ არა ევროკავშირის ამ მოქალაქესთან;

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები არიან, იმის მიუხედავად, თან ახლან ან ერთიანდებიან თუ არა მესამე ქვეყნის ამ მოქალაქესთან, თუ:

(i) მესამე ქვეყნის აღნიშნული მოქალაქე სარგებლობს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

(ii) მესამე ქვეყნის ეს მოქალაქეები ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას საბჭოს (EC) No 1030/2002 რეგულაციის საფუძველზე.

(გ) რომლებიც ფლობენ (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-16 პუნქტში მითითებული ბინადრობის ნებართვას, ამ პარაგრაფის (ა) და (ბ) მუხლებით გათვალისწინებული პირების გარდა;

(დ) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც იყენებენ მობილობის უფლებას ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014/66/EU დირექტივის (33) ან ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/801 დირექტივის (34) შესაბამისად;

(ე) გრძელვადიანი ვიზის მფლობელები;

(ზ) ანდორის, მონაკოსა და სან მარინოს მოქალაქეები და ფლობენ ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს მიერ გაცემულ პასპორტს;

(თ) სასაზღვრო შემოწმებისგან გათავისუფლებული ან სასაზღვრო შემოწმებებთან მიმართებით სპეციალური წესებით მოსარგებლე პირები ან პირთა კატეგორიები, როგორც გათვალისწინებულია (EU) 2016/399 რეგულაციის ნა(3) მუხლის (გ) პუნქტით;

(ი) EU) 2016/399 რეგულაციის ნა(3) მუხლის (ი), (კ), (ლ) და (მ) პუნქტებით განსაზღვრული პირები ან პირთა კატეგორიები.

4. ამ რეგულაციის დებულებები, რომლებიც უკავშირდება ნებადართული ყოფნის ხანგრძლივობის გამოთვლას და ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვისას წვერი სახელმწიფოებისთვის შეტყობინებების გენერირებას, არ ვრცელდება მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც:

(ა) არიან ოჯახის წევრები ევროკავშირის იმ მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა ან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის, რომელიც სარგებლობს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; და

(ბ) არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას საბჭოს (EC) No 1030/2002 რეგულაციის (32) საფუძველზე.

მუხლი 3

განმარტებები

1. ამ რეგულაციის მიზნებისთვის, გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

(1) „გარე საზღვრები“ ნიშნავს გარე საზღვრებს, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფით;

- (2) „შიდა საზღვრები“ ნიშნავს შიდა საზღვრებს, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფით;
- (3) „სასაზღვრო უწყება“ ნიშნავს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე სასაზღვრო შემოწმების განსახორციელებლად დანიშნულ მესაზღვრეს, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით;
- (4) „საიმიგრაციო ორგანო“ ნიშნავს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც, ეროვნული კანონმდებლობით, ჩამოთვლილი საკითხებიდან ერთზე ან მეტზე არის პასუხისმგებელი:

(ა) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის პირობების შესრულების შემოწმება წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაში;

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ბინადრობის პირობების შემოწმება და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, რამდენადაც აღნიშნული ორგანო არ წარმოადგენს „განმსაზღვრელ ორგანოს“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU დირექტივის (35) მე-2 მუხლის (ზ) პუნქტის მიხედვით, ასევე, საჭიროებისამებრ, კონსულტაციის გაწევა საბჭოს (EC) No 377/2004 რეგულაციის (36) შესაბამისად;

(გ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნება წარმოშობის ან სატრანზიტო მესამე ქვეყანაში;

- (5) „სავიზო ორგანო“ ნიშნავს სავიზო ორგანოს, როგორც განმარტებულია (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფით;
- (6) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ევროკავშირის მოქალაქე TFEU-ის 20(1) მუხლის შესაბამისად, იმ პირების გარდა, რომლებიც სარგებლობენ ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- (7) „სამგზავრო დოკუმენტი“ ნიშნავს პასპორტს ან მასთან გათანაბრებულ სხვა დოკუმენტს, რომელიც მის მფლობელს გარე საზღვრების გადაკვეთის უფლებას აძლევს და რომელშიც შესაძლებელია ვიზის დასმა;
- (8) „მოკლევადიანი ყოფნა“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღის ვადით ყოფნას, როგორც განსაზღვრულია (EU) 2016/399 რეგულაციის 6(1) მუხლით;
- (9) „მოკლევადიანი ვიზა“ ნიშნავს ვიზას, როგორც განმარტებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 810/2009 რეგულაციის (37) მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფის (ა) პუნქტით;
- (10) „ეროვნული მოკლევადიანი ვიზა“ გულისხმობს იმ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ ნებართვას, რომელიც სრული მოცულობით არ იყენებს შენგენის კანონმდებლობას (Schengen *acquis*), წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღიანი ყოფნის მიზნებისთვის;
- (11) „ნებადართული ყოფნა“ გულისხმობს დღეების განსაზღვრულ რაოდენობას, რომელთა განმავლობაშიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს აქვს ნებართვა, ლეგალურად იმყოფებოდეს

წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და აითვლება შესვლის თარიღიდან, შესაბამისი დებულებების მიხედვით;

- (12) „პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო“ გულისხმობს წევრ სახელმწიფოს, რომელმაც მონაცემები შეიყვანა EES-ში;
- (13) „შემოწმება“ ნიშნავს მონაცემთა შედარების პროცესს, რომლის მიზანია პირის წარმოდგენილი ვინაობის ნამდვილობის დადგენა (ერთი ერთზე შემოწმება);
- (14) „იდენტიფიკაცია“ ნიშნავს პირის ვინაობის დადგენას მონაცემთა ბაზაში მონაცემთა მრავალ ნაკრებთან მიმართებით მიების გზით (ერთი მრავალზე შემოწმება);
- (15) „ასო-ციფრული მონაცემები“ ნიშნავს მონაცემებს, რომლებიც წარმოდგენილია ასოებით, ციფრებით, სპეციალური ნიშნებით, ინტერვალებითა და სასვენი ნიშნებით;
- (16) „დაქტილოსკოპიური მონაცემები“ ნიშნავს, არსებობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის და, სხვა შემთხვევაში, მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუა თითების, არათითისა და ნეკა თითის ოთხ ანაბეჭდთან დაკავშირებულ მონაცემებს;
- (17) „სახის გამოსახულება“ ნიშნავს სახის ციფრულ გამოსახულებებს;
- (18) „ბიომეტრიული მონაცემი“ ნიშნავს ანაბეჭდთან დაკავშირებულ მონაცემებსა და სახის გამოსახულებას;
- (19) „ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილი პირი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებადართული მოკლევადიანი ყოფნის ვადასთან დაკავშირებულ პირობებს;
- (20) „EU-LISA“ ნიშნავს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპული სააგენტოს, რომელიც შეიქმნა (EU) No 1077/2011 რეგულაციის საფუძველზე;
- (21) „საზედამხედველო ორგანოები“ ნიშნავს (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ საზედამხედველო ორგანოსა და (EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ საზედამხედველო ორგანოს;
- (22) „EES მონაცემები“ ნიშნავს მე-14 და მე-16-20 მუხლების შესაბამისად EES-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ ყველა მონაცემს;
- (23) „სამართალდაცვა“ ნიშნავს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთას, გამოვლენას ან გამოძიებას;
- (24) „ტერორისტული დანაშაული“ ნიშნავს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ დანაშაულს, რომელიც შეესაბამება ან უთანაბრდება (EU) 2017/541 დირექტივით განსაზღვრული ერთ-ერთი დანაშაულის;
- (25) „სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული“ ნიშნავს დანაშაულს, რომელიც შეესაბამება ან უთანაბრდება 2002/584/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების 2(2) მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის, თუ მისთვის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულია საპატიმრო სასჯელი ან თავისუფლების აღკვეთა, სულ მცირე, სამწლიანი მაქსიმალური ვადით;

- (26) „დანიშნული ორგანო“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ 29-ე მუხლის მიხედვით დანიშნულ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის აღკვეთაზე, გამოვლენაზე ან გამოძიებაზე;
- (27) „თვითმომსახურების სისტემა“ ნიშნავს თვითმომსახურების სისტემას, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის 23-ე პუნქტით;
- (28) „ელ. გასასვლელი“ ნიშნავს ელექტრონულ გასასვლელს, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის 24-ე პუნქტით;
- (29) „წარუმატებელი რეგისტრაციის მაჩვენებელი“ (FTER) ნიშნავს რეგისტრაციების წილს ბიომეტრიული აღრიცხვის არასაკმარისი ხარისხით;
- (30) „მცდარი დადებითი იდენტიფიკაციის მაჩვენებელი“ (FPIR) ნიშნავს ბიომეტრიული ძიებისას დაბრუნებული დამთხვევების წილს, რომლებიც არ ეკუთვნის შემოწმებულ მოგზაურს;
- (31) „მცდარი უარყოფითი იდენტიფიკაციის მაჩვენებელი“ (FNIR) ნიშნავს ბიომეტრიული ძიებისას გამოტოვებული დამთხვევების წილს, მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურის ბიომეტრიული მონაცემები დარეგისტრირებულია.
2. (EU) 2016/679 რეგულაციის მე-4 მუხლით განმარტებულ ტერმინებს იგივე მნიშვნელობა ექნებათ ამ რეგულაციაშიც, თუ წევრი სახელმწიფოების ორგანოები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ამ რეგულაციის 6(1) მუხლით განსაზღვრული მიზნებისთვის.
3. (EU) 2016/680 დირექტივის მე-3 მუხლით განმარტებულ ტერმინებს იგივე მნიშვნელობა ექნებათ ამ რეგულაციაშიც, თუ წევრი სახელმწიფოების ორგანოები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ამ რეგულაციის 6(2) მუხლით განსაზღვრული მიზნებისთვის.

მუხლი 4

საზღვრები, სადაც ფუნქციონირებს EES და EES-ის გამოყენება ასეთ საზღვრებზე

1. EES გამოყენებულ უნდა იქნას გარე საზღვრებზე.
2. წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც სრულად მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), უნდა შემოიღონ EES თავიანთ შიდა საზღვრებზე იმ წევრ სახელმწიფოებთან, სადაც ჯერ სრული მოცულობით არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ იყენებენ EES-ს.
3. წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც სრულად მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) და წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც ჯერ სრული მოცულობით არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ იყენებენ EES-ს, უნდა შემოიღონ EES თავიანთ შიდა საზღვრებზე იმ წევრ სახელმწიფოებთან, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) და არ იყენებენ EES-ს.

4. წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ იყენებენ EES-ს, უნდა შემოიღონ EES თავიანთ შიდა საზღვრებზე, როგორც განსაზღვრულია (EU) 2016/399 რეგულაციის 2(1) მუხლის (ბ) და (გ) პუნქტებით.
5. 23(2) მუხლის მესამე და მეოთხე ქვეპუნქტებიდან და 27-ე მუხლიდან დეროგაციის სახით, წევრმა სახელმწიფომ, სადაც ჯერ სრულად მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ იყენებს EES-ს, ბიომეტრიული ფუნქციონალური შესაძლებლობების გარეშე უნდა შემოიღოს EES შიდა სახმელეთო საზღვრებზე იმ წევრ სახელმწიფოსთან, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ იყენებს EES-ს. თუ ასეთ შიდა საზღვრებზე მესამე ქვეყნის მოქალაქე ჯერ არ დარეგისტრირებულა EES-ში, ბიომეტრიული მონაცემების აღრიცხვის გარეშე უნდა შეიქმნას მესამე ქვეყნის ამ მოქალაქის პირადი საქმე. ბიომეტრიული მონაცემები უნდა დაემატოს შემდეგ სასაზღვრო პუნქტზე, სადაც EES ბიომეტრიული ფუნქციონალური შესაძლებლობებით ოპერირებს.

მუხლი 5

EES-ის შემუშავება

eu-Lisa შეიმუშავებს EES-ს და უზრუნველყოფს მის ფუნქციონალურ მართვას, მათ შორის, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებისთვის არსებულ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს, როგორც განსაზღვრულია 16(1) მუხლის (დ) პუნქტითა და 17(1) მუხლის (ბ) და (გ) პუნქტებით, ასევე, EES-ის ადეკვატურ უსაფრთხოებას.

მუხლი 6

EES-ის მიზნები

1. EES-ში მონაცემთა აღრიცხვისა და შენახვის, ასევე, წევრი სახელმწიფოებისთვის ასეთ მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფის გზით, EES-ის მიზნებია:
 - (ა) სასაზღვრო შემოწმებების ეფექტიანობის გაძლიერება მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით დაშვებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისას და გასვლისას ნებადართული ყოფნის ხანგრძლივობის გამოთვლისა და მონიტორინგის გზით;
 - (ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების იდენტიფიცირების ხელშეწყობა, რომლებიც არ ან აღარ აკმაყოფილებენ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ან მოკლე ვადით ყოფნის პირობებს;
 - (გ) ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილი პირების იდენტიფიკაციისა და გამოვლენის და წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ სათანადო ზომების მიღების უზრუნველყოფა;

(დ) შესვლაზე უარების ელექტრონულად შემოწმების უზრუნველყოფა EES-ში;

(ე) მესამე ქვეყნის მოქალაქეთა სასაზღვრო შემოწმების ავტომატიზაცია;

(ვ) სავიზო ორგანოების წვდომის უზრუნველყოფა წინა ვიზების კანონიერი გამოყენების შესახებ ინფორმაციაზე;

(ზ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების ინფორმირება მათი ნებადართული ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ;

(თ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და გასვლის, შესვლაზე უარისა და ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილი პირების სტატისტიკის შეგროვება, რათა გაუმჯობესდეს ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენის რისკების შეფასება და ხელი შეეწყოს ევროკავშირის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებას;

(ი) ვინაობასთან დაკავშირებულ თაღლითობასა და სამგზავრო დოკუმენტების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლა.

2. დანიშნული ორგანოებისთვის ამ რეგულაციის პირობების შესაბამისად წვდომის მინიჭებით, EES-ის მიზნებია:

(ა) ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიების ხელშეწყობა;

(ბ) გამოძიებისთვის ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებული ინფორმაციის გენერირების უზრუნველყოფა, მათ შორის, დამნაშავეების, ექვმიტანილებისა და მსხვერპლთა იდენტიფიცირებით, რომელთაც გადაკვეთეს გარე საზღვრები.

3. EES საჭიროებისამებრ ხელს შეუწყობს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი ფასილიტაციის ეროვნული პროგრამების ოპერირებაში, რომლებიც შექმნილია (EU) 2016/399 რეგულაციის 8დ მუხლის შესაბამისად, რათა ხელი შეუწყოს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საზღვრის გადაკვეთას შემდეგი გზებით:

(ა) ფასილიტაციის ეროვნული პროგრამებზე წვდომის თაობაზე განცხადებების განხილვისა და ამ რეგულაციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, (EU) 2016/399 რეგულაციის 8დ მუხლით განსაზღვრული კომპეტენტური ეროვნული ორგანოებისთვის წვდომის უზრუნველყოფა წინა მოკლევადიანი ვიზიტების ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციაზე;

(ბ) სასაზღვრო უწყებების შეტყობინება, რომ ფასილიტაციის ეროვნულ პროგრამას მიენიჭა წვდომა.

მუხლი 7

EES-ის ტექნიკური არქიტექტურა

1. EES-ის შემადგენლობაში შედის:

(ა) ცენტრალური სისტემა (EES-ის ცენტრალური სისტემა);

(ბ) თითოეულ სახელმწიფოში საერთო ტექნიკურ მახასიათებლებზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული ინტერფეისი (NUI), რომელიც იდენტურია ყველა წევრი სახელმწიფოსთვის და უზრუნველყოფს EES-ის ცენტრალურ სისტემის უსაფრთხო დაკავშირებას წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურებთან;

(გ) უსაფრთხო კომუნიკაციის არხი EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის;

(დ) უსაფრთხო და დამიფრული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა EES-ის ცენტრალურ სისტემასა და NUI-ებს შორის;

(ე) მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურება;

(ვ) ცენტრალურ დონეზე შექმნილი მონაცემთა საცავი, როგორც გათვალისწინებულია 63(2) მუხლით.

2. EES-ის ცენტრალური სისტემის ჰოსტინგს ახორციელებს eu-Lisa საკუთარ ტექნიკურ პუნქტებში. ის უზრუნველყოფს ამ რეგულაციით განსაზღვრულ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს, 37(3) მუხლით გათვალისწინებული ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და სიჩქარის პირობების შესაბამისად.

3. კომისიის 2008/602/EC გადაწყვეტილების (38) მოქმედების შეზღუდვის გარეშე, EES-ის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ზოგიერთი კომპონენტი უნდა გაუზიარდეს VIS-ის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, როგორც განსაზღვრულია 2004/512/EC გადაწყვეტილების 1(2) მუხლით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს VIS-ისა და EES-ის მონაცემების ლოგიკური განცალკევება.

მუხლი 8

VIS-თან ფუნქციონალური თავსებადობა

1. EES-სა და VIS-ს შორის ფუნქციონალური თავსებადობის უზრუნველსაყოფად, eu-Lisa-მ უნდა შექმნას უსაფრთხო კომუნიკაციის არხი EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის. EES-სა და VIS-ს შორის მონაცემთა პირდაპირი გადამოწმება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ამ და (EC) No 767/2008 რეგულაციებით განსაზღვრულ შემთხვევებში. VIS-

იდან ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების ამოღება და მათი იმპორტირება EES-ში, ასევე, VIS-იდან EES-ში მონაცემთა განახლება უნდა იყოს ავტომატიზებული პროცესი შესაბამისი ორგანოს მიერ შესაბამისი ოპერაციის ჩაშვების შემდეგ.

2. EES-ით მოსარგებლე სასაზღვრო უწყებების ფუნქციონალურმა თავსებადობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს, EES-დან გაეცნონ VIS-ს შემდეგი მიზნებისთვის:

(ა) ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების პირდაპირ VIS-დან ამოღება და მათი EES-ში იმპორტირება ვიზის მფლობელის შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ EES-ში ჩანაწერის შექმნის ან განახლების მიზნით, ამ რეგულაციის მე-14, მე-16 და მე-18 მუხლებისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის 18ა მუხლის შესაბამისად;

(ბ) ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების პირდაპირ VIS-დან ამოღება და მათი იმპორტირება EES-ში ვიზის ანულირების, გაუქმების ან განახლების შემთხვევაში შესვლა/გასვლის შესახებ ჩანაწერის განახლების მიზნით, ამ რეგულაციის მე-19 მუხლისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-13, მე-14 და 18ა მუხლების შესაბამისად;

(გ) ამ რეგულაციის 23-ე მუხლისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის 18(2) მუხლის მიხედვით შესაბამისი ვიზის ავთენტურობისა და ნამდვილობის ან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის პირობების შესრულების შემოწმება, რომლებიც გათვალისწინებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-6 მუხლით;

(დ) იმ საზღვრებზე, სადაც EES ფუნქციონირებს, დადგენა, ადრე ყოფილა თუ არა დარეგისტრირებული ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქე VIS-ში ამ რეგულაციის 23-ე მუხლისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის 19ა მუხლის შესაბამისად;

(ე) თუ ვიზის მფლობელის ვინაობა თითის ანაბეჭდების გამოყენებით დგინდება, იმ საზღვრებზე, სადაც EES ფუნქციონირებს, ვიზის მფლობელის ვინაობის შემოწმება მისი თითის ანაბეჭდების გადამოწმებით VIS-ში დაცულ თითის ანაბეჭდებთან, ამ რეგულაციის 23-ე მუხლისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის 18(6) მუხლის შესაბამისად.

3. VIS-ით მოსარგებლე სავიზო ორგანოებს ფუნქციონალურმა ფუნქციონალურმა თავსებადობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს, VIS-იდან გაეცნონ EES-ს შემდეგი მიზნებისთვის:

(ა) სავიზო განაცხადების განხილვა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ამ რეგულაციის 24-ე მუხლისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის 15(4) მუხლის შესაბამისად;

(ბ) იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ იყენებენ EES-ს, მოკლევადიანი ეროვნული სავიზო განაცხადების განხილვა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება;

(გ) შესვლა/გასვლის ჩანაწერში ვიზასთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლება ვიზის ანულისების, გაუქმების ან გაგრძელების შემთხვევაში, ამ რეგულაციის მე-19 და (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად.

4. მე-13 მუხლით გათვალისწინებული EES ვებმომსახურების ფუნქციონირებისთვის, VIS-მა VIS-ის მინიმალურად აუცილებელი მონაცემების ერთმხრივი ამოღების გზით ყოველდღიურად უნდა გაახლოს 13(5) მუხლით განსაზღვრული მხოლოდ წაკითხვადი მონაცემთა ბაზა.

მუხლი 9

EES-ზე წვდომა მონაცემთა შეყვანის, შეცვლის, წაშლისა და გადამოწმების მიზნით

1. მე-14 და მე-16-20 მუხლებით განსაზღვრულ მონაცემთა შეყვანის, შეცვლის, წაშლისა და გადამოწმების მიზნით, EES-ზე წვდომა ექსკლუზიურად უნდა ჰქონდეთ თითოეული სახელმწიფოს იმ ეროვნული ორგანოების სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლებს, რომლებიც 23-35-ე მუხლების მიზნებისთვის კომპეტენტურებად მიიჩნევიან. ეს წვდომა უნდა შემოიფარგლებოდეს იმით, რაც აუცილებელია აღნიშნული მიზნებისთვის ამ ეროვნული ორგანოების მიერ საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად და უნდა იყოს შესაბამისი მიზნების პროპორციული.
2. თითოეული წევრი სახელმწიფომ უნდა დანიშნოს კომპეტენტური ეროვნული ორგანო, რომელიც ამ რეგულაციის მიზნებისთვის იქნება სასაზღვრო, სავიზო და საიმიგრაციო ორგანო. კომპეტენტური ეროვნული ორგანოების სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ EES-ზე წვდომა მონაცემთა შეყვანის, შეცვლის, წაშლის ან გადამოწმების მიზნებისთვის. თითოეული წევრი სახელმწიფო eu-LISA-ს დაუყოვნებლივ აცნობებს ამ კომპეტენტური ეროვნული ორგანოების სიას. აღნიშნული სია უნდა განსაზღვრავდეს, რომელი მიზნით აქვს თითოეულ ორგანოს წვდომა EES-ში დაცულ მონაცემებზე.
3. IV თავის შესაბამისად უნდა დანიშნოს თითოეული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, გადაამოწმოს ან ჰქონდეს წვდომა EES-ის მონაცემებზე ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნით.

მუხლი 10

ზოგადი პრინციპები

1. EES-ზე წვდომაზე უფლებამოსილმა თითოეულმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ EES-ის გამოყენება იყოს აუცილებელი, სათანადო და პროპორციული.

2. თითოეულმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ EES-ის გამოყენება — მათ შორის, ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება — შეესაბამებოდეს გარანტიებს, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით, ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიითა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით. კერძოდ, ბავშვის მონაცემების შეგროვებისას, უპირველესად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

მუხლი 10

ავტომატური კალკულატორი და მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინფორმირების ვალდებულება ნებადართული ყოფნის დარჩენილი ვადის შესახებ

1. EES უნდა შეიცავდეს ავტომატურ კალკულატორს, რომელიც მიუთითებს ნებადართული ყოფნის მაქსიმალურ ხანგრძლივობას EES-ში დარეგისტრირებული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

ავტომატური კალკულატორი არ უნდა გავრცელდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც:

(ა) არიან ოჯახის წევრები ევროკავშირის იმ მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა ან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის, რომელიც სარგებლობს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; და

(ბ) არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას საბჭოს (EC) No 1030/2002 რეგულაციის საფუძველზე.

2. ავტომატური კალკულატორი კომპეტენტურ ორგანოებს შეატყობინებს:

(ა) შესვლისას — მესამე ქვეყნის მოქალაქის ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ, ასევე, ამოწურულია თუ არა ნებადართული შესვლების რაოდენობა ერთი ან ორი შესვლის უფლებით გაცემული მოკლევადიანი ვიზების შემთხვევაში;

(ბ) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შემოწმების ან შემოწმებისას — მესამე ქვეყნის მოქალაქეების ნებადართული ყოფნის დარჩენილი ხანგრძლივობის ან ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენის შესახებ;

(გ) გასვლისას — მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ ვადის დარღვევის შესახებ;

(დ) მოკლევადიანი სავიზო განაცხადების განხილვისას და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას — შესვლის დაგეგმილი თარიღების გათვალისწინებით, ნებადართული ყოფნის დარჩენილი მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ.

3. სასაზღვრო უწყებებმა მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ, რაც უნდა ითვალისწინებდეს ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობასა და ყოფნის ვადას, (EU) 2016/399 რეგულაციის 8(9) მუხლის შესაბამისად. ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ან მესაზღვრემ, სასაზღვრო შემოწმების ჩატარებისას, ან სასაზღვრო პუნქტში დამონტაჟებული მოწყობილობით, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს, ამ რეგულაციის მე-13 მუხლის (1) და (2) პარაგრაფების შესაბამისად გამოიყენოს ვებმომსახურება.
4. მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, და რომლებიც მოკლევადიანი ვიზის ან ეროვნული მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე იმყოფებიან იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ გამოიყენება EES, ავტომატური კალკულატორი არ უნდა მიუთითებდეს მოკლევადიანი ვიზის ან ეროვნული მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე ნებადართული ყოფნის ვადას.

პირველ პარაგრაფში მითითებულ შემთხვევაში, ავტომატური კალკულატორი უნდა ადგენდეს მხოლოდ:

(ა) ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90-დღიან საერთო ლიმიტთან შესაბამისობას;

(ბ) მოკლევადიანი ვიზების შემთხვევაში, ასეთი ვიზის მოქმედების ვადასთან შესაბამისობას.

5. იმის დასადგენად, ერთი ან ორი შესვლის უფლებით გაცემული მოკლევადიანი ვიზის მფლობელმა მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა უკვე გამოიყენეს თუ არა თავიანთი მოკლევადიანი ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობა, ავტომატურმა კალკულატორმა უნდა გაითვალისწინოს იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლები, სადაც სრულად მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*). აღნიშნული შემოწმება არ ხორციელდება იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლისას, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ მუშაობს EES.
6. ავტომატური კალკულატორი ასევე უნდა იქნას გამოყენებული იმ მოკლევადიან ვიზიტებთან მიმართებით, რომლებიც ეფუძნება (EC) No 810/2009 რეგულაციის 25(1) მუხლის (ბ) პუნქტის შესაბამისად გაცემულ შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების მქონე მოკლევადიან ვიზას. ასეთ შემთხვევაში, ავტომატურმა კალკულატორმა უნდა გაითვალისწინოს ამგვარი ვიზით ნებადართული ყოფნის ვადა, იმის მიუხედავად, მესამე ქვეყნის მოქალაქის ჯამური ყოფნის ვადა აჭარბებს თუ არა 90 დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში.

მუხლი 12

ინფორმირების მექანიზმი

1. EES უნდა შეიცავდეს მექანიზმის, რომელიც ავტომატურად მოახდენს იმ შესვლა/გასვლის ჩანაწერების იდენტიფიცირებას, რომლებშიც დაუყოვნებლივ არ აღრიცხულა გასვლის შესახებ მონაცემები ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვისთანავე, ასევე, იმ ჩანაწერების იდენტიფიცირებას, რომელთა შემთხვევაშიც გადაჭარბებულ იქნა ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობა.
2. მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებიც საზღვარს კვეთენ საბჭოს (EC) No 693/2003 რეგულაციის (39) შესაბამისად გაცემული მოქმედი გამარტივებული სატრანზიტო დოკუმენტის საფუძველზე (“FTD”), EES უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმს, რომელიც ავტომატურად მოახდენს იმ შესვლა/გასვლის ჩანაწერების იდენტიფიცირებას, სადაც გასვლის შესახებ მონაცემები არ აღრიცხულა დაუყოვნებლივ ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვისთანავე, ასევე, იმ ჩანაწერების იდენტიფიცირებას, რომელთა შემთხვევაშიც გადააჭარბეს ნებადართული ყოფნის მაქსიმალურ ხანგრძლივობას.
3. სათანადო ზომების მიღების მიზნით, 9(2) მუხლის შესაბამისად დანიშნული კომპეტენტური ეროვნული ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს EES-ის მიერ გენერირებული სია, რომელიც შეიცავს მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ ყველა იმ პირის მონაცემებს, რომლებიც ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილებად არიან იდენტიფიცირებულები.

მუხლი 13

ვებმომსახურება

1. მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ ნებისმიერ დროს ნებადართული ყოფნის დარჩენილი ვადის შემოწმებისთვის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტერნეტით უსაფრთხო წვდომა eu-LISA-ს მიერ თავის ტექნიკურ პუნქტებზე განთავსებულ ვებმომსახურებაზე, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს, მიუთითონ 16(1) მუხლის (ბ) პუნქტით განსაზღვრული მონაცემები, თავიანთი შესვლის ან გასვლის (ან ორივეს) შესახებ ინფორმაციასთან ერთად. შესაბამისად, ვებმომსახურება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უნდა უზრუნველყოს OK („მისაღებია“) ან NOT OK („არ არის მისაღები“) პასუხებს, ასევე, აწვდიდეს ინფორმაციას ნებადართული ყოფნის დარჩენილი ვადის შესახებ.
2. 1-ლი პარაგრაფიდან დეროგაციის სახით, იმ წევრ სახელმწიფოში დაგეგმილი ვიზიტისთვის, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (Schengen *acquis*), მაგრამ გამოიყენება EES, ვებმომსახურება არ უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მოკლევადიანი ან ეროვნული მოკლევადიანი ვიზით ნებადართული ყოფნის ვადის შესახებ.

პირველ პარაგრაფში მითითებულ შემთხვევაში, ვებმომსახურება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, მოახდინონ ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90-დღიან საერთო ლიმიტთან შესაბამისობის შემოწმება და მიიღონ ინფორმაცია ამ ლიმიტს ქვემოთ ნებადართული ყოფნის დარჩენილი ვადის შესახებ. ეს ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნას 180-დღიან პერიოდში ვიზიტებთან დაკავშირებით, ვებმომსახურებისთვის მიმართვამდე ან დაგეგმილი შესვლის ან გასვლის (ან ორივეს) თარიღებამდე.

3. შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 26(1) მუხლის (ბ) პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, სატრანსპორტო ოპერატორებმა უნდა გამოიყენონ ვებმომსახურება იმის შემოწმებისთვის, ერთი ან ორი შესვლის უფლებით გაცემული მოკლევადიანი ვიზის მფლობელმა მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა უკვე გამოიყენეს თუ არა თავიანთი ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობა. სატრანსპორტო ოპერატორებმა უნდა მიაწოდონ ამ რეგულაციის 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებში ჩამოთვლილი მონაცემები. შესაბამისად, ვებმომსახურება სატრანსპორტო ოპერატორებს უნდა უბრუნებდეს OK („მისაღებია“) ან NOT OK („არ არის მისაღები“) პასუხს. სატრანსპორტო ოპერატორებს შეუძლიათ გაგზავნილი ინფორმაციისა და მიღებული პასუხების შენახვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სატრანსპორტო ოპერატორებმა უნდა შემოიღონ ავთენტიფიკაციის სქემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს ჰქონდეთ წვდომა ვებმომსახურებაზე. OK („მისაღებია“) ან NOT OK („არ არის მისაღები“) პასუხი არ უნდა იქნას მიჩნეული (EU) 2016/399 რეგულაციის შესაბამისად შესვლის დაშვების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებად.
4. შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 26(2) მუხლის დანერგვის ან ამ მუხლიდან გამომდინარე ნებისმიერი შესაძლო დავის გადაწყვეტის მიზნებისთვის, eu-LISA უნდა აწარმოებდეს მონაცემთა დამუშავების ყველა იმ ოპერაციის სააღრიცხვო ჩანაწერს, რომლებსაც სატრანსპორტო ოპერატორები ახორციელებენ ვებმომსახურებაში. აღნიშნული სააღრიცხვო ჩანაწერები უნდა მიუთითებდეს თითოეული ოპერაციის დროსა და თარიღს, მოკვლეულ მონაცემებს, ვებმომსახურების მიერ გადაცემულ მონაცემებსა და შესაბამისი სატრანსპორტო ოპერატორის სახელს.

სააღრიცხვო ჩანაწერები ორი წლის ვადით უნდა ინახებოდეს. სააღრიცხვო ჩანაწერები სათანადო ზომებით უნდა იყოს დაცული არაავტორიზებული წვდომისგან.

5. ვებმომსახურება უნდა იყენებდეს ცალკე არსებულ მხოლოდ წაკითხვად მონაცემთა ბაზას, რომელიც ყოველდღიურად უნდა ახლდებოდეს EES-ისა და VIS-ის მინიმალურად აუცილებელი მონაცემების ერთმხრივი ამოღების გზით. eu-LISA პასუხსიმგებელია ვებმომსახურების, მასში დაცული პერსონალური მონაცემებისა და პერსონალურ მონაცემთა ცალკე არსებულ მხოლოდ წაკითხვად მონაცემთა ბაზაში გადატანის პროცესის უსაფრთხოებაზე.

6. ვებმომსახურება სატრანსპორტო ოპერატორებს არ უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, დაადგინონ, ერთი ან ორი შესვლის უფლებით გაცემული ეროვნული მოკლევადიანი ვიზის მფლობელმა მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა უკვე გამოიყენეს თუ არა ამ ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობა.
7. კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები ვებმომსახურების ფუნქციონირების პირობების დეტალური წესებისა და ვებმომსახურების მიმართ გამოსაყენებელი მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას 68(2) მუხლით გათვალისწინებული გამოკვლევის პროცედურების შესაბამისად.

თავი II

შესვლა და კომპეტენტური ორგანოების მიერ მონაცემთა გამოყენება

მუხლი 14

EES-ში მონაცემთა შეყვანის პროცედურები

1. სასაზღვრო უწყებებმა 23-ე მუხლის შესაბამისად უნდა მოახდინონ შემოწმება, EES-ში ადრე შექმნილა თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქის პირადი საქმე, ასევე, დაადგინონ მისი ვინაობა. თუ მონაცემთა წინასწარი აღრიცხვის ან სასაზღვრო შემოწმებებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქე თვითმომსახურების სისტემით სარგებლობს, შემოწმება უნდა განხორციელდეს თვითმომსახურების სისტემითვე.
2. თუ უკვე შექმნილია მესამე ქვეყნის მოქალაქის პირადი საქმე, სასაზღვრო უწყებამ, საჭიროებისამებრ:

(ა) უნდა გაახლოს ეს პირადი საქმე, კერძოდ, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებით განსაზღვრული მონაცემები; და

(ბ) თითოეული შესვლისას და გასვლისას შეიყვანოს შესვლის და გასვლის შესახებ ჩანაწერი მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად და, საჭიროებისამებრ, შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერი მე-18 მუხლის მიხედვით.

ამ პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები უნდა დაუკავშირდეს მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქის პირად საქმეს.

საჭიროებისამებრ, მე-19 მუხლის (1), (2), (4) და (5) პუნქტებით განსაზღვრული მონაცემები უნდა დაემატოს მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქის შესვლა/გასვლის შესახებ ჩანაწერს. მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ კანონიერად გამოყენებული სამგზავრო დოკუმენტები და ვინაობები უნდა მიემატოს მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეს.

თუ უკვე შექმნილია პირადი საქმე და მესამე ქვეყნის მოქალაქე წარადგენს მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც განსხვავდება ადრე აღრიცხულისგან, მე-15 მუხლის შესაბამისად ასევე უნდა განახლდეს 16(1) მუხლის (დ) პუნქტითა და 17(1) მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.

3. თუ საჭიროა ვიზის მფლობელის შესვლა/გასვლის მონაცემების შეყვანა ან განახლება, სასაზღვრო უწყებებს შეუძლიათ ამ რეგულაციის 16(2) მუხლის (გ) და (ვ) პუნქტებით განსაზღვრულ მონაცემთა VIS-იდან ამოღება და მათი იმპორტირება EES-ში, ამ რეგულაციის მე-8 მუხლისა და (EC) No 767/2008 რეგულაციის 18ა მუხლის შესაბამისად.
4. EES-ში მესამე ქვეყნის მოქალაქის წინა რეგისტრაციის არარსებობისას, სასაზღვრო უწყებამ უნდა შექმნას ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირადი საქმე მე-16 მუხლის (1) და (6) პუნქტებით — და, საჭიროებისამებრ, 17(1) და 18(1) მუხლებით — განსაზღვრული მონაცემების შეყვანით.
5. თუ მონაცემთა წინასწარი რეგისტრაციისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქე სარგებლობს თვითმომსახურების სისტემით, გამოყენებულ უნდა იქნას (EU) 2016/399 რეგულაციის 8ა მუხლი. ასეთ შემთხვევაში, მესამე ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია პირადი საქმის მონაცემების ან, საჭიროების შემთხვევაში, შესვლა/გასვლის ჩანაწერში არსებული იმ მონაცემების წინასწარი რეგისტრაცია, რომლებიც განახლებას საჭიროებს. ეს მონაცემები უნდა დაადასტუროს სასაზღვრო უწყებამ (EU) 2016/399 რეგულაციის შესაბამისად შესვლის დაშვების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. შესაძლებელია ამ რეგულაციის 16(2) მუხლის (გ) და (ვ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების VIS-იდან ამოღება და EES-ში იმპორტირება.
6. თუ სასაზღვრო შემოწმებების გასავლელად მესამე ქვეყნის მოქალაქე სარგებლობს თვითმომსახურების სისტემით, გამოყენებულ უნდა იქნას (EU) 2016/399 რეგულაციის 8ა მუხლი. ასეთ შემთხვევაში, ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული შემოწმება უნდა განხორციელდეს თვითმომსახურების სისტემით.
7. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე სარგებლობს ელ. გასასვლელით გარე საზღვრების ან იმ შიდა საზღვრების გადასაკვეთად, სადაც ჯერ არ გაუქმებულა კონტროლი, გამოყენებულ უნდა იქნას (EU) 2016/399 რეგულაციის 8ბ მუხლი. ასეთ შემთხვევაში, ელ. გასასვლელით ხორციელდება შესვლა/გასვლის ჩანაწერის შესაბამისი რეგისტრაცია და ამ ჩანაწერის დაკავშირება შესაბამის პირად საქმესთან.
8. ამ რეგულაციის მე-20 მუხლისა და (EU) 2016/399 რეგულაციის 12(3) მუხლის მოქმედების შეუზღუდავად, თუ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის მოკლევადიანი ვიზიტი იწყება პირდაპირ ბინადრობის ნებართვის ან გრძელვადიანი ვიზის საფუძველზე ყოფნის შემდეგ და ამ დრომდე არ შექმნილა პირადი საქმე, ასეთ მესამე ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, ამ რეგულაციის 9(2) მუხლით განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოებს მოსთხოვოს პირადი საქმისა და შესვლა/გასვლის ჩანაწერის შექმნა ამ რეგულაციის 16 მუხლის (1), (2) და (6) პუნქტებითა და 17(1) მუხლით გათვალისწინებული მონაცემების შეყვანის გზით. ამ აღნიშნულმა კომპეტენტურმა ორგანოებმა რეგულაციის

16(2) მუხლის (ა) პუნქტით განსაზღვრული მონაცემების ნაცვლად, უნდა შეიყვანონ მოკლევადიანი ვიზიტის დაწყების თარიღი და, ამ რეგულაციის 16(2) მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ნაცვლად, უნდა მიუთითონ იმ ორგანოს სახელი, რომელმაც შეიტანა ეს მონაცემები.

მუხლი 14

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა სახის გამოსახულება

1. თუ საჭიროა პირადი საქმის შექმნა ან სახის გამოსახულების განახლება, როგორც გათვალისწინებულია 16(1) მუხლის (დ) პუნქტითა და 17(1) მუხლის (ბ) პუნქტით, სახის გამოსახულება ცოცხალ რეჟიმში უნდა იქნას გადაღებული.
2. 1-ლი პარაგრაფისგან დეროგაციის სახით, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ვერ კმაყოფილდება EES-ში ცოცხალ რეჟიმში სახის გამოსახულების (“live image”) რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ხარისხობრივი და გარჩევადობის მოთხოვნები, სახის გამოსახულება შეიძლება ელექტრონულად იქნას ამოღებული, ელექტრონული მოწყობილობით წაკითხვადი სამგზავრო დოკუმენტის (eMRTD) ჩიპიდან. ასეთ შემთხვევებში, სახის გამოსახულება პირად საქმეში უნდა განთავსდეს მხოლოდ იმ ფაქტის ელექტრონული შემოწმების შემდეგ, რომ eMRTD-ის ჩიპზე არსებული სახის გამოსახულება ნამდვილად შეესაბამება ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ადგილზე აღრიცხულ სახის გამოსახულებას.
3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ წელიწადში ერთხელ კომისიას უნდა გადაუგზავნოს ანგარიში მე-2 პარაგრაფის გამოყენების შესახებ. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მესამე ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობის შესახებ, ასევე, გამონაკლისი შემთხვევების ახსნა-განმარტებას.
4. ავტომატური ბიომეტრიული შემოწმებისთვის გამოსაყენებლად, მესამე ქვეყნის მოქალაქეების სახის გამოსახულებას უნდა ჰქონდეს საკმარისი გარჩევადობა და ხარისხი.
5. EES-ის ჩაშვებიდან ორი წლის განმავლობაში, კომისიამ უნდა გამოსცეს ანგარიში VIS-ში დაცული სახის გამოსახულებების ხარისხობრივი სტანდარტების შესახებ, ასევე, იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა სახის გამოსახულებების გამოყენება ბიომეტრიული შემოწმებისთვის, რათა VIS-ში დაცული სახის გამოსახულებები EES-ში შენახვის გარეშე იქნას გამოყენებული წევრი სახელმწიფოების საზღვრებსა და ტერიტორიაზე იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების ვინაობის დასადგენად, რომელზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა. კომისიამ აღნიშნული ანგარიში უნდა გადაუგზავნოს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს. თუ კომისია სათანადოდ მიიჩნევს, ხსენებულ ანგარიშს თან უნდა ახლდეს საკანონმდებლო წინადადებები, მათ შორის, ამ ან/და (EC) No 767/2008 რეგულაციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა

VIS-ში დაცული სახის გამოსახულებების გამოყენებას ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

მუხლი 16

მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების პერსონალური მონაცემები, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა

1. საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES, სასაზღვრო უწყებამ ჩამოთვლილი მონაცემების შეყვანით უნდა შექმნას მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის პირადი საქმე, რომელზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა:

(ა) გვარი; სახელ(ებ)ი; დაბადების თარიღი; ეროვნება ან ეროვნებები; სქესი;

(ბ) სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის ტიპი და ნომერი და მისი გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი;

(გ) სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი;

(დ) 15-ე მუხლით განსაზღვრული სახის გამოსახულება.

2. მესამე ქვეყნის მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, თითოეული შესვლისას საზღვარზე, სადაც ფუნქციონირებს EES, შესვლა/გასვლის ჩანაწერში უნდა აღირიცხოს ჩამოთვლილი მონაცემები:

(ა) შესვლის დრო და თარიღი;

(ბ) შესვლისთვის გამოყენებული სასაზღვრო პუნქტი და ორგანო, რომელმაც გასცა შესვლაზე დაშვება;

(გ) საჭიროების შემთხვევაში, მესამე ქვეყნის მოქალაქის სტატუსი, რომელიც მიუთითებს, რომ იგი მესამე ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც:

(i) არის ოჯახის წევრი ევროკავშირის იმ მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა ან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის, რომელიც სარგებლობს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; და

(ii) არ ფლობს ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას საბჭოს (EC) No 1030/2002 რეგულაციის საფუძველზე.

(დ) მოკლევადიანი ვიზის სტიკერის ნომერი, მათ შორის, გამცემი წევრი სახელმწიფოს სამასოიანი კოდი, მოკლევადიანი ვიზის ტიპი, მოკლევადიანი ვიზით ნებადართული ყოფნის

მაქსიმალური ვადის ამოწურვის თარიღი, რომელიც უნდა განახლდეს თითოეული შესვლისას და, საჭიროების შემთხვევაში, მოკლევადიანი ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი;

(ე) პირველი შესვლისას მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე — მოკლევადიანი ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობა და ყოფნის ვადა, როგორც მითითებულია მოკლევადიანი ვიზის სტიკერზე;

(ვ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოკლევადიანი ვიზა გაცემულია შეზღუდული ტერიტორიული მოქმედებით, (EC) No 810/2009 რეგულაციის 25(1) მუხლის (ბ) პუნქტის შესაბამისად;

(ზ) საჭიროების შემთხვევაში, შეტყობინება იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ გამოიყენება EES, რომელიც უნდა მიუთითებდეს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქემ შესვლისთვის გამოიყენა ეროვნული მოკლევადიანი ვიზა.

პირველი პარაგრაფით განსაზღვრული შესვლა/გასვლის ჩანაწერი მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეს უნდა დაუკავშირდეს ინდივიდუალური ნომრის გამოყენებით, რომელსაც ანიჭებს EES აღნიშნული პირადი საქმის შექმნისას.

3. მესამე ქვეყნის მოქალაქის, რომელზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, თითოეული გასვლისას საზღვარზე, სადაც ფუნქციონირებს EES, შესვლა/გასვლის ჩანაწერში უნდა აღირიცხოს ჩამოთვლილი მონაცემები:

(ა) გასვლის დრო და თარიღი;

(ბ) გასვლისთვის გამოყენებული სასაზღვრო პუნქტი.

თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე არ იყენებს იმ ვიზას, რომელიც შესვლის ბოლო ჩანაწერშია აღრიცხული, შესაბამისად უნდა განახლდეს შესვლა/გასვლის ჩანაწერები მონაცემები, რომლებიც განსაზღვრულია მე-2 პარაგრაფის (დ)-(ზ) პუნქტებით.

პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესვლა/გასვლის ჩანაწერი უნდა დაუკავშირდეს ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეს.

4. თუ ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვის თარიღის შემდეგ დაუყოვნებლივ არ ასახულა გასვლის შესახებ მონაცემები, EES-მა შესვლა/გასვლის ჩანაწერი უნდა მონიშნოს და მე-12 მუხლით განსაზღვრულ სიაში უნდა იქნას შეტანილი მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის მონაცემები, რომელზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა და ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილად არის იდენტიფიცირებული.

5. იმ მესამე ქვეყნის მოქალაქის შესვლა/გასვლის ჩანაწერის შესაყვანად ან გასაახლებლად, რომელზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, სასაზღვრო უწყებას შეუძლია ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის (გ)-(ვ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების VIS-იდან ამოღება და EES-ში იმპორტირება, (EC) No 767/2008 რეგულაციის 18ა მუხლის შესაბამისად.

6. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე სარგებლობს წევრი სახელმწიფოს ფასილიტაციის ეროვნული პროგრამით, (EU) 2016/399 რეგულაციის 8დ მუხლის მიხედვით, შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში უნდა შეიტანოს შეტყობინება, რომელიც მიუთითებს ამ წევრი სახელმწიფოს ფასილიტაციის ეროვნულ პროგრამას.
7. II დანართის სპეციალური დებულებები უნდა გავრცელდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც საზღვარს კვეთენ მოქმედი FTD-ის საფუძველზე.

მუხლი 17

ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების პერსონალური მონაცემები

1. სასაზღვრო უწყებამ უნდა შექმნას ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების პირადი საქმე ჩამოთვლილი მონაცემების შეყვანით:
 - (ა) 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები;
 - (ბ) მე-15 მუხლით განსაზღვრული სახის გამოსახულება;
 - (გ) არსებობის შემთხვევაში, მარჯვენა ხელის დაქტილოსკოპიური მონაცემები, და, სხვა შემთხვევაში, მარცხენა ხელის შესაბამისი დაქტილოსკოპიური მონაცემები; დაქტილოსკოპიურ მონაცემებს უნდა ჰქონდეს საკმარისი გარჩევადობა და ხარისხი ავტომატიზებული ბიომეტრიული შემოწმებისთვის გამოსაყენებლად;
 - (დ) საჭიროების შემთხვევაში, 16(6) მუხლით განსაზღვრული მონაცემები.
2. ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიმართ *mutatis mutandis* გამოიყენება 16(2) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტები, 16(3) მუხლის (ა) და (ბ) პუნქტები და 16(4) მუხლი.
3. 12 წელს ქვემოთ არასრულწლოვნები გათავისუფლებულები არიან ანაბეჭდების ჩაბარების მოთხოვნისგან.
4. პირები, რომელთა ანაბეჭდების აღებაც ფიზიკურად შეუძლებელია, გათავისუფლებულები არიან ანაბეჭდების ჩაბარების მოთხოვნისგან.

მაგრამ, თუ ფიზიკური შეუძლებლობა დროებითია, EES-ში უნდა აღინიშნოს ამ ფაქტის თაობაზე და პირს უნდა მოეთხოვოს ანაბეჭდების ჩაბარება გასვლისას ან შემდგომი შესვლისას. ანაბეჭდების ჩაბარებისთანავე EES-ში უნდა წაიშალოს ეს ინფორმაცია. სასაზღვრო უწყებები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ დამატებითი ახსნა-განმარტება ანაბეჭდების ჩაბარების დროებითი შეუძლებლობის შესახებ. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო პროცედურები, რომლებიც ანაბეჭდების აღებისას სირთულეების წარმოშობის შემთხვევაში უზრუნველყოფს პირის ღირსებას.

5. თუ პირი გათავისუფლებულია ანაბეჭდების ჩაბარების მოთხოვნისგან მე-3 ან მე-4 პარაგრაფების მიხედვით, შესაბამისი მონაცემთა ველი უნდა მოინიშნოს „არ ვრცელდება“ სახით.

მუხლი 18

მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების პერსონალური მონაცემები, რომლებსაც უარი ეთქვათ შესვლაზე

1. თუ სასაზღვრო უწყებამ, (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის მე-14 მუხლის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოკლევადიანი ვიზიტის მიზნით შესვლაზე უარის თქმის შესახებ და ამასთან EES-ში მანამდე არ შექმნილა ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის საქმე, სასაზღვრო უწყებამ უნდა შექმნას პირადი საქმე და შეიყვანოს:

(ა) იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, ამ რეგულაციის 16(1) მუხლით მოთხოვნილი ასო-ციფრული მონაცემები და, საჭიროების შემთხვევაში, ამ რეგულაციის 16(6) მუხლით განსაზღვრული მონაცემები;

(ბ) ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, ამ რეგულაციის 17(1) მუხლით მოთხოვნილი ასო-ციფრული მონაცემები.

2. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეს უარი ეთქვა შესვლაზე (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის “B” ნაწილის „B“, „D“ ან „H“ პუნქტებით განსაზღვრული საფუძვლებით და EES-ში არ არის რეგისტრირებული ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის საქმე ბიომეტრიული მონაცემებით, სასაზღვრო უწყებამ უნდა შექმნას პირადი საქმე და — კონკრეტული შემთხვევის მიხედვით — შეიყვანოს ამ რეგულაციის 16(1) ან 17(1) მუხლებით განსაზღვრული ასო-ციფრული მონაცემები, ასევე, შემდეგი მონაცემები:

(ა) იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, ამ რეგულაციის 16(1) მუხლის (დ) პუნქტით გათვალისწინებული სახის გამოსახულება;

(ბ) ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, ამ რეგულაციის 17(1) მუხლის (ბ) და (გ) პუნქტებით მოთხოვნილი ბიომეტრიული მონაცემები;

(გ) იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა და არ არიან VIS-ში რეგისტრირებულები, ამ რეგულაციის 16(1) მუხლის (დ) პუნქტით გათვალისწინებული სახის გამოსახულება და ამ რეგულაციის 17(1) მუხლის (გ) პუნქტით განსაზღვრული დაქტილოსკოპიური მონაცემები.

3. ამ მუხლის მე-2 პარაგრაფისგან დეროგაციის სახით, თუ ვრცელდება (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის “B” ნაწილის „H“ პუნქტით განსაზღვრული საფუძველი და SIS-

ის ჩანაწერში აღრიცხულია მესამე ქვეყნის მოქალაქის ბიომეტრიული მონაცემები, რაც იწვევს შესვლაზე უარის თქმას, EES-ში არ უნდა იქნას შეყვანილი ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ბიომეტრიული მონაცემები.

4. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეს შესვლაზე უარს ეუბნებიან (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის “B” ნაწილის „I“ პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით და EES-ში არ არის რეგისტრირებული ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის საქმე ბიომეტრიული მონაცემებით, EES-ში ბიომეტრიული მონაცემები შეყვანილ უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც შესვლაზე უარი განპირობებულია იმით, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე მიჩნეულია საფრთხედ შიდა უშიშროების მიმართ, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო პოლიტიკის ელემენტების მიმართ.
5. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეს შესვლაზე უარს ეუბნებიან (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის “B” ნაწილის „I“ პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, სასაზღვრო უწყებამ უნდა შექმნას ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირადი საქმე ბიომეტრიული მონაცემების აღრიცხვის გარეშე. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს eMRTD-ის, სახის გამოსახულება ამოღებულ უნდა იქნას eMRTD-დან.
6. თუ სასაზღვრო უწყებამ, (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის მე-14 მუხლის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის თ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოკლევადიანი ვიზიტის მიზნი შესვლაზე უარის თქმის შესახებ, ჩამოთვლილი მონაცემები შეყვანილ უნდა იქნას ცალკე ჩანაწერში შესვლაზე უარის შესახებ:

(ა) შესვლაზე უარის თქმის დრო და თარიღი;

(ბ) სასაზღვრო პუნქტი;

(გ) ორგანო, რომელმაც უარი უთხრა შესვლაზე;

(დ) შესვლაზე უარის თქმის საფუძვლები (EU) 2016/399 რეგულაციის V დანართის “B” ნაწილის შესაბამისი პუნქტ(ებ)ის მიხედვით.

გარდა ამისა, იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერში უნდა აღრიცხოს ამ რეგულაციის 16(2) მუხლის (დ)-(ზ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები.

შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერის შესაქმნელად ან გასაახლებლად იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, შესაძლებელია უფლებამოსილი სასაზღვრო ორგანოს მიერ ამ რეგულაციის 16(2) მუხლის (დ), (ე) და (ვ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების VIS-იდან ამოღება და EES-ში იმპორტირება, (EC) No 767/2008 რეგულაციის 18ა მუხლის შესაბამისად.

7. მე-6 პუნქტით განსაზღვრული შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერი უნდა დაუკავშირდეს შესაბამისი მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეს.

მუხლი 18

მოკლევადიანი ყოფნის ნებართვის გაუქმების, ანულირების ან ვადის გაგრძელების შემთხვევაში დასამატებელი მონაცემები

1. თუ მიღებულია გადაწყვეტილება მოკლევადიანი ვიზიტის ნებართვის ან ვიზის გაუქმების ან ანულირების, ან ნებადართული ყოფნის ან ვიზის ვადის გაგრძელების შესახებ, ამ გადაწყვეტილების მიმღებმა კომპეტენტურმა ორგანომ შესვლა/გასვლის შესახებ შესაბამის უახლეს ჩანაწერში უნდა შეიყვანოს შემდეგი მონაცემები:
 - (ა) სტატუსის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მიუთითებდეს, რომ მოკლევადიანი ვიზიტის ან ვიზის ნებართვა გაუქმებული ან ანულირებულია, ან რომ ნებადართული ყოფნის ან ვიზის ვადა გაგრძელებულია;
 - (ბ) იმ ორგანოს ვინაობა, რომლის მიერაც გაუქმდა ან ანულირდა მოკლევადიანი ვიზიტის ნებართვა ან ვიზა, ან გაგრძელდა ნებადართული ყოფნის ან ვიზის ვადა;
 - (გ) გადაწყვეტილების თარიღი და ადგილი, რომლის საფუძველზეც გაუქმდა ან ანულირდა მოკლევადიანი ვიზიტის ნებართვა ან ვიზა, ან გაგრძელდა ნებადართული ყოფნის ან ვიზის ვადა;
 - (დ) საჭიროების შემთხვევაში, ვიზის ახალი სტიკერის ნომერი, მათ შორის, გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი;
 - (ე) საჭიროების შემთხვევაში, პერიოდი, რომლითაც გაგრძელდა ნებადართული ყოფნის ვადა;
 - (ვ) საჭიროების შემთხვევაში, ნებადართული ყოფნის ან ვიზის ვადის ამოწურვის ახალი თარიღი.
2. თუ ნებადართული ყოფნის ვადა გაგრძელებულია შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 20(2) მუხლის შესაბამისად, ნებადართული ვადის გამგრძელებელმა კომპეტენტურმა ორგანომ შესვლა/გასვლის შესახებ შესაბამის უახლეს ჩანაწერში უნდა დაამატოს მონაცემები იმ პერიოდის შესახებ, რომლითაც გაგრძელდა ნებადართული ყოფნის ვადა და, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითოს, რომ ნებადართული ყოფნის ვადა გაგრძელდა შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 20(2) მუხლის (ბ) პუნქტის შესაბამისად.
3. თუ მიღებულია გადაწყვეტილება ვიზის ანულირების, გაუქმების ან გაგრძელების შესახებ, ასეთი გადაწყვეტილების მიმღებმა სავიზო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა ამოიღოს ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული მონაცემები VIS-დან და მოახდინოს მათი იმპორტირება პირდაპირ EES-ში, (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად.

4. შესვლა/გასვლის შესახებ ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს მოკლევადიანი ვიზიტის გაუქმების ან ანუღირების საფუძვლები, კერძოდ:
 - (ა) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008/115/EC დირექტივის (40) შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ;
 - (ბ) წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის დაბრუნება, გაძევება ან ნებაყოფლობით გამგზავრება, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის პირობებს.
5. შესვლა/გასვლის შესახებ ჩანაწერი უნდა მიუთითებდეს ნებადართული ყოფნის ვადის გაგრძელების საფუძვლებს.
6. თუ პირი გაემგზავრა ან გააძევეს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან ამ მუხლის მე-4 პარაგრაფით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპეტენტურმა ორგანომ ამ კონკრეტულ შესვლასთან დაკავშირებულ შესვლა/გასვლის შესახებ ჩანაწერში 14(2) მუხლის შესაბამისად უნდა შეიყვანოს მონაცემები.

მუხლი 20

მონაცემები, რომლებიც უნდა დაემატოს იმ შემთხვევაში, თუ გაბათილებულია პრეზუმფცია, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე არ აკმაყოფილებს ნებადართული ყოფნის ვადის პირობებს

22-ე მუხლის მოქმედების შეუზღუდავად, თუ არ EES-ში არ შემქნილა მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის პირადი საქმე, რომელიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება ან არ არსებობს ასეთი მესამე ქვეყნის მოქალაქის შესვლა/გასვლის შესახებ შესაბამისი უახლესი ჩანაწერი, კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე არ ან აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებადართული ყოფნის ვადასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამოიყენება (EU) 2016/399 რეგულაციის მე-12 მუხლი. თუ პრეზუმფცია ბათილდება ამ რეგულაციის 12(3) მუხლის შესაბამისად, კომპეტენტური ორგანო ვალდებულია:

- (ა) საჭიროებისამებრ, EES-ში შექმნას ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირადი საქმე;
- (ბ) გაახლოს შესვლა/გასვლის შესახებ უახლესი ჩანაწერი გამოტოვებული მონაცემების შეყვანის გზით, ამ რეგულაციის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად; ან
- (გ) წაშალოს არსებული საქმე, როდესაც აღნიშნულს ითვალისწინებს ამ რეგულაციის 35-ე მუხლი.

მუხლი 21

სარეზერვო პროცედურები მონაცემთა შეყვანის ტექნიკურად შეუძლებლობის ან EES-ის გაუმართაობის შემთხვევაში

1. EES-ის ცენტრალურ სისტემაში მონაცემთა შეყვანის ტექნიკური შეუძლებლობის ან ამ სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში, 16-20 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემები დროებით ინახება NUI-ში. თუ ეს შეუძლებელია, მონაცემები დროებით ინახება ადგილობრივად, ელექტრონულ ფორმატში. ორივე შემთხვევაში, მონაცემები EES-ში შეყვანილ უნდა იქნას ტექნიკური შეუძლებლობის ან გაუმართაობის აღმოფხვრისთანავე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები და უზრუნველყონ საჭირო ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და რესურსები იმისათვის, რომ ადგილობრივად შენახვა შესაძლებელი იყოს ნებისმიერ დროს, თავიანთი ნებისმიერი სასაზღვრო პუნქტისთვის.
2. (EU) 2016/399 რეგულაციით გათვალისწინებული სასაზღვრო შემოწმების ჩატარების ვალდებულების მოქმედების შეუზღუდავად, გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ტექნიკურად შეუძლებელია მონაცემთა შეყვანა როგორც EES-ის ცენტრალურ სისტემაში, ისე NUI-ში, ასევე, მონაცემთა დროებით ადგილობრივად შენახვა ელექტრონულ ფორმატში, სასაზღვრო უწყებამ, ამ რეგულაციის 16-20 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემები — ბიომეტრიული მონაცემების გარდა — უნდა შეინახოს მატერიალური ფორმით და მესამე ქვეყნის მოქალაქის სამგზავრო დოკუმენტში დასვას შესვლის ან გასვლის შტამპი. ეს მონაცემები EES-ის ცენტრალურ სისტემაში შეყვანილ უნდა იქნას ტექნიკური შესაძლებლობისთანავე.

წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ სამგზავრო დოკუმენტში შტამპის დასმის თაობაზე ამ პუნქტის პირველ პუნქტში ნახსენებ გამონაკლის შემთხვევებში. კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები, რომლებიც განსაზღვრავს დეტალურ წესებს კომისიისთვის წარსადგენ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას 68(2) მუხლით გათვალისწინებული გამოკვლევის პროცედურის შესაბამისად.

3. EES-მა უნდა მიუთითოს, რომ სარეზერვო პროცედურის შედეგად შეტანილ იქნა 16-20 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემები და ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად შექმნილ პირად საქმეში არ არის ბიომეტრიული მონაცემები. ბიომეტრიული მონაცემები EES-ში შეყვანილ უნდა იქნას შემდეგ სასაზღვრო პუნქტში.

მუხლი 22

გარდამავალი პერიოდი და ზომები

1. EES-ის ფუნქციონირების დაწყებიდან 180 დღის განმავლობაში, შესვლისას და გასვლისას იმის შემოწმებისთვის, რომ დაშვებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეს არ გადაუჭარბებია ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ვადისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, იმის შემოწმებისთვის, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეს არ გადაუჭარბებია ერთი ან ორი შესვლის უფლებით გაცემული მოკლევადიანი ვიზით ნებადართული შესვლების რაოდენობისთვის, კომპეტენტურმა ორგანოებმა — EES-ში აღრიცხულ შესვლა/გასვლის მონაცემებთან ერთად სამგზავრო დოკუმენტებში შტამპების შემოწმების გზით — უნდა გაითვალისწინონ შესვლამდე ან გასვლამდე 180 დღით ადრე განხორციელებული ვიზიტები წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.
2. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევიდა EES-ის ფუნქციონირების დაწყებამდე და ტერიტორიას დატოვებს EES-ის ფუნქციონირების დაწყების შემდგომ, გასვლისას უნდა შეიქმნას პირადი საქმე და შესვლა/გასვლის შესახებ ჩანაწერში 16(2) მუხლის შესაბამისად შეყვანილ უნდა იქნას შესვლის თარიღი, როგორც ასახულია პასპორტში დასმულ შტამპში. ეს წესი არ შემოსაზღვრება EES-ის ფუნქციონირების დაწყების შემდგომი 180-დღიანი პერიოდით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით. შესვლის დროს დასმულ შტამპსა და EES-ის მონაცემებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შტამპს.

მუხლი 23

მონაცემთა შემოწმების მიზნებისთვის გამოყენება იმ საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES

1. სასაზღვრო უწყებებს უნდა ჰქონდეთ EES-ზე წვდომა მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობისა და წინა რეგისტრაციის დასადგენად, საჭიროებისამებრ EES-ის მონაცემების გასაახლებლად და მონაცემთა გადასამოწმებლად იმ მოცულობით, რაც საჭიროა სასაზღვრო შემოწმებისთვის.
2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისას, სასაზღვრო უწყებებს უნდა ჰქონდეთ ძიებაზე წვდომა 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) და 17(1) მუხლის (ა) პუნქტებში მითითებული მონაცემების გამოყენებით.

გარდა ამისა, (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-18 მუხლის შესაბამისად შემოწმების გასახორციელებლად VIS-ის გადამოწმების მიზნებისთვის, მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, სასაზღვრო უწყებებმა პირდაპირ EES-იდან უნდა ჩაუშვან ძიება VIS-ში იმავე ასო-ციფრული მონაცემების გამოყენებით ან, საჭიროების შემთხვევაში, გაეცნონ VIS-ს (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-18(2ა) მუხლის შესაბამისად.

თუ EES-ში ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემებით მიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, სასაზღვრო უწყებებმა მესამე ქვეყნის მოქალაქის ცოცხალ რეჟიმში არსებული სახის გამოსახულება უნდა შეადარონ ამ რეგულაციის 16(1) მუხლის (დ) და 17(1) მუხლის (ბ) პუნქტებით განსაზღვრულ სახის გამოსახულებას ან, ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, გადავიდნენ ანაბეჭდების EES-თან მიმართებით შემოწმებაზე და, ვიზის მოთხოვნას დაქვემდებარებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, გადავიდნენ მონაცემთა შემოწმებაზე პირდაპირ VIS-თან მიმართებით, (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-18 მუხლის შესაბამისად. ვიზის მფლობელთა შემთხვევაში ანაბეჭდების VIS-თან მიმართებით შემოწმებისთვის, სასაზღვრო უწყებას შეუძლია VIS-ში მიების ჩაშვება პირდაპირ EES-დან, როგორც გათვალისწინებულია ზემოხსენებული რეგულაციის 18(6) მუხლით.

თუ სახის გამოსახულებით შემოწმება წარუმატებელი აღმოჩნდება, ის უნდა განხორციელდეს ანაბეჭდების გამოყენებით და პირიქით.

3. თუ მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით მიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, სასაზღვრო უწყებას უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში არსებული მონაცემები და შესვლა/გასვლის, შესვლაზე უარის შესახებ ან მასთან დაკავშირებული ჩანაწერები.
4. თუ ამ მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული ასო-ციფრული მონაცემებით მიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, წარუმატებლად განხორციელდება შემოწმება ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად ან არსებობს ეჭვი ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობასთან დაკავშირებით, სასაზღვრო უწყებას უნდა მიეცეს წვდომა მონაცემებზე ამ რეგულაციის 27-ე მუხლის შესაბამისად იდენტიფიკაციისთვის.

ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის გარდა, გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი დებულებები:

(ა) მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა, თუ VIS-ში მიება (EC) No 767/2008 რეგულაციის 18(1) მუხლით გათვალისწინებული მონაცემებით აჩვენებს, რომ VIS-ში აღრიცხულია მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები, უნდა განხორციელდეს ანაბეჭდებით შემოწმება VIS-თან მიმართებით, (EC) No 767/2008 რეგულაციის 18(5) მუხლის შესაბამისად. ამ მიზნით, სასაზღვრო უწყებამ შეიძლება ჩაუშვას მიება EES-დან VIS-ში, როგორც გათვალისწინებულია (EC) No 767/2008 რეგულაციის 18(6) მუხლით. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქის შემოწმება ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად წარუმატებლად განხორციელდება, (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-20 მუხლის შესაბამისად იდენტიფიკაციისთვის სასაზღვრო უწყებებს უნდა ჰქონდეთ წვდომა VIS-ის მონაცემებზე.

(ბ) მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებზეც არ ვრცელდება ვიზის მოთხოვნა და რომელთა მონაცემებიც ვერ იქნება მოძიებული EES-ში ამ რეგულაციის 27-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული საიდენტიფიკაციო შემოწმების შემდგომ, უნდა გადამოწმდეს VIS (EC) No 767/2008 რეგულაციის 19ა მუხლის შესაბამისად. სასაზღვრო უწყებას შეუძლია ჩაუშვას ძიება EES-იდან VIS-ში, როგორც განსაზღვრულია EC) No 767/2008 რეგულაციის 19ა მუხლით.

5. მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შემთხვევაში, რომელთა მონაცემებიც უკვე აღრიცხულია EES-ში, თუმცა რომელთა პირადი საქმე EES-ში შექმნა წევრმა სახელმწიფომ, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ ფუნქციონირებს EES და რომელთა მონაცემების EES-ში შეყვანილ იქნა მოკლევადიან ეროვნულ ვიზაზე დაყრდნობით, სასაზღვრო უწყებებმა უნდა გადაამოწმონ VIS მე-4 პარაგრაფის მე-2 ქვეპუნქტის (ა) პუნქტის შესაბამისად, როდესაც მესამე ქვეყნის მოქალაქე პირადი საქმის შექმნის შემდეგ პირველად დააპირებს იმ წევრი სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას, სადაც სრულად მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) და ფუნქციონირებს EES.

თავი III

EES-ის გამოყენება სხვა ორგანოების მიერ

მუხლი 24

EES-ის გამოყენება სავიზო განაცხადების განხილვისა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად

1. (EC) No 810/2009 რეგულაციის შესაბამისად სავიზო განაცხადების განხილვისა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების — მათ შორის, გაცემული ვიზის ანულისების, გაუქმების ან მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებების — მიღების მიზნით, სავიზო ორგანოებმა უნდა გადაამოწმონ EES.

გარდა ამისა, იმ წევრი სახელმწიფოს სავიზო ორგანომ, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ ფუნქციონირებს EES, უნდა გაეცნოს EES-ს მოკლევადიან ეროვნულ ვიზაზე განაცხადების განხილვისას და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას — მათ შორის, გაცემული მოკლევადიანი ეროვნული ვიზის ანულისების, გაუქმების ან მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

2. სავიზო ორგანოებს უნდა მიეცეთ წვდომა EES-ში პირდაპირ VIS-იდან ძიებაზე ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მონაცემის გამოყენებით:

(ა) 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით განსაზღვრული მონაცემები;

(ბ) მოკლევადიანი ვიზის სტიკერის ნომერი, მათ შორის, გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი, როგორც განსაზღვრულია 16(2) მუხლის (დ) პუნქტით;

(გ) დაქტილოსკოპიური მონაცემები ან სახის გამოსახულებასთან კომბინირებული დაქტილოსკოპიური მონაცემები.

3. თუ მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები აღრიცხულია EES-ში, სავიზო ორგანოებს უნდა მიეცეთ წვდომა, რომ გაეცნონ ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში არსებულს მონაცემებს და შესვლა/გასვლის ჩანაწერებს, ასევე, ამ პირად საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ჩანაწერს შესვლაზე უარის თქმის შესახებ. სავიზო ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს ავტომატური კალკულატორი ნებადართული ყოფნის დარჩენილი მაქსიმალური ვადის შესამოწმებლად. სავიზო ორგანოს ასევე უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს EES და ავტომატური კალკულატორი ახალი სავიზო განაცხადების განხილვისას და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას, რათა ავტომატურად დაადგინონ ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ვადა.
4. იმ წევრი სახელმწიფოს სავიზო ორგანოს, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ ფუნქციონირებს EES, უნდა მიეცეს წვდომა EES-ში ძიებაზე მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მონაცემის გამოყენებით. თუ ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები აღრიცხულია EES-ში, სავიზო ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში არსებული მონაცემები და შესვლა/გასვლის ჩანაწერები, ასევე, ამ პირად საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერ ჩანაწერს შესვლაზე უარის თქმის შესახებ. იმ წევრი სახელმწიფოს სავიზო ორგანოს, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ ფუნქციონირებს EES, უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს ავტომატური კალკულატორი ნებადართული ყოფნის დარჩენილი მაქსიმალური ვადის შესამოწმებლად. სავიზო ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს EES და ავტომატური კალკულატორი ახალი სავიზო განაცხადების განხილვისას და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას, რათა ავტომატურად დაადგინონ ნებადართული ყოფნის მაქსიმალური ვადა.

მუხლი 25

EES-ის გამოყენება ფასილიტაციის ეროვნულ პროგრამებზე წვდომასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვისას

1. (EU) 2016/399 რეგულაციის 8დ მუხლით განსაზღვრულმა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გადაამოწმონ EES ამავე მუხლით გათვალისწინებულ ფასილიტაციის ეროვნულ პროგრამებზე წვდომასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვისა და მათთან

დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების მიზნით — რაც მოიცავს, მათ შორის, გადაწყვეტილებებს ფასილიტაციის ეროვნულ პროგრამებზე წვდომაზე უარის თქმის, მისი გაუქმების ან წვდომის ვადის გაგრძელების შესახებ, ამავე მუხლის შესაბამისად.

2. კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიეცეთ წვდომა ძიებაზე შემდეგი ერთი ან რამდენიმე მონაცემით:

(ა) 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით ან 17(1) მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები;

(ბ) დაქტილოსკოპიური მონაცემები ან სახის გამოსახულებასთან კომბინირებული დაქტილოსკოპიური მონაცემები.

3. თუ მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები აღრიცხულია EES-ში, კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში არსებული მონაცემები და შესვლა/გასვლის ჩანაწერები, ასევე, ამ პირად საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ჩანაწერს შესვლაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 26

მონაცემებზე წვდომა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შემოწმების მიზნით

1. მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობის დასადგენად ან იმის შესამოწმებლად ან დასადგენად, დაკმაყოფილებულია თუ არა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ან/და ყოფნის პირობები, წევრი სახელმწიფოების საიმიგრაციო ორგანოებს უნდა მიეცეთ წვდომა ძიებაზე 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით ან 17(1) მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გამოყენებით.

თუ აღნიშნული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები აღრიცხულია EES-ში, საიმიგრაციო ორგანოს შეუძლია:

(ა) შეადაროს მესამე ქვეყნის მოქალაქის ცოცხალ რეჟიმში არსებული სახის გამოსახულება (“live image”) ამ რეგულაციის 16(1) მუხლის (დ) და 17(1) მუხლის (ბ) პუნქტებით გათვალისწინებულ სახის გამოსახულებას; ან

(ბ) განახორციელოს ანაბეჭდების შემოწმება ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში EES-ში, ხოლო ვიზის მოთხოვნას დაქვემდებარებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში — VIS-ში, (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-19 მუხლის შესაბამისად.

2. თუ 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები აღრიცხულია EES-ში, საიმიგრაციო ორგანოს წვდომა, რომ

გადაამოწმოს ავტომატური კალკულატორი, ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში არსებული მონაცემებს, შესვლა/გასვლის ჩანაწერ(ებ)ს ან ამ პირად საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერ ჩანაწერს შესვლაზე უარის თქმის შესახებ.

6. თუ 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, წარუმატებლად განხორციელდება მესამე ქვეყნის მოქალაქის შემოწმება ან არსებობს ეჭვი ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობასთან დაკავშირებით, საიმიგრაციო ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა მონაცემებზე ამ რეგულაციის 27-ე მუხლის შესაბამისად იდენტიფიკაციისთვის.

მუხლი 27

მონაცემებზე წვდომა იდენტიფიკაციის მიზნით

1. სასაზღვრო ან საიმიგრაციო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ძიებაზე დაქტილოსკოპიური ან სახის გამოსახულებასთან კომბინირებული დაქტილოსკოპიური მონაცემების გამოყენებით, მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაადგინონ ნებისმიერი იმ მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობა, რომელიც შეიძლება ადრე იყოს რეგისტრირებული EES-ში სხვა ვინაობით ან რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის პირობებს.

დაქტილოსკოპიური ან სახის გამოსახულებასთან კომბინირებული დაქტილოსკოპიური მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, იდენტიფიკაციის მიზნით მონაცემებზე წვდომა უნდა განხორციელდეს VIS-ში, (EC) No 767/2008 რეგულაციის მე-20 მუხლის შესაბამისად. საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES, კომპეტენტურმა ორგანოებმა, VIS-თან მიმართებით რაიმე ტიპის იდენტიფიკაციის განხორციელებამდე, პირველ რიგში უნდა შეამოწმონ VIS (EC) No 767/2008 რეგულაციის 18 ან 19 მუხლების შესაბამისად.

თუ ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ანაბეჭდების გამოყენება შეუძლებელია ან დაქტილოსკოპიური ან სახის გამოსახულებასთან კომბინირებული დაქტილოსკოპიური მონაცემებით ძიება წარუმატებელი აღმოჩნდება, ძიება უნდა განხორციელდეს 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით ან 17(1) მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული ყველა ან ზოგიერთი მონაცემით.

2. თუ 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის პირად საქმეში არსებული მონაცემები და შესვლა/გასვლის ჩანაწერები, ასევე, ამ პირად საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ჩანაწერს შესვლაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 28

EES-იდან ამოღებული მონაცემების შენახვა

საჭიროებისამებრ შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში ამ თავის შესაბამისად EES-იდან ამოღებული მონაცემების ეროვნულ ფაილებში შენახვა იმ მიზნის შესაბამისად, რის საფუძველზეც იქნა ისინი ამოღებული და ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის — კერძოდ კი, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის — დაცვით და არაუმეტეს იმ ვადით, რაც მკაცრად აუცილებელია ამ ცალკეულ შემთხვევაში.

თავი IV

სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პროცედურა და პირობები

მუხლი 29

წვერი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოები

1. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილები არიან, გაეცნონ EES-ის მონაცემებს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამომიების მიზნით.
2. თითოეულმა წვერმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს დანიშნულ ორგანოთა სია. თითოეულმა წვერმა სახელმწიფომ უნდა შეატყობინოს eu-LISA-სა და კომისიას თავისი დანიშნული ორგანოს შესახებ და ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი შეტყობინების ცვლილება ან ჩანაცვლება.
3. თითოეულმა წვერმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ცენტრალური წვდომის პუნქტი, რომელსაც ექნება EES-ზე წვდომა. ცენტრალურმა წვდომის პუნქტმა უნდა მოახდინოს იმის შემოწმება, რომ დაკმაყოფილებულია 32 მუხლით განსაზღვრული წვდომის მოთხოვნის პირობები.

დანიშნული ორგანო და ცენტრალური წვდომის პუნქტი შეიძლება ერთი და იმავე ორგანიზაციის ნაწილი იყოს, თუ ეროვნული კანონმდებლობით დასაშვებია, მაგრამ ცენტრალური წვდომის პუნქტი ამ რეგულაციით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისას უნდა მოქმედებდეს დანიშნული ორგანოსგან დამოუკიდებლად. ცენტრალური წვდომის პუნქტი უნდა იყოს დანიშნული ორგანოსგან განცალკევებული და მისგან არ უნდა იღებდეს მითითებებს შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც მან დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს.

წვერმა სახელმწიფოებმა შეიძლება დანიშნონ ერთზე მეტი ცენტრალური წვდომის პუნქტი თავიანთი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურების გათვალისწინებით, კონსტიტუციური ან სამართლებრივი მოთხოვნების დაცვის მიზნით.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ eu-LISA-სა და კომისიას თავიანთი ცენტრალური წვდომის პუნქტების შესახებ და ნებისმიერ დროს შეუძლია თავიანთი შეტყობინებების ცვლილება ან ჩანაცვლება.
5. ეროვნულ დონეზე, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს დანიშნულ ორგანოებში იმ საოპერაციო განყოფილებების სია, რომლებიც უფლებამოსილები არიან, ცენტრალური წვდომის პუნქტების გავლით მოითხოვონ EES-ზე წვდომა.
6. ცენტრალური წვდომის პუნქტების მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ EES-ზე წვდომის უფლება 31-ე და 32-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 30

ევროპოლი

1. ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიების გზით წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, ევროპოლმა თავისი ერთ-ერთი საოპერაციო განყოფილება უნდა დანიშნოს „ევროპოლის დანიშნულ ორგანოდ“ და მიანიჭოს უფლებამოსილება, მოითხოვოს EES-წვდომა ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტის გავლით, რომელიც განსაზღვრულია მე-2 პარაგრაფით.
7. ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტად ევროპოლმა უნდა დანიშნოს სპეციალიზებული განყოფილება, რომელსაც ეყოლება ევროპოლის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლები. ევროპოლის ცენტრალურმა წვდომის პუნქტმა უნდა მოახდინოს იმის შემოწმება, რომ დაკმაყოფილებულია 32 მუხლით განსაზღვრული წვდომის მოთხოვნის პირობები.
2. ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტი ამ რეგულაციით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისას უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად და ევროპოლის დანიშნული ორგანოსგან არ უნდა იღებდეს მითითებებს შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით.

მუხლი 31

სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პროცედურა

1. EES-ის მონაცემებზე წვდომისთვის, 29(5) მუხლით განსაზღვრულმა საოპერაციო განყოფილებამ უნდა წარუდგინოს დასაბუთებული ელექტრონული ან წერილობითი მოთხოვნა 29(3) მუხლით განსაზღვრულ ცენტრალური წვდომის პუნქტს. წვდომის მოთხოვნის მიღებისთანავე, აღნიშნულმა ცენტრალურმა წვდომის პუნქტმა უნდა მოახდინოს იმის შემოწმება, რომ დაკმაყოფილებულია 32 მუხლით განსაზღვრული წვდომის პირობები. თუ წვდომის პირობები დაკმაყოფილებულია, აღნიშნულმა

ცენტრალურმა წვდომის პუნქტმა უნდა დაამუშაოს მოთხოვნა. EES-ის მონაცემები, რომლებზეც განხორციელდა წვდომა, უნდა გადაეცეს 29(5) მუხლით განსაზღვრულ საოპერაციო განყოფილებას ისე, რომ არ დაირღვეს მონაცემთა უსაფრთხოება.

2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ტერორისტულ ან სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული გარდაუვალი საფრთხის პრევენცია, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს, 29(3) მუხლით განსაზღვრულმა ცენტრალური წვდომის პუნქტმა დაუყოვნებლივ უნდა დაამუშაოს მოთხოვნა და მხოლოდ *ex post* მოახდინოს იმის შემოწმება, რომ 32-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მათ შორის, იმის შემოწმება, რომ ნამდვილად არსებობდა გადაუდებელი შემთხვევა. *Ex post* შემოწმება უნდა განხორციელდეს არასაჭირო დაყოვნების გარეშე და, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს მოთხოვნის დამუშავებიდან შვიდ სამუშაო დღეში.
3. თუ *ex post* შემოწმებით დადგინდება, რომ EES-ის მონაცემებზე წვდომა არ იყო გამართლებული, ყველა ორგანომ, რომელთაც მიეცათ წვდომა ასეთ მონაცემებზე, უნდა წაშალოს EES-იდან მოპოვებული ინფორმაცია და წაშლის თაობაზე აცნობონ წევრი სახელმწიფოს შესაბამის ცენტრალური წვდომის პუნქტს, რომელსაც წარედგინა მოთხოვნა.

მუხლი 32

დანიშნული ორგანოების მიერ EES-ზე წვდომის პირობები

1. დანიშნულ ორგანოებს შეიძლება მიეცეთ EES-ზე წვდომა მისი გადამოწმების მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:
 - (ა) გადამოწმების მიზნით წვდომა აუცილებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის აღკვეთის, გამოვლენის ან გამომიებისთვის;
 - (ბ) გადამოწმების მიზნით წვდომა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი და პროპორციულია;
 - (გ) არსებობს მტკიცებულება ან გონივრული საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ EES-ის მონაცემების გადამოწმება ხელს შეუწყობს შესაბამისი სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთას, გამოვლენას ან გამომიებას, კერძოდ კი, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ექვმიტანილი, დამნაშავე ან მსხვერპლი ექცევა ამ რეგულაციით გათვალისწინებული კატეგორიის ქვეშ.
2. EES-ზე წვდომა, როგორც ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის უცნობი ექვმიტანილების, დამნაშავეების ან სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინსტრუმენტი, დაშვებულ უნდა იქნას, როდესაც, 1-ელ პარაგრაფში გათვალისწინებულ პირობებთან ერთად, დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

(ა) მანამდე განხორციელდა ძიება ეროვნულ მონაცემთა ბაზებში; და

(ბ) ანაბეჭდებით ძიების შემთხვევაში, მანამდე ჩაშვებულ იქნა ძიება ყველა სხვა წევრი სახელმწიფოს თითის ანაბეჭდით ავტომატური იდენტიფიცირების სისტემებში საბჭოს 2008/615/JHA გადაწყვეტილების შესაბამისად, სადაც ტექნიკურად შესაძლებელია ანაბეჭდების შედარება, და ან სრულად ჩატარდა ძიება ან იგი სრულად არ განხორციელებულა ჩაშვებიდან ორი დღის განმავლობაში.

თუმცა, არ გამოიყენება პირველი ქვეპუნქტის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული დამატებითი პირობები, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ სხვა წევრი სახელმწიფოების სისტემებთან შედარებით არ დადგინდება მონაცემთა სუბიექტის ვინაობა ან, გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ტერორისტულ ან სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული გარდაუვალი საფრთხის პრევენცია, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს. ეს გონივრული საფუძველები შეტანილ უნდა იქნას ელექტრონულ ან წერილობით მოთხოვნაში, რომელსაც დანიშნული ორგანოს საოპერაციო განყოფილება წარუდგენს ცენტრალური წვდომის პუნქტს.

EES-ის გადამოწმების მოთხოვნის პარალელურად შეიძლება წარდგენილ იქნას VIS-ის გადამოწმების მოთხოვნა მონაცემთა იმავე სუბიექტთან დაკავშირებით, საბჭოს 2008/633/JHA (41) გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. EES-ზე წვდომა, როგორც ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ცნობილი ექვმიტანილების, დამნაშავეების ან სავარაუდო მსხვერპლთა სამოგზაურო ისტორიისა და წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდების გადამოწმების ინსტრუმენტი, დაშვებულ უნდა იქნას, როდესაც დაკმაყოფილებულია 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული პირობები.

4. EES-ის გადამოწმება იდენტიფიკაციის მიზნით, როგორც განსაზღვრულია მე-2 პარაგრაფით, უნდა შემოიფარგლებოდეს პირად საქმეში ძიებით EES-ის რომელიმე შემდეგი მონაცემით:

(ა) ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან FTD-ის მფლობელების ანაბეჭდები. EES-ში აღნიშნული გადამოწმების ჩასაშვებად შესაძლებელია ლატენტური ანაბეჭდების გამოყენება და, შესაბამისად, EES-ში დაცულ ანაბეჭდებთან შედარება;

(ბ) სახის გამოსახულებები.

EES-ის გადამოწმება, მონაცემთა დამთხვევის შემთხვევაში, იძლევა წვდომას 16(1) და (6), 17(1) და 18(1) მუხლებში ჩამოთვლილ ნებისმიერ სხვა მონაცემებზე, რომელიც ამოღებულია პირადი საქმიდან.

5. EES-ის გადამოწმება მესამე ქვეყნის მოქალაქის სამოგზაურო ისტორიისთვის უნდა შემოიფარგლებოდეს პირად საქმეში, შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის ჩანაწერებში EES-ის ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მონაცემის ძიებით:

- (ა) გვარი; სახელ(ებ)ი; დაბადების თარიღი; ეროვნება ან ეროვნებები; სქესი;
 - (ბ) სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის ტიპი და ნომერი, მისი გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი, მისი მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი;
 - (გ) ვიზის სტიკერის ნომერი და ვიზი სმოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი;
 - (დ) ანაბეჭდები, მათ შორის, ლატენტური ანაბეჭდები;
 - (ე) სახის გამოსახულება;
 - (ვ) შესვლის დრო და თარიღი, შესვლისთვის გამოყენებული სასაზღვრო პუნქტი და ორგანო, რომელმაც გასცა შესვლაზე დაშვება;
 - (ზ) გასვლის დრო და თარიღი და გასასვლელად გამოყენებული სასაზღვრო პუნქტი.
- EES-ის გადამოწმება, მონაცემთა დამთხვევის შემთხვევაში, იძლევა წვდომას პირველ ქვეპუნქტში ჩამოთვლილ მონაცემებზე, ასევე, პირადი საქმიდან, შესვლა გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერებიდან ამოღებულ ნებისმიერ სხვა მონაცემზე, მათ შორის, მე-19 მუხლის შესაბამისად მოკლევადიანი ვიზიტის ნებართვის გაუქმებასთან ან გაგრძელებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე.

მუხლი 33

ევროპოლის მიერ EES-ზე წვდომის პროცედურა და პირობები

1. ევროპოლს უნდა მიეცეს EES-ზე წვდომა გადამოწმების მიზნით, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:
 - (ა) გადამოწმება აუცილებელია წევრი სახელმწიფოების ქმედების ხელშესაწყობად და გასაძლიერებლად ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიებისთვის, რომლებიც ექცევა ევროპოლის მანდატში;
 - (ბ) გადამოწმება კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი და პროპორციულია;
 - (გ) არსებობს მტკიცებულება ან გონივრული საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ EES-ის მონაცემების გადამოწმება ხელს შეუწყობს შესაბამისი სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთას, გამოვლენას ან გამოძიებას, კერძოდ კი, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ეჭვმიტანილი, დამნაშავე ან მსხვერპლი ექცევა ამ რეგულაციით გათვალისწინებული კატეგორიის ქვეშ.
2. EES-ზე წვდომა, როგორც ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის უცნობი ეჭვმიტანილების, დამნაშავეების ან სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინსტრუმენტი, დაშვებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც

დაკმაყოფილებულია 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული პირობები და შესაბამისი პირის იდენტიფიცირება შეუძლებელი აღმოჩნდა პრიორიტეტის სახით იმ მონაცემთა ბაზებში დაცული მონაცემების გაცნობით, რომლებიც ევროპოლისთვის ტექნიკურად და სამართლებრივად ხელმისაწვდომია.

EES-ის გადამოწმების მოთხოვნის პარალელურად შეიძლება წარდგენილ იქნას VIS-ის გადამოწმების მოთხოვნა მონაცემთა იმავე სუბიექტთან დაკავშირებით, საბჭოს 2008/633/JHA გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. შესაბამისად უნდა გავრცელდეს 32(2), (4) და (5) მუხლით გათვალისწინებული პირობები.
4. ევროპოლის დანიშნულმა ორგანომ 30(2) მუხლით გათვალისწინებულ ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტს შეიძლება წარუდგინოს დასაბუთებული ელექტრონული მოთხოვნა EES-ის ყველა მონაცემის ან მონაცემთა კონკრეტული ერთობლიობის გადამოწმების თაობაზე. წვდომის მოთხოვნის მიღებისთანავე, ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტმა უნდა მოახდინოს იმის შემოწმება, დაკმაყოფილებულია თუ არა ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პარაგრაფებით გათვალისწინებული პირობები. თუ დაკმაყოფილებულია წვდომის ყველა პირობა, ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტის სათანადოდ უფლებამოსილმა თანამშრომლებმა უნდა დაამუშაონ მოთხოვნები. EES-ის მონაცემები, რომლებზე წვდომაც განხორციელდა, უნდა გადაეცეს ევროპოლის დანიშნულ ორგანოს ისე, რომ არ დაირღვეს მონაცემთა უსაფრთხოება.
5. ევროპოლმა უნდა EES-ის მონაცემების გაცნობით მოპოვებული ინფორმაცია უნდა დაამუშაოს მხოლოდ წარმოშობის წევრი სახელმწიფოს ნებართვით. ნებართვა მოპოვებულ უნდა იქნას ამ წევრი სახელმწიფოს ევროპოლის ეროვნული განყოფილების გავლით.

თავი V

მონაცემთა შენახვა და ცვლილება

მუხლი 34

მონაცემთა შენახვის ვადა

1. პირად საქმესთან დაკავშირებული თითოეული შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის შესახებ ჩანაწერი EES-ის ცენტრალურ სისტემაში ინახება სამი წლის ვადით, რომელიც აითვლება შესაბამისი გასვლის ან შესვლაზე უარის შესახებ ჩანაწერის თარიღიდან.
2. თითოეული პირადი საქმე, მასთან დაკავშირებულ შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის შესახებ ჩანაწერი(ებ)თან ერთად EES-ის ცენტრალურ სისტემაში ინახება სამი წლისა და ერთი დღის ვადით, რომელიც აითვლება გასვლის ან შესვლაზე უარის შესახებ ბოლო ჩანაწერის თარიღიდან, თუ გასვლის ან შესვლაზე უარის შესახებ ბოლო ჩანაწერის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში არ აღრიცხულა შესვლის შესახებ ჩანაწერი.

3. თუ ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვის თარიღის შემდეგ არ აღრიცხულა გასვლის შესახებ ჩანაწერი, მონაცემები ინახება ხუთი წლის ვადით, რომელიც აითვლება ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვის თარიღიდან. EES სამი თვით ადრე ავტომატურად აცნობებს წევრ სახელმწიფოებს ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილ პირთა მონაცემების დაგეგმილი წაშლის თაობაზე, რათა მათ სათანადო ზომების მიღების შესაძლებლობა მისცეს.
4. 1-ლი პარაგრაფიდან დეროგაციის სახით, იმ მესამე ქვეყნის მოქალაქის თითოეული რეგისტრირებული შესვლა/გასვლის ჩანაწერი, რომელსაც აქვს 21(1) მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებული სტატუსი, EES-ში ინახება ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის გასვლიდან, მაქსიმუმ, ერთი წლის ვადით. თუ არ არსებობს გასვლის შესახებ ჩანაწერი, მონაცემები ინახება ხუთი წლის ვადით, რომელიც აითვლება შესვლის შესახებ ბოლო ჩანაწერის თარიღიდან.
5. 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული შენახვის ვადის ამოწურვისთანავე EES-ის ცენტრალური სისტემიდან ავტომატურად უნდა წაიშალოს შესაბამისი მონაცემები.

მუხლი 35

მონაცემთა ცვლილება და წინასწარ წაშლა

1. პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს აქვს უფლება, შეცვალოს მის მიერ EES-ში შეყვანილი მონაცემები შესწორების, შევსების ან წაშლის გზით.
2. თუ პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს აქვს მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც EES-ში აღრიცხული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტი ან არასრულია ან რომ EES-ში ეს მონაცემები დამუშავდა ამ რეგულაციის დარღვევით, მან უნდა შეამოწმოს შესაბამისი მონაცემები და, საჭიროებისამებრ, ისინი EES-ში დაუყოვნებლივ შეასწოროს ან შეავსოს ან EES-იდან დაუყოვნებლივ წაშალოს და, საჭიროების შემთხვევაში, წაშალოს 12(3) მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების სიიდან. მონაცემები ასევე შეიძლება გადამოწმდეს და შესწორდეს, შეივსოს ან წაიშალოს შესაბამისი პირის მოთხოვნის საფუძველზე, 52-ე მუხლის შესაბამისად.
3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პარაგრაფებიდან დეროგაციის სახით, როდესაც პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს გარდა რომელიმე სხვა წევრ სახელმწიფოს აქვს მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც EES-ში აღრიცხული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტი ან არასრულია ან რომ EES-ში ეს მონაცემები დამუშავდა ამ რეგულაციის დარღვევით, მან უნდა შეამოწმოს შესაბამისი მონაცემები, თუ ეს შესაძლებელია პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციის გარეშე, და, საჭიროებისამებრ, ისინი EES-ში დაუყოვნებლივ შეასწოროს ან შეავსოს ან EES-იდან დაუყოვნებლივ წაშალოს და, საჭიროების შემთხვევაში, წაშალოს 12(3) მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების სიიდან. თუ მონაცემთა შემოწმება შეუძლებელია პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციის გარეშე, ის შვიდი დღის განმავლობაში უნდა

დაუკავშირდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ორგანოებს, რის შემდეგაც პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ ერთი თვის განმავლობაში უნდა შეამოწმოს მონაცემთა სიზუსტე და დამუშავების კანონიერება. მონაცემები ასევე შეიძლება გადამოწმდეს და შესწორდეს, შეივსოს ან წაიშალოს მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქის მოთხოვნის საფუძველზე, 52-ე მუხლის შესაბამისად.

4. თუ წევრ სახელმწიფოს აქვს მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც EES-ში ვიზასთან დაკავშირებული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტი ან არასრულია ან რომ EES-ში ეს მონაცემები დამუშავდა ამ რეგულაციის დარღვევით, მან პირველ რიგში უნდა შეამოწმოს ამ მონაცემების სიზუსტე VIS-თან მიმართებით და, საჭიროებისამებრ, ისინი EES-ში შეასწოროს ან შეავსოს ან EES-იდან წაშალოს. თუ VIS-ში აღრიცხული მონაცემები ემთხვევა EES-ში აღრიცხულს, მან VIS-ის ინფრასტრუქტურის გამოყენებით დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წევრ სახელმწიფოს, რომელიც პასუხისმგებელია ამ მონაცემების VIS-ში შეყვანაზე, (EC) No 767/2008 რეგულაციის 24(2) მუხლის შესაბამისად. VIS-ში მონაცემთა შეყვანაზე პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეამოწმოს ეს მონაცემები და, საჭიროებისამებრ, ისინი VIS-ში დაუყოვნებლივ შეასწოროს ან შეავსოს ან VIS-იდან დაუყოვნებლივ წაშალოს. მან ასევე უნდა აცნობოს შესაბამის წევრ სახელმწიფოს, რომელმაც ისინი საჭიროებისამებრ დაუყოვნებლივ უნდა შეასწოროს ან შეავსოს EES-ში ან დაუყოვნებლივ წაშალოს EES-იდან და, საჭიროების შემთხვევაში, წაშალოს 12(3) მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების სიიდან.
5. თუ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ან იმ წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც წარედგინა მოთხოვნა, მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქე წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ იგი იძულებული იყო, დაერღვია ნებადართული ყოფნის ვადა გაუთვალისწინებელი და სერიოზული მოვლენების შედეგად, რომ მოიპოვა ყოფნის კანონიერი უფლება, ან შეცდომების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს მე-12 მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების მონაცემები იმავე მუხლით გათვალისწინებული სიიდან და ისინი შესწორდეს ან შეივსოს EES-ში. რომელიმე ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული ან სამართლებრივი დაცვის არასასამართლო საშუალების მოქმედების შეუზღუდავად, მესამე ქვეყნის ამ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა ეფექტიან სასამართლო დაცვის საშუალებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა შესწორება, შევსება ან წაშლა.
6. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქემ მოიპოვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა ან მოექცა 2(3) მუხლის ფარგლებში 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, EES-დან — ასევე, საჭიროების შემთხვევაში, 12(3) მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების სიიდან — დაუყოვნებლივ და, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც აითვლება იმ თარიღიდან, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქემ 34-ე მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე მოიპოვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა ან მოექცა 2(3) მუხლის ფარგლებში, უნდა წაიშალოს პირადი საქმე და მასთან დაკავშირებული შესვლა/გასვლის ჩანაწერები 16 და 17 მუხლების

შესაბამისად და პირად საქმესთან დაკავშირებული შესვლაზე უარის შესახებ ჩანაწერები მე-18 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული უნდა განახორციელოს:

(ა) წევრმა სახელმწიფომ, რომლის მოქალაქეობაც მოიპოვა პირმა; ან

(ბ) წევრმა სახელმწიფომ, რომელმაც გასცა ბინადრობის ნებართვა ან მოწმობა ან გრძელვადიანი ვიზა.

თუ მესამე ქვეყნის მოქალაქემ მოიპოვა ანდორას, მონაკოს ან სან მარინოს მოქალაქეობა ან თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს ვატიკანის ქალაქსახელმწიფოს მიერ გაცემულ პასპორტს, შემდეგი შესვლისას მან ამ ცვლილების შესახებ უნდა აცნობოს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს. წევრმა სახელმწიფომ მისი მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა წაშალოს EES-იდან. ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა ევექტიან სასამართლო დაცვის საშუალებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა წაშლა.

7. EES-ის ცენტრალურმა სისტემამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ყველა წევრ სახელმწიფოს EES-ის მონაცემების და, საჭიროების შემთხვევაში, 12(3) მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების სიიდან ამომლის შესახებ.

8. თუ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს გარდა სხვა წევრმა სახელმწიფომ შეასწორა, შეავსო ან წაშალა მონაცემები ამ რეგულაციის შესაბამისად, ეს წევრი სახელმწიფო გახდება მათ შესწორებაზე, შევსებაზე ან წაშლაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო. EES-მა უნდა აღრიცხოს მონაცემთა ყველა შესწორება, შევსება და წაშლა.

თავი VI

შემუშავება, ფუნქციონირება და პასუხისმგებლობები

მუხლი 36

კომისიის მიერ შემუშავებამდე საიმპლემენტაციო აქტების მიღება

1. კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები, რომლებიც აუცილებელია EES-ის ცენტრალური სისტემის, NUI-ების, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავის დაარსებისა და ტექნიკური დანერგვის მიზნით, კერძოდ კი, ზომები ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) ხარისხთან, გარჩევადობასთან და EES-ში ანაბეჭდების ბიომეტრიული შემოწმებისა და იდენტიფიკაციისთვის გამოყენებასთან დაკავშირებული მახასიათებლები;

(ბ) ხარისხთან, გარჩევადობასთან და EES-ში სახის გამოსახულების ბიომეტრიული შემოწმებისა და იდენტიფიკაციისთვის გამოყენებასთან დაკავშირებული მახასიათებლები, მათ შორის, ცოცხალ რეჟიმში აღების ან eMRTD-დან ელექტრონულად ამოღების შემთხვევაში;

(გ) მონაცემთა შეყვანა 16-20 მუხლების შესაბამისად;

(დ) მონაცემებზე წვდომა 23-33 მუხლების შესაბამისად;

(ე) მონაცემთა შეცვლა, წაშლა და წინასწარ წაშლა 35-ე მუხლის შესაბამისად;

(ვ) სააღრიცხვო ჩანაწერების შენახვა და მათზე წვდომა 46-ე მუხლის შესაბამისად;

(ზ) შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის, ტექნიკური აღჭურვილების მინიმალური მახასიათებლები და მოთხოვნები EES-ის ბიომეტრიულ შესრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, რაც საჭიროა მცდარი დადებითი იდენტიფიკაციის, მცდარი უარყოფითი იდენტიფიკაციის და წარუმატებელი რეგისტრაციის მაჩვენებლების თვალსაზრისით;

(თ) მე-13 მუხლით გათვალისწინებული ვებმომსახურების მახასიათებლები და პირობები, მათ შორის, სატრანსპორტო ოპერატორების მიერ ან მათთვის მიწოდებულ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული დებულებები;

(ი) მე-8 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთფუნქციონალური თავსებადობის დადგენა და მისი ზოგადი დიზაინი;

(კ) 63(2) მუხლით განსაზღვრული მონაცემთა საცავის მახასიათებლები და პირობები;

(ლ) 12(3) მუხლით განსაზღვრული იდენტიფიცირებული პირების სიის დადგენა და წევრი სახელმწიფოებისთვის მისი ხელმისაწვდომობის პროცედურა;

(მ) ტექნიკური გადაწყვეტის მახასიათებლები ცენტრალური წვდომის პუნქტების 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად დასაკავშირებლად და 72(8) მუხლის შესაბამისად მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად.

ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას 68(2) მუხლით განსაზღვრული გამოკვლევის პროცედურის შესაბამისად.

ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის (ი) პუნქტით გათვალისწინებული საიმპლემენტაციო აქტების მისაღებად, ამ რეგულაციის 68-ე მუხლის შესაბამისად შექმნილმა კომიტეტმა კონსულტაცია უნდა გაიაროს (EC) No 767/2008 რეგულაციის 49-ე მუხლით შექმნილ VIS-ის კომიტეტთან.

მუხლი 37

შემუშავება და ფუნქციონალური მართვა

1. EES-ის ცენტრალური სისტემის, NUI-ების, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის დაცული საკომუნიკაციო არხის შემუშავებაზე პასუხისმგებელია eu-LISA. eu-LISA ასევე პასუხისმგებელია მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავის დაარსებაზე, 13(7) და 63(2) მუხლებით განსაზღვრული დეტალური წესებისა და

36-ე მუხლის პირველი პუნქტის (თ) და (კ) პუნქტების შესაბამისად მიღებული მახასიათებლებისა და პირობების შესაბამისად.

eu-LISA-მ უნდა განსაზღვროს EES-ის ფიზიკური არქიტექტურის დიზაინი, მათ შორის, მისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ასევე, EES-ის ცენტრალური სისტემის, NUI-ების, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის დაცული საკომუნიკაციო არხის, ამ რეგულაციის მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავის ტექნიკური მახასიათებლები და მათი ევოლუცია. ეს ტექნიკური მახასიათებლები უნდა მიიღოს eu-LISA-ს ხელმძღვანელმა საბჭომ, კომისიის დადებით მოსაზრებაზე დაყრდნობით. eu-LISA-მ ასევე უნდა დანერგოს ნებისმიერი აუცილებელი ადაპტაცია VIS-თან მიმართებით, რომელიც გამომდინარეობს EES-თან ფუნქციონალური თავსებადობის შემოღებიდან, ასევე, (EC) No 767/2008 რეგულაციაში ცვლილებების დანერგვიდან, როგორც განსაზღვრულია ამ რეგულაციის 61-ე მუხლით.

კომისიის მიერ 36-ე მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებისთანავე, eu-LISA-მ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს EES-ის ცენტრალური სისტემა, NUI-ები, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის დაცული საკომუნიკაციო არხი, მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურება და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავი.

შემუშავება მოიცავს ტექნიკური მახასიათებლების შემუშავებასა და დანერგვას, ტესტირებას და პროექტის საერთო კოორდინაციას.

EES-ის ცენტრალური სისტემის, NUI-ების, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის დაცული საკომუნიკაციო არხის, მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავის შემუშავებისა და დანერგვისას, eu-LISA-ს ასევე ეკისრება შემდეგი მოვალეობები:

(ა) უსაფრთხოების რისკის შეფასება;

(ბ) EES-ის შემუშავების მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინებისა („Privacy by Design“) და პირველად პარამეტრად მონაცემთა დაცვის („Privacy by Default“) პრინციპების დაცვა;

(გ) უსაფრთხოების რისკის შეფასება VIS-თან ფუნქციონალური თავსებადობასთან დაკავშირებით, როგორც გათვალისწინებულია მე-8 მუხლით და საჭირო უსაფრთხოების ზომების შეფასება, რომლებიც აუცილებელია VIS-თან ფუნქციონალური თავსებადობის დანერგვისთვის.

2. დიზაინის შექმნისა და შემუშავების ფაზის განმავლობაში უნდა შეიქმნას პროგრამის მართვის საბჭო, რომელიც უნდა შედგებოდეს მაქსიმუმ 10 წევრისგან. ის უნდა შედგებოდეს შვიდი წევრისგან, რომლებსაც eu-LISA-ს ხელმძღვანელი საბჭო ნიშნავს

თავისი წევრებისგან ან მათი მოვალეობის შემსრულებლებისგან, 69-ე მუხლით განსაზღვრული EES-ის საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარისგან, eu-LISA-ს წარმომადგენელი წევრისგან, რომელსაც ნიშნავს მისი აღმასრულებელი დირექტორი და კომისიის მიერ დანიშნული ერთი წევრისგან. eu-LISA-ს ხელმძღვანელი საბჭოს მიერ დანიშნული წევრები აირჩევა მხოლოდ იმ წევრი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც სრულად არიან შებოჭილები ევროკავშირის სამართლით იმ საკანონმდებლო ინსტრუმენტების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს eu-LISA-ს მიერ მართული ყველა ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემის შემუშავებას, დანერგვას, ფუნქციონირებასა და გამოყენებას და რომლებიც აკმაყოფილებენ 66(2) მუხლით განსაზღვრულ პირობებს.

პროგრამის მართვის საბჭო რეგულარულად და, სულ მცირე, კვარტალში სამჯერ უნდა შეიკრიბოს. მან უდნა უზრუნველყოს EES-ის დიზაინისა და შემუშავების ფაზის ადეკვატური მართვა და EES-ის ცენტრალურ და ეროვნულ პროექტებს შორის შესაბამისობა.

პროგრამის მართვის საბჭომ ყოველთვიური წერილობითი ანგარიშები უნდა წარუდგინოს eu-LISA-ს ხელმძღვანელ საბჭოს პროექტის პროგრესთან დაკავშირებით. პროექტის მართვის საბჭოს არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ან რაიმე მანდატი eu-LISA-ს ხელმძღვანელი საბჭოს წევრების წარმომადგენლობის მხრივ.

eu-LISA-ს ხელმძღვანელმა საბჭომ უნდა განსაზღვროს პროგრამის მართვის საბჭოს პროცედურის წესები, რომლებიც უნდა მოიცავდეს წესებს შემდეგ საკითხებზე:

- (ა) თავმჯდომარეობა;
- (ბ) კრების ჩატარების ადგილები;
- (გ) კრებისთვის მომზადება;
- (დ) კრებაზე ექსპერტთა დაშვება;
- (ე) კომუნიკაციის გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს eu-LISA-ს ხელმძღვანელი საბჭოს არამონაწილე წევრების სრულ ინფორმირებას.

პროგრამის მართვის საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია უნდა დაიკავოს წევრმა სახელმწიფომ, რომელიც სრულად არის შებოჭილი ევროკავშირის სამართლით იმ საკანონმდებლო ინსტრუმენტების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს eu-LISA-ს მიერ მართული ყველა ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემის შემუშავებას, დანერგვას, ფუნქციონირებასა და გამოყენებას.

პროგრამის მართვის საბჭოს წევრების ყველა სამოგზაურო და ცხოვრების ხარჯი უნდა აანაზღაუროს eu-LISA-მ და *mutatis mutandis* უნდა გავრცელდეს eu-LISA-ს პროცედურის წესების მე-10 მუხლი. eu-LISA-მ პროექტის მართვის საბჭო უნდა უზრუნველყოს სამდივნოთი.

დიზაინის შექმნისა და შემუშავების ფაზის განმავლობაში, 69-ე მუხლით განსაზღვრული EES-ის საკონსულტაციო საბჭო უნდა შედგებოდეს EES-ის ეროვნული პროექტის მენეჯერებისგან

და მას უნდა თავმჯდომარეობდეს eu-LISA. EES-ის ფუნქციონირების დაწყებამდე, ის უნდა იკრიბებოდეს რეგულარულად და, სულ მცირე, კვარტალში სამჯერ. მან პროგრამის მართვის საბჭოს უნდა მიაწოდოს ანგარიში თითოეული კრების შემდეგ. მან უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ექსპერტული ცოდნა პროგრამის მართვის საბჭოს ამოცანების მხარდასაჭერად და თვალი მიადევნოს წევრი სახელმწიფოების მომზადების მდგომარეობას.

3. eu-LISA პასუხისმგებელი უნდა იყოს EES-ის ცენტრალური სისტემის, NUI-ების, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის დაცული საკომუნიკაციო არხის ფუნქციონალურ მართვაზე. მან უნდა უზრუნველყოს წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, EES-ის ცენტრალური სისტემის, NUI-ების, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის დაცული საკომუნიკაციო არხის, მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავისთვის მუდმივად საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის გამოყენება — ხარჯისა და სარგებლის ანალიზის გათვალისწინებით. eu-LISA ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს EES-ის ცენტრალურ სისტემასა და NUI-ებს შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ასევე, მე-13 მუხლით განსაზღვრული ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავის ფუნქციონალურ მართვაზე.

EES-ის ფუნქციონალური მართვა მოიცავს ყველა იმ ამოცანას, რომლებიც აუცილებელია EES-ის ამ რეგულაციის შესაბამისად კვირაში 7 დღე, 24-საათიანი ფუნქციონირებისთვის. კერძოდ, ეს გულისხმობს მოვლა-შეკეთების სამუშაოებსა და ტექნიკურ განვითარებებს, რომლებიც საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ EES ფუნქციონირებდეს საოპერაციო ხარისხის დამაკმაყოფილებელ დონეზე. ეს მოიაზრებს, კერძოდ, ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად EES-ის ცენტრალურ სისტემაში სასაზღვრო უწყებების მოთხოვნებზე რეაგირების დროს.

4. ევროპის კავშირის თანამდებობის პირთა საშტატო რეგულაციებისა და ევროკავშირის სხვა მოხელეების დასაქმების პირობების შესახებ საბჭოს No 259/68 (EEC, Euratom, ECSC) რეგულაციის (42) მე-17 მუხლის მოქმედების შეუზღუდავად, eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს, რომ თანამშრომლებზე, რომლებსაც მოეთხოვებათ EES-ის მონაცემებთან ან EES-ში დაცულ მონაცემებთან მუშაობა, ვრცელდებოდეს პროფესიული საიდუმლოების სათანადო წესები ან კონფიდენციალობის სხვა ეკვივალენტურ მოვალეობები. ეს ვალდებულება უნდა მოქმედებდეს მას შემდეგაც, რაც თანამშრომელი დატოვებს თანამდებობას, სამსახურს ან შეწყდება მისი საქმიანობა.

მუხლი 38

წევრი სახელმწიფოებისა და ევროპოლის პასუხისმგებლობები

1. თითოეული წევრი სახელმწიფო პასუხისმგებელია შემდეგ საკითხზე:
 - (ა) არსებული ეროვნული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია და მისი დაკავშირება NUI-სთან;
 - (ბ) არსებული ეროვნული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის ორგანიზება, მართვა, ფუნქციონირება და მოვლა-შენარჩუნება და მისი დაკავშირება EES-სთან მე-6 მუხლის მიზნებისთვის, გარდა 6(2) მუხლით გათვალისწინებულისა;
 - (გ) ცენტრალური წვდომის პუნქტების ორგანიზება და მათი დაკავშირება NUI-სთან სამართალდაცვის მიზნებისთვის;
 - (დ) კომპეტენტური ეროვნული ორგანოების სათანადოდ ავტორიზებული და უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ამ რეგულაციის შესაბამისად EES-ზე წვდომის მართვა და უზრუნველყოფა და ამ თანამშრომლებისა და მათი პროფილების შექმნა და რეგულარული განახლება.
2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ეროვნული ორგანო, რომელიც 9(2) მუხლით განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოებს უზრუნველყოფს EES-ზე წვდომით. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ეროვნული ორგანო უნდა დააკავშიროს NUI-სთან. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ NUI-სთან უნდა დააკავშიროს თავიანთი შესაბამისი ცენტრალური წვდომის პუნქტები, რომლებიც გათვალისწინებულია 29-ე მუხლით.
3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ EES-ის მონაცემების დასამუშავებლად უნდა გამოიყენოს ავტომატიზებული პროცედურები.
4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ხორციელდება სასაზღვრო კონტროლის ინფრასტრუქტურის ტექნიკური შესრულების, მისი ხელმისაწვდომობის, სასაზღვრო შემოწმების ხანგრძლივობისა და მონაცემთა ხარისხის ახლო მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისინი EES-ის სათანადო ფუნქციონირებასა და სასაზღვრო შემოწმების ქმედით პროცედურასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს.
5. EES-ში დაცული მონაცემების დამუშავების უფლებამოსილების მინიჭებამდე, ორგანოების თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ EES-ზე წვდომის უფლება, უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ტრენინგი, კერძოდ, მონაცემთა უსაფრთხოებაზე და მონაცემთა დაცვის წესებზე, ასევე, შესაბამისი ძირითადი უფლებების შესახებ.
6. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაამუშაონ მონაცემები EES-ში ან EES-იდან ამ რეგულაციით გათვალისწინებულის გარდა სხვა მიზნით.
7. ევროპოლმა უნდა იტვირთოს 1-ლი პარაგრაფის (დ) პუნქტითა და 3, 5 და 6 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები. მან უნდა დაუკავშიროს ევროპოლის ცენტრალური წვდომის პუნქტი EES-ს და იყოს პასუხისმგებელი ამ კავშირზე.

მუხლი 39

პასუხისმგებლობა მონაცემთა დამუშავებაზე

1. EES-ში პერსონალური მონაცემების დამუშავების მხრივ, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ორგანო, რომელიც (EU) 2016/679 რეგულაციის მე-5 მუხლის (7) პუნქტის შესაბამისად, მიჩნეული იქნება მაკონტროლებლად და დაეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ამ წევრი სახელმწიფოს მიერ მონაცემთა დამუშავებაზე. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ კომისიას უნდა აცნობოს ამ ორგანოს დეტალები.

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ EES-ში შეგროვებული და აღრიცხული მონაცემები მუშავდებოდეს კანონიერად და, კერძოდ, მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს ჰქონდეთ წვდომა ამ მონაცემებზე თავიანთი მოვალეობების შესრულების მიზნით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, კერძოდ, რომ მონაცემები:

(ა) შეგროვდეს კანონიერად და მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქის ადამიანური ღირსების სრული პატივისცემით;

(ბ) კანონიერად დარეგისტრირდეს EES-ში;

(გ) EES-დან გადაცემისას იყოს ზუსტი და უახლესი.

2. eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს EES-ის ფუნქციონირება ამ რეგულაციისა და 36-ე მუხლით განსაზღვრული საიმპლემენტაციო აქტების შესაბამისად. კერძოდ, eu-LISA-მ უნდა:

(ა) მიიღოს აუცილებელი ზომები EES-ის ცენტრალური სისტემისა და EES-ის ცენტრალურ სისტემასა და NUI-ის შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობების მოქმედების ფარგლების შეუზღუდავად;

(ბ) უზრუნველყოს, რომ მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს ჰქონდეთ EES-ში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა.

3. EES-ის ფუნქციონირების დაწყების მიზნებისთვის, eu-LISA-მ უნდა აცნობოს ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას, ასევე, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული ზომების თაობაზე.

მუხლი 40

მონაცემთა შენახვა ეროვნულ ფაილებსა და ეროვნულ შესვლა/გასვლის სისტემებში

1. წევრ სახელმწიფოს შეუძლია, EES-ის მიზნების შესაბამისად და ევროკავშირის კანონმდებლობის სრული დაცვით, თავის ეროვნულ შესვლა/გასვლის სისტემაში ან ეკვივალენტურ ეროვნულ ფაილებში შეინახოს ამ წევრი სახელმწიფოს მიერ EES-ში შეყვანილი ასო-ციფრული მონაცემები.

2. მონაცემები არ უნდა ინახებოდეს ეროვნულ შესვლა/გასვლის სისტემაში ან ეკვივალენტურ ეროვნულ ფაილებში იმაზე მეტხანს, ვიდრე EES-ში ინახება.

3. მონაცემთა ნებისმიერი გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება 1-ელ პარაგრაფს, მიიჩნევა ბოროტად გამოყენებად როგორც თითოეული წევრი სახელმწიფოს, ისე ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეს მუხლი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მოითხოვდეს EES-ის რაიმე ტიპის ტექნიკურ ადაპტაციას. წევრ სახელმწიფოებს მონაცემთა შენახვა ამ მუხლის შესაბამისად შეუძლიათ საკუთარი ხარჯით, რისკით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 41

მონაცემთა გადაცემა მესამე ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო დაწესებულებებისთვის

1. EES-ში დაცული მონაცემები არ უნდა გადაეცეს ან გახდეს ხელმისაწვდომი რომელიმე მესამე ქვეყნისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ან კერძო დაწესებულებისთვის.
2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან დეორგანიზაციის სახით, ამ რეგულაციის 16(1) მუხლითა და 17(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები სასაზღვრო ან საიმპორტო ორგანომ ინდივიდუალურ შემთხვევებში შეიძლება გადასცეს ამ რეგულაციის I დანართში ჩამოთვლილ მესამე ქვეყანას ან საერთაშორისო ორგანიზაციას, თუ ეს აუცილებელია მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობის დასადგენად მხოლოდ და მხოლოდ მისი დაბრუნების მიზნით, მხოლოდ მაშინ, როცა კმაყოფილდება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი პირობა:
 - (ა) კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ამ მესამე ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა ადეკვატური დაცვის შესახებ, (EU) 2016/679 რეგულაციის 45(3) მუხლის შესაბამისად;
 - (ბ) უზრუნველყოფილია (EU) 2016/679 რეგულაციის 46-ე მუხლით განსაზღვრული სათანადო გარანტიები, როგორცაა რეადმისიის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია, ერთი მხრივ, ევროკავშირს ან წევრ სახელმწიფოს და, მეორე მხრივ, შესაბამის მესამე ქვეყანას შორის;
 - (გ) გამოიყენება (EU) 2016/679 რეგულაციის 49(1) მუხლის (დ) პუნქტი.
3. ამ რეგულაციის 16(1) მუხლითა და 17(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების გადაცემა ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:
 - (ა) მონაცემთა გადაცემა ხორციელდება ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების, კერძოდ კი, მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული დებულებების დაცვით, მათ შორის, (EU) 2016/679 რეგულაციის V თავის, რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებებისა და მონაცემთა გადამცემი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
 - (ბ) მესამე ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაცია დაეთანხმა მონაცემთა დამუშავებას მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი გადაცემა;

(გ) 2008/115/EC დირექტივის შესაბამისად, მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქის მიმართ გამოცემულია გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ, იმ პირობით, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერებულა და ეს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რის შედეგადაც შეიძლება შეჩერდეს მისი აღსრულება.

4. მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის პერსონალურ მე-2 პარაგრაფის შესაბამისად მონაცემთა გადაცემა არ უნდა ზღუდავდეს საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა და ასეთი დაცვით მოსარგებლეთა უფლებებს, განსაკუთრებით, *non-refoulement*-ითან მიმართებით.

5. წევრი სახელმწიფოს ან ევროპოლის მიერ სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ის ცენტრალური სისტემიდან ამოღებული პერსონალური მონაცემები არ უნდა გადაეცეს ან გახდეს ხელმისაწვდომი რომელიმე მესამე ქვეყნისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ან ევროკავშირში ან მის გარეთ დაფუძნებული კერძო დაწესებულებისთვის. ეს აკრძალავს ასევე უნდა გავრცელდეს იმ მონაცემებზე, რომლებიც შემდგომ დამუშავდება ეროვნულ დონეზე ან წევრ სახელმწიფოებს შორის, (EU) 2016/680 დირექტივის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტიდან დეროგაციის სახით, 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით, 16(2) მუხლის (ა) და (ბ) პუნქტებით, 16(3) მუხლის (ა) და (ბ) პუნქტებითა და 17(1) მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები დანიშნულმა ორგანომ შეიძლება ინდივიდუალურ შემთხვევებში გადასცეს მესამე ქვეყანას, მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) სახეზეა განსაკუთრებული გადაუდებელი შემთხვევა, სადაც არსებობს:

- (i) ტერორისტულ დანაშაულთან დაკავშირებული გარდაუვალი საფრთხე;
- (ii) გარდაუვალი საფრთხე ადამიანის სიცოცხლის მიმართ, რომელიც უკავშირდება სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულს;

(ბ) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია წევრი სახელმწიფოს ან შესაბამისი მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი ტერორისტული ან სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიებისთვის;

(გ) დანიშნულ ორგანოს აქვს ასეთ მონაცემებზე წვდომა 31-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურისა და პირობების შესაბამისად;

(დ) გადაცემა ხორციელდება (EU) 2016/680 დირექტივის გამოსაყენებელი პირობების შესაბამისად, კერძოდ კი, მისი V თავის მიხედვით;

(ე) მესამე ქვეყანამ წარადგინა სათანადოდ დასაბუთებული წერილობითი ან ელექტრონული მოთხოვნა; და

(ვ) უზრუნველყოფილია მომთხოვნი მესამე ქვეყნის მფლობელობაში არსებული შესვლა/გასვლის ჩანაწერების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ორმხრივი მიწოდება იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც იყენებენ EES-ს.

თუ გადაცემა ხორციელდება ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, ის სათანადოდ უნდა იქნას დოკუმენტირებული და, მოთხოვნის საფუძველზე, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს (EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანოსთვის. აღნიშნული მოიცავს გადაცემის დროსა და თარიღს, ინფორმაციას მიმღები კომპეტენტური ორგანოს შესახებ, გადაცემის დასაბუთებასა და გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს.

მუხლი 42

მონაცემთა გადაცემის პირობები იმ წევრი სახელმწიფოსთვის, რომელიც ჯერ სრულად არ იყენებს EES-ს და იმ წევრი სახელმწიფოსთვის, რომელზეც არ ვრცელდება ეს რეგულაცია

1. 16(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით, 16(2) მუხლის (ა) და (ბ) პუნქტებით, 16(3) მუხლის (ა) და (ბ) პუნქტებითა და 17(1) მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები დანიშნულმა ორგანომ ინდივიდუალურ შემთხვევებში შეიძლება გადასცეს წევრ სახელმწიფოს, რომელიც ჯერ სრულად არ იყენებს EES-ს და იმ წევრი სახელმწიფოს, რომელზეც არ ვრცელდება ეს რეგულაცია, მხოლოდ მაშინ, როცა კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) სახეზეა განსაკუთრებული გადაუდებელი შემთხვევა, სადაც არსებობს:

- (i) ტერორისტულ დანაშაულთან დაკავშირებული გარდაუვალი საფრთხე;
- (ii) გარდაუვალი საფრთხე ადამიანის სიცოცხლის მიმართ, რომელიც უკავშირდება სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულს;

(ბ) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია წევრი სახელმწიფოს ან შესაბამისი მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი ტერორისტული ან სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიებისთვის;

(გ) დანიშნულ ორგანოს აქვს ასეთ მონაცემებზე წვდომა 31-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურისა და პირობების შესაბამისად;

(დ) გამოიყენება (EU) 2016/680 დირექტივა;

(ე) წარდგენილია სათანადოდ დასაბუთებული წერილობითი ან ელექტრონული მოთხოვნა; და

(ვ) უზრუნველყოფილია მომთხოვნი მესამე ქვეყნის მფლობელობაში არსებული შესვლა/გასვლის ჩანაწერების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ორმხრივი მიწოდება იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც იყენებენ EES-ს.

თუ გადაცემა ხორციელდება ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, ის სათანადოდ უნდა იქნას დოკუმენტირებული და, მოთხოვნის საფუძველზე, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს

(EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად შექმნილი საზედამხებდველო ორგანოსთვის. აღნიშნული მოიცავს გადაცემის დროსა და თარიღს, ინფორმაციას მიმღები კომპეტენტური ორგანოს შესახებ, გადაცემის დასაბუთებასა და გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს.

2. როდესაც მონაცემთა გადაცემა ხდება ამ მუხლის შესაბამისად, *mutatis mutandis* უნდა გავრცელდეს 43(1), 45(1) და (3), 48-ე და 58(4) მუხლით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 43

მონაცემთა უსაფრთხოება

1. პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება NUI-სთვის გადაცემამდე და მის განმავლობაში. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს EES-სგან მიღებული მონაცემების უსაფრთხოება.
2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები თავის ეროვნულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, მათ შორის, უსაფრთხოების გეგმა, საქმიანობის განგრძობადობისა და უბედური შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციის გეგმა შემდეგი მიზნებისთვის:
 - (ა) მონაცემთა ფიზიკური დაცვა, მათ შორის, გაუთვალისწინებელ შემთხვევათა გეგმების შემუშავება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დასაცავად;
 - (ბ) არაუფლებამოსილი პირებისთვის მონაცემთა დამუშავებელ აღჭურვილობასა და იმ ეროვნულ დანადგარებზე წვდომის არდაშვება, რომლებშიც წევრი სახელმწიფო ახორციელებს ოპერაციებს EES-ის მიზნებისთვის;
 - (გ) მონაცემთა მატარებლების არაავტორიზებული წაკითხვის, ასლის გადაღების, ცვლილების ან წაშლის აღკვეთა;
 - (დ) მონაცემთა არაავტორიზებული შეყვანის და დაცული მონაცემების არაავტორიზებული შემოწმების, ცვლილების ან წაშლის აღკვეთა;
 - (ე) არაუფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა გადაცემის აღჭურვილობის საშუალებით მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემების გამოყენების აღკვეთა;
 - (ვ) EES-ში მონაცემთა არაავტორიზებული დამუშავებისა და დამუშავებული მონაცემების ნებისმიერი არაავტორიზებული ცვლილების ან წაშლის აღკვეთა;
 - (თ) უზრუნველყოფა, რომ EES-ზე წვდომაზე უფლებამოსილ პირებს ჰქონდეთ მხოლოდ იმ მონაცემებზე წვდომა, რომლებსაც მოიცავს მათი უფლებამოსილების ფარგლები, მხოლოდ მომხმარებლის ინდივიდუალური და უნიკალური იდენტიფიკატორებისა და კონფიდენციალური წვდომის რეჟიმების საშუალებით;

(ი) უზრუნველყოფა, რომ ყველა ორგანომ, რომელსაც აქვს EES-ზე წვდომის უფლება, შექმნას პროფილები, რომლებიც აღწერს იმ პირების ფუნქციებსა და მოვალეობებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მონაცემთა შეყვანაზე, წაშლაზე, გადამოწმებაზე და ძიებაზე, და აღნიშნული პროფილები ხელმისაწვდომი გახადონ საზედამხედველო ორგანოებისთვის;

(კ) უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელია იმის შემოწმება და დადგენა, რომელ ორგანოებს შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები მონაცემთა გადაცემის აღჭურვილობის გამოყენებით;

(ლ) უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელია იმის შემოწმება და დადგენა, რომელი მონაცემები დამუშავდა EES-ში, ასევე, როდის, ვის მიერ და რა მიზნით დამუშავდა ისინი;

(მ) მონაცემთა EES-ში ან EES-იდან გადაცემისას, ასევე მონაცემთა მატარებლის ტრანსპორტირებისას პერსონალურ მონაცემთა არავტორიზებული წაკითხვის, ასლის გადაღების, ცვლილების ან წაშლის აღკვეთა, კერძოდ, სათანადო დამიფვრის ტექნიკების გამოყენებით;

(ნ) უზრუნველყოფა, რომ შეფერხების შემთხვევებში შესაძლებელია დაყენებული სისტემების ნორმალურ სამუშაო რეჟიმში აღდგენა;

(ო) სანდოობის უზრუნველყოფა EES-ის ნებისმიერი ფუნქციონალური გაუმართაობის შესახებ სათანადო ანგარიშგებით;

(პ) ამ რეგულაციასთან შესაბამისობის მიზნით, ამ პუნქტით განსაზღვრული უსაფრთხოების ზომების ეფექტიანობის მონიტორინგი და აუცილებელი ორგანიზაციული ზომების მიღება შიდა მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. რაც შეეხება EES-ის ფუნქციონირებას, eu-LISA-მ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, მათ შორის, უსაფრთხოების, ასევე, საქმიანობის განგრძობადობის გეგმისა და უბედური შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციის გეგმის მიღება. eu-LISA-მ ასევე უნდა უზრუნველყოს სანდოობა აუცილებელი ტექნიკური ზომების მიღების გზით იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებელი იყოს პერსონალური მონაცემების აღდგენა EES-ის გაუმართაობით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში.

4. eu-LISA და წვერი სახელმწიფოები უნდა თანამშრომლობდნენ მონაცემთა უსაფრთხოების ჰარმონიზებული მიდგომის უზრუნველსაყოფად, რომელიც დაეფუძნება მთელი EES-ის უსაფრთხოების რისკის მართვის პროცესს.

მუხლი 44

უსაფრთხოების ინციდენტები

1. ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს EES-ის უსაფრთხოებაზე და შეიძლება გამოიწვიოს EES-ში დაცული მონაცემების დაზიანება ან

- დაკარგვა, მიჩნეულ უნდა იქნას უსაფრთხოების ინციდენტად. კერძოდ, თუ განხორციელდა მონაცემებზე არავტორიზებული წვდომა ან თუ ზიანი მიაღდა ან შეიძლება მიადგეს მონაცემთა ხელმისაწვდომობას, მთლიანობასა და კონფიდენციალობას.
2. უსაფრთხოების ინციდენტები უნდა იმართოს სწრაფი, ეფექტიანი და სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად.
 3. (EU) 2016/679 რეგულაციის 33-ე მუხლით ან/და (EU) 2016/680 დირექტივის 30-ე მუხლით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დარღვევის შესახებ შეტყობინებისა და ინფორმირების ვალდებულებათა მოქმედების ფარგლების შეუზღუდავად, წევრმა სახელმწიფოებმა უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ უნდა აცნობონ კომისიას, eu-LISA-სა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს. EES-ის ცენტრალურ სისტემასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ინციდენტის შემთხვევაში, eu-LISA-მ უნდა შეატყობინოს კომისიასა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს.
 4. უსაფრთხოების იმ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს გავლენა EES-ის ფუნქციონირებაზე ან მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე, მთლიანობასა და კონფიდენციალობაზე, უნდა ეცნობოთ წევრ სახელმწიფოებს და მასზე ანგარიშგება მოხდეს eu-LISA-ს შემუშავებული ინციდენტის მართვის გეგმის შესაბამისად.
 5. შესაბამისმა წევრმა სახელმწიფოებმა და eu-LISA-მ უნდა ითანამშრომლონ უსაფრთხოების ინციდენტის შემთხვევაში.

მუხლი 45

პასუხისმგებლობა

1. ნებისმიერი პირს ან წევრ სახელმწიფოს, რომელსაც მიაღდა მატერიალური ან არამატერიალური ზიანი უკანონო დამუშავების ოპერაციის ან ნებისმიერი ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც ეწინააღმდეგება ამ რეგულაციას, უფლება აქვს, მიიღოს კომპენსაცია ზიანზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოსგან. ეს წევრი სახელმწიფო პასუხისმგებლობისგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება, თუ დაადასტურებს, რომ ის არანაირად არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაზე, რომელმაც გამოიწვია ზიანი.
2. თუ წევრი სახელმწიფოს მიერ ამ რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით ზიანი მიადგება EES-ს, აღნიშნულ ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ წევრ სახელმწიფოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ eu-LISA-მ ან EES-ის მონაწილე სხვა წევრმა სახელმწიფომ ვერ შეძლო გონივრული ზომების მიღება ზიანის დადგომის თავიდან ასაცილებლად ან მისი გავლენის შესამცირებლად.
3. წევრი სახელმწიფოსგან 1-ელი და მე-2 პარაგრაფის შესაბამისად კომპენსაციის მოთხოვნებზე გავრცელდება მოპასუხე წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებები.

მუხლი 46

eu-LISA-სა და წევრი სახელმწიფოების მიერ სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება

1. eu-LISA-მ უნდა აწარმოოს EES-ში მონაცემთა დამუშავების ყველა ოპერაციის სააღრიცხვო ჩანაწერი. აღნიშნული სააღრიცხვო ჩანაწერები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - (ა) წვდომის მიზანი, როგორც განსაზღვრულია 9(2) მუხლით;
 - (ბ) დრო და თარიღი;
 - (გ) გადაცემული მონაცემები, როგორც გათვალისწინებულია 16-19 მუხლებით;
 - (დ) მოკვლევითის („interrogation“) გამოყენებული მონაცემები, როგორც გათვალისწინებულია 23-27 მუხლებით; და
 - (ე) მონაცემთა შემყვანი ან ამომღები ორგანოს სახელწოდება.
2. მონაცემთა მე-8 მუხლის შებამისად გადამოწმების მიზნებისთვის, EES-სა და VIS-ში განხორციელებული მონაცემთა დამუშავების თითოეული ოპერაციის შესახებ უნდა იწარმოებოდეს სააღრიცხვო ჩანაწერი ამ და (EC) No 767/2008 რეგულაციის 34-ე მუხლების შესაბამისად. კერძოდ, eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ მონაცემთა დამუშავების ოპერაციის ერთი სისტემიდან პირდაპირ მეორეში ჩაშვებისას იწარმოებოდეს რელევანტური სააღრიცხვო ჩანაწერი მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ოპერაციების შესახებ.
3. 1-ელი და მე-2 პარაგრაფების გარდა, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს სააღრიცხვო ჩანაწერები EES-ის მონაცემთა დამუშავებაზე სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომელთა შესახებ.
4. ამგვარი სააღრიცხვო ჩანაწერები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მონაცემთა დაცვის მონიტორინგისთვის — მათ შორის, მონაცემთა დამუშავების მოთხოვნის დასაშვებობისა და დამუშავების კანონიერების შემოწმებისთვის — და 43-ს მუხლის შესაბამისად მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს სააღრიცხვო ჩანაწერები დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომის საწინააღმდეგო სათანადო ზომების საშუალებით და იშლებოდეს 34-ე მუხლით განსაზღვრული შენახვის ვადის ამოწურვიდან ერთ წელიწადში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი საჭიროა უკვე დაწყებული მონიტორინგის პროცედურებისთვის.

მუხლი 47

თვითმონიტორინგი

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ EES-ზე წვდომაზე უფლებამოსილმა თითოეულმა ორგანომ მიიღოს აუცილებელი ზომები ამ რეგულაციასთან შესაბამისობისთვის და, საჭიროებისამებრ, ითანამშრომლოს საზედამხედველო ორგანოებთან.

მუხლი 48

ჯარიმები

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ EES-ში შეყვანილ მონაცემთა ამ რეგულაციის შეუსაბამო ნებისმიერი გამოყენება ისჯდებოდეს ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული ჯარიმებით, ეროვნული კნაონმდებლობის, (EU) 2016/679 რეგულაციის 84-ე მუხლისა და (EU) 2016/680 დირექტივის 57-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 49

მონაცემთა დაცვა

1. eu-LISA-ს მიერ ამ რეგულაციის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიმართ გამოიყენება (EC) No 45/2001 რეგულაცია.
2. ეროვნული ორგანოების მიერ ამ რეგულაციის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების მიმართ — გარდა ამ რეგულაციის 1(2) მუხლით გათვალისწინებული მიზნებით დამუშავებისა — გამოიყენება (EU) 2016/679 რეგულაცია.
3. წევრი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოების მიერ ამ რეგულაციის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა ამ რეგულაციის 1(2) მუხლით გათვალისწინებული მიზნით დამუშავების მიმართ გამოიყენება (EU) 2016/680 რეგულაცია.
4. ევროპოლის მიერ ამ რეგულაციის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიმართ გამოიყენება (EU) 2016/794 რეგულაცია.

თავი VII

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული უფლებები და მონაცემთა დაცვის

ზედამხედველობა

მუხლი 50

ინფორმირების უფლება

1. (EU) 2016/679 რეგულაციის მე-13 მუხლით განსაზღვრული ინფორმირების უფლების მოქმედების ფარგლების შეუზღუდავად, მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა მონაცემებიც აღირიცხება EES-ში, პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ შემდეგი ინფორმაცია:

(ა) წევრი სახელმწიფოებისა და ევროპოლის მიერ სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის შესაძლებლობა;

(ბ) ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და FTD-ის მფლობელების ვალდებულება, ჩააბარონ თითო ანაბეჭდები;

(გ) EES-ში რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყველა მესამე ქვეყნის მოქალაქის ვალდებულება, რომ აღირიცხოს მათი სახის გამოსახულებები;

(დ) მონაცემთა შეგროვების სავალდებულოება შესვლის პირობების შესამოწმებლად;

(ე) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესვლაზე უარი ეთქმება მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც უარს ამბობს მოთხოვნილი ბიომეტრიული მონაცემების ჩაბარებაზე EES-ში რეგისტრაციის, შემოწმების ან იდენტიფიკაციის მიზნით;

(ვ) ინფორმაციის მიღების უფლება ნებადართული ყოფნის დარჩენილი მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ 11(3) მუხლის შესაბამისად;

(ზ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ EES-ში დაცული პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს I დანართში ჩამოთვლილ მესამე ქვეყანას ან საერთაშორისო ორგანიზაციას 41(6) მუხლის შესაბამისად მესამე ქვეყანაში და 42-ე მუხლის შესაბამისად წევრ სახელმწიფოებში დაბრუნების მიზნებისთვის;

(თ) ინფორმაცია შემდეგი უფლებების არსებობის შესახებ: მათთან დაკავშირებულ მონაცემებზე მაკონტროლებლისგან წვდომის მოთხოვნის უფლება; მათთან დაკავშირებული არასწორი მონაცემების შესწორების უფლება; მათთან დაკავშირებული არასრული პერსონალური მონაცემების შევსების უფლება; მათთან დაკავშირებული უკანონოდ დამუშავებული პერსონალური მონაცემების წაშლის ან მათი დამშუავების შეზღუდვის უფლება, ასევე, ამ უფლებების გამოყენების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლება, მათ შორის, მაკონტროლებლისა და საზედამხედველო ორგანოების ან, საჭიროების შემთხვევაში, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის საკონტაქტო დეტალები, რომელიც განიხილავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საჩივრებს;

(ი) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ EES-ის მონაცემებზე განხორციელდება წვდომა საზღვრის მართვისა და გამართვების მიზნებისთვის და რომ ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენა ავტომატურად გამოიწვევს პირის იდენტიფიცირებული პირების სიაში დამატებას 12(3) მუხლის შესაბამისად, ასევე, ინფორმაცია ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენის შესაძლო შედეგების შესახებ;

(კ) შესვლა/გასვლის და შესვლაზე უარის თქმის ჩანაწერებისთვის, ასევე, პირადი საქმეებისთვის დადგენილი მონაცემთა შენახვის ვადა 34-ე მუხლის შესაბამისად;

(ლ) ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილ პირთა პერსონალური მონაცემების 12(3) მუხლით გათვალისწინებულ იდენტიფიცირებული პირების სიიდან ამოშლისა და EES-ში გასწორების უფლება, თუ ეს პირები წარმოადგენენ მტკიცებულებას, რომ მათ ნებადართული

ყოფნის ვადას გადააჭარბეს წინასწარ განუჭვრეტელი და სერიოზული შემთხვევების მიზეზით;

(მ) საზედამხედველო ორგანოებში საჩივრის წარდგენის უფლება.

2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გაიცეს წერილობით, სათანადო საშუალებების გამოყენებით, მოკლე, გამჭვირვალე, მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით და მარტივი და გასაგები ენით უნდა მიეწოდოს პირს იმ ენაზე, რომელიც ესმის ან არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ გაიგებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მესამე ქვეყნის მოქალაქის ინფორმირება თავისი უფლებების შესახებ ამ პირის პირადი საქმის შექმნისას მე-16, მე-17 ან მე-18 მუხლის შესაბამისად.
3. კომისიამ ასევე უნდა შექმნას ვებსაიტი, რომელზეც განთავსდება 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ინფორმაცია.
4. კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები ამ მუხლის 1-ელი პარაგრაფით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას 68(2) მუხლით განსაზღვრული გამოკვლევის პროცედურის შესაბამისად.
5. კომისიამ ამ მუხლის 1-ელი პარაგრაფით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა უზრუნველყოს შაბლონის სახით. შაბლონი უნდა შემუშავდეს ისე, რომ წევრ სახელმწიფოებს მისცეს შესაძლებლობა, შეავსონ ის წევრი სახელმწიფოს დამატებითი სპეციფიკური ინფორმაციის გამოყენებით. წევრი სახელმწიფოს ეს სპეციფიკური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, საზედამხედველო ორგანოების მხრიდან დახმარების შესაძლებლობას, ასევე, მაკონტროლებლის ოფისის, მონაცემთა დაცვის ოფიცრისა და საზედამხედველო ორგანოს საკონტაქტო დეტალებს. კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები ამ მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული ვებსაიტის მახასიათებლებთან და პირობებთან დაკავშირებით. ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას EES-ის ფუნქციონირების დაწყებამდე, 68(2) მუხლით გათვალისწინებული გამოკვლევის პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 51

საინფორმაციო კამპანია

საზედამხედველო ორგანოებთან და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან თანამშრომლობით, კომისიამ EES-ის ფუნქციონირების დაწყებასთან ერთად უნდა გამართოს საინფორმაციო კამპანია საზოგადოების და, კერძოდ კი, მესამე ქვეყნის მოქალაქეების ინფორმირებისთვის შემდეგ საკითხებზე: EES-ის მიზნები, EES-ში დაცული მონაცემები, წვდომაზე უფლებამოსილი ორგანოები და შესაბამის პირთა უფლებები. ასეთი საინფორმაციო კამპანია რეგულარულად უნდა გაიმართოს.

მუხლი 52

პერსონალურ მონაცემებზე წვდომის, მათი გასწორების, შევსებისა და წაშლის, ასევე, მათი დამუშავების შეზღუდვის უფლება

1. მესამე ქვეყნის მოქალაქეთა (EU) 2016/679 რეგულაციის 15-18 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების ადრესატი შეიძლება იყოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო.

პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ ან წევრმა სახელმწიფომ, რომელსაც წარედგინა მოთხოვნა, ასეთ მოთხოვნას პასუხი უნდა გასცეს მიღებიდან 45 დღის განმავლობაში.

2. თუ მოთხოვნა პერსონალურ მონაცემთა გასწორების, შევსების ან წაშლის ან მათი დამუშავების შეზღუდვის შესახებ მიემართება წევრ სახელმწიფოს, რომელიც არ არის პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო, ამ წევრი სახელმწიფოს ორგანომ, რომელიც მოთხოვნის ადრესატი იყო, უნდა გადაამოწმოს მონაცემთა სიზუსტე და EES-ში მონაცემთა დამუშავების კანონიერება მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, თუ აღნიშნული შემოწმების ჩატარება შესაძლებელია პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციის გარეშე. სხვა შემთხვევაში, წევრი სახელმწიფო, რომელიც მოთხოვნის ადრესატი იყო, შვიდი დღის განმავლობაში უნდა დაუკავშირდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ორგანოს და პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ დაკავშირებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა შეამოწმოს მონაცემთა სიზუსტე და მონაცემთა დამუშავების კანონიერება.
3. თუ EES-ში აღრიცხული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტი ან არასრულია ან კანონის დარღვევით აღირიცხა, პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის ადრესატმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეასწოროს, შეავსოს ან წაშალოს პერსონალური მონაცემები ან შეზღუდოს მათი დამუშავება 35-ე მუხლის შესაბამისად. პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის ადრესატმა წევრმა სახელმწიფომ შესაბამის პირს წერილობით დაუყოვნებლივ უნდა დაუდასტუროს, რომ მან შეასწორა, შეავსო ან წაშალა ამ პირის პერსონალური მონაცემები ან შეზღუდა მათი დამუშავება.

თუ EES-ში ვიზასთან დაკავშირებით აღრიცხული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტი ან არასრულია ან კანონის დარღვევით აღირიცხა, პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის ადრესატმა წევრმა სახელმწიფომ პირველ რიგში ამ მონაცემთა სისწორე უნდა გადაამოწმოს VIS-სთან მიმართებით და, საჭიროებისამებრ, შეცვალოს ისინი EES-ში. თუ VIS-ში აღრიცხული მონაცემები ემთხვევა EES-სას, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის ადრესატი წევრი სახელმწიფო შვიდი დღის განმავლობაში უნდა დაუკავშირდეს იმ წევრი სახელმწიფოს ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია VIS-ში ამ მონაცემთა შეყვანაზე. წევრმა სახელმწიფომ, რომელიც პასუხისმგებელია VIS-ში ამ მონაცემთა შეყვანაზე,

ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების სისწორე და მათი EES-ში დამუშავების კანონიერება უნდა გადაამოწმოს დაკავშირებიდან 30 დღის განმავლობაში და აცნობოს პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს ან მოთხოვნის ადრესატ წევრ სახელმწიფოს, რომელმაც, საჭიროებისამებრ, დაუყოვნებლივ უნდა შეასწოროს ან შეავსოს შესაბამისი პირის პერსონალური მონაცემები, შეზღუდოს მათი დამუშავება EES-ში ან წაშალოს ისინი EES-დან და, საჭიროების შემთხვევაში, ამოშალოს პირი 12(3) მუხლით გათვალისწინებული იდენტიფიცირებული პირების სიიდან.

4. თუ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის ადრესატი წევრი სახელმწიფო არ ეთანხმება, რომ EES-ში აღრიცხული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტი ან არასრულია ან კანონის დარღვევით აღირიცხა, ამ წევრმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა გამოსცეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, სადაც წერილობით განუმარტავს მესამე ქვეყნის შეაბამის მოქალაქეს, რატომ არ არის მზად შეასწოროს, შეავსოს ან წაშალოს ამ პირთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები ან შეზღუდოს მათი დამუშავება.
5. წევრმა სახელმწიფომ, რომელმაც მიიღო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, მესამე ქვეყნის შესაბამის მოქალაქეს ასევე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, სადაც განუმარტავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც ამ პირს შეუძლია გადადგას თუ არ დაეთანხმება ახსნა-განმარტებას. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რა გზითაა შესაძლებელი სარჩელის ან საჩივრის წარდგენა ამ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოში ან სასამართლოში და არის თუ არა ხელმისაწვდომი რაიმე ტიპის დახმარება ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად, მათ შორის, (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ საზედამხედველო ორგანოს მხრიდან.
6. ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც წარედგინება 1-ლი და მე-2 პარაგრაფების შესაბამისად, უნდა შეიცავდეს იმ მინიმალურ ინფორმაციას, რაც აუცილებელია მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქის იდენტიფიცირებისათვის. ამ მიზნით, ანაბეჭდების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში და როდესაც არსებობს არსებითი ეჭვი განმცხადებლის ვინაობასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია გამოყენებულ უნდა იქნას ექსკლუზიურად იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა მიეცეს მესამე ქვეყნის ამ მოქალაქეს, ისარგებლოს 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული უფლებებით და შემდგომ დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს.
7. როდესაც პირი მოთხოვნას წარადგენს ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ან მოთხოვნის ადრესატი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა აწარმოოს წერილობითი ანგარიში ამ მოთხოვნის წარდგენის შესახებ. ეს დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ და რომელი ორგანო გაუმკლავდა მოთხოვნას. კომპეტენტურმა ორგანომ აღნიშნული დოკუმენტი შვიდი დღის განმავლობაში უნდა მიაწოდოს (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ საზედამხედველო ორგანოს.

მუხლი 53

თანამშრომლობა მონაცემთა დაცვის უფლებების აღსრულების მიზნით

1. წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურმა ორგანოებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ 52-ე მუხლით განსაზღვრული უფლებების აღსასრულებლად.
2. თითოეულ წევრ სახელმწიფოში (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებული საზედამხედველო ორგანო, მოთხოვნის საფუძველზე, უნდა დაეხმაროს და კონსულტაცია გაუწიოს მონაცემთა სუბიექტს (EU) 2016/679 რეგულაციის შესაბამისად მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შესწორების, შევსების ან წაშლის ან მათი დამუშავების შეზღუდვის უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

პირველ ქვეპუნქტში მითითებული მიზნების მისაღწევად, ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ მონაცემთა გადამცემი პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოსა და მოთხოვნის ადრესატი წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოებმა.

მუხლი 54

სამართლებრივი დაცვის საშუალებები

1. (EU) 2016/679 რეგულაციის 77-ე და 79-ე მუხლების მოქმედების შეუზღუდავად, თითოეულ წევრ სახელმწიფოში ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, წარადგინოს სარჩელი ან საჩივარი იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოში ან სასამართლოში, რომელმაც არ დააკმაყოფილა ამ პირთან დაკავშირებულ მონაცემებზე წვდომის, მათი შესწორების, შევსების ან წაშლის უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ რეგულაციის 52-ე და 53(2) მუხლებით. აღნიშნული სარჩელის ან საჩივრის წარდგენის უფლება ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, სადაც მონაცემთა მაკონტროლებელმა წვდომის, შესწორების, შევსების ან წაშლის შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით რეაგირება 52-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადებში არ მოახდინა ან ის საერთოდ არ მოუხდენია
2. (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებული საზედამხედველო ორგანოს დახმარება ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს პროცესის მიმდინარეობის განმავლობაში.

მუხლი 55

ზედამხედველობა საზედამხედველო ორგანოს მიერ

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებული საზედამხედველო ორგანო დამოუკიდებელ

მონიტორინგს უწევდეს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ ამ რეგულაციის II, III, V და VI თავებით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, მათ შორის, მათ გადაცემას EES-დან და EES-ში.

2. (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ EES-ის ფუნქციონირების დაწყებიდან, სულ მცირე, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ შესაბამისი საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების დაცვით ჩატარდეს ეროვნულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურაში მონაცემთა დამუშავების ოპერაციების აუდიტი. საბჭოს (EU) No 1053/2013 რეგულაციის (43) შესაბამისად შექმნილი მექანიზმის საფუძველზე განხორციელებული შეფასებისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ამ აუდიტის შედეგები. (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებულმა საზედამხედველო ორგანომ ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნოს შესწორების, შევსების, წაშლის ან მონაცემთა დამუშავების შეზღუდვის მოთხოვნათა რიცხვი, შემდგომში განხორციელებული ქმედებები და შესაბამის პირთა მოთხოვნების საპასუხოდ განხორციელებული შესწორების, შევსების, წაშლის ან მონაცემთა დამუშავების შეზღუდვის შემთხვევათა რიცხვი.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებულ საზედამხედველო ორგანოს ჰქონდეს საკმარისი რესურსები მასზე ამ რეგულაციის შესაბამისად დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და წვდომა იმ ადამიანებთან კონსულტაციაზე, რომლებსაც ბიომეტრიული მონაცემების საკმარისი ცოდნა აქვთ.
4. წევრმა სახელმწიფოებმა (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებულ საზედამხედველო ორგანოს უნდა მიაწოდონ ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ, ინფორმაცია 38-ე, 39(1) და 43-ე მუხლების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის შესახებ. წევრმა სახელმწიფოებმა (EU) 2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად დაფუძნებულ საზედამხედველო ორგანოს უნდა მისცენ წვდომა თავიანთ სააღრიცხვო ჩანაწერებზე 46-ე მუხლის შესაბამისად და ნებისმიერ დროს დაუშვან თავიანთ ყველა EES-თან დაკავშირებულ ნაგებობაში.

მუხლი 56

ზედამხედველობა ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის მიერ

1. ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი პასუხისმგებელია eu-LISA-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საქმიანობს მონიტორინგზე, რომელიც უკავშირდება EES-ს, ასევე, იმის უზრუნველყოფაზე, რომ აღნიშნული საქმიანობა განხორციელდეს ამ და (EC) No 45/2001 რეგულაციების შესაბამისად.
2. ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა, სულ მცირე, სამ წელიწადში ერთხელ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს eu-LISA-ს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საქმიანობის აუდიტი. აღნიშნული აუდიტის

ანგარიში უნდა გაეგზავნოს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიას, eu-LISA-სა და საზედამხედველო ორგანოებს. eu-LISA-ს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს კომენტარები ანგარიშის დამტკიცებამდე.

5. eu-LISA-მ ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მისცეს მას წვდომა ყველა დოკუმენტსა და სააღრიცხვო ჩანაწერზე, რომლებიც გათვალისწინებულია 46-ე მუხლით და ნებისმიერ დროს დაუშვან თავის ყველა EES-თან დაკავშირებულ ნაგებობაში.

მუხლი 57

თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებსა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს შორის

1. საზედამხედველო ორგანოებმა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ თავიანთი შესაბამისი კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში და უზრუნველყონ EES-ისა და ეროვნული სასაზღვრო ინფრასტრუქტურების კოორდინირებული ზედამხედველობა.
2. საზედამხედველო ორგანოებმა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა უნდა გაცვალონ შესაბამისი ინფორმაცია, დაეხმარონ ერთმანეთს აუდიტისა და ინსპექციის ჩატარებაში, განიხილონ ამ რეგულაციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები, შეაფასონ ზედამხედველობის დამოუკიდებლად განხორციელებისას ან მონაცემთა სუბიექტის მიერ უფლებებით სარგებლობისას გამოკვეთილი პრობლემები, შეიმუშავონ ჰარმონიზებული წინადადებები პრობლემათა ერთობლივი გადაწყვეტისთვის და საჭიროებისამებრ ხელი შეუწყონ მონაცემთა დაცვის უფლებებზე ინფორმირებულობას.
3. მე-2 პარაგრაფის მიზნებისთვის, საზედამხედველო ორგანომ და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ უნდა ჩაატარონ შეხვედრა (EU) 2016/679 რეგულაციის საფუძველზე დაფუძნებული ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს („ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭო“) ფარგლებში. ამ შეხვედრების ხარჯები და ორგანიზება აღნიშნული საბჭოს პასუხისმგებლობაა. პირველ შეხვედრაზე მიღებულ უნდა იქნას პროცედურის წესები. შემდგომი სამუშაო მეთოდები საჭიროებისამებრ ერთობლივად შემუშავდება.
4. ყოველ ორ წელიწადში ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭო საქმიანობის ერთობლივ ანგარიშს წარუდგენს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიასა და eu-LISA-ს. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს თავს თითოეული წევრი სახელმწიფოს შესახებ, რომელსაც მოამზადებს ამ წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანო.

მუხლი 58

იმ პერსონალურ მონაცემთა დაცვა, რომლებზეც განხორციელდა წვდომა IV თავის შესაბამისად

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ (EU) 2016/680 დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები ასევე ვრცელდებოდეს ეროვნული ორგანოების მიერ ამ რეგულაციის 1(2) მუხლის შესაბამისად EES-ზე წვდომაზე, მათ შორის, იმ პირთა უფლებებზე, რომელთა მონაცემებზეც განხორციელდა წვდომა.
2. (EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად დაარსებულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა განახორციელოს წევრი სახელმწიფოების მიერ პერსონალურ მონაცემებზე ამ რეგულაციის IV თავის შესაბამისად წვდომის კანონიერება, მათ შორის, მონაცემთა EES-ში და EES-დან გადაცემის კანონიერება. შესაბამისად უნდა გავრცელდეს ამ რეგულაციის 55(3) და (4) პუნქტები.
3. ევროპოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა ამ რეგულაციის შესაბამისად დამუშავება უნდა განხორციელდეს (EU) 2016/794 რეგულაციის მიხედვით და მასზე ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა.
4. პერსონალური მონაცემები, რომლებზეც წვდომაც EES-ში განხორციელდა IV თავის შესაბამისად, უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ კონკრეტული საქმის აღკვეთის, გამოვლენის ან გამოძიების მიზნით, რომლისთვისაც მოითხოვა მონაცემები წევრმა სახელმწიფომ ან ევროპოლმა.
5. EES-ის ცენტრალურმა სისტემამ, დანიშნულმა ორგანოებმა, წვდომის ცენტრალურმა პუნქტებმა და ევროპოლმა უნდა აღრიცხონ ძიებები, რათა (EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად დაარსებულ საზედამხედველო ორგანოს მისცენ მონაცემთა დამუშავების ევროკავშირისა და მონაცემთა დაცვის ეროვნულ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგის შესაძლებლობა. პერსონალური მონაცემები, ასევე, ძიებების ჩანაწერები — ზემოაღნიშნული მიზნის გამოკლებით — 30 დღეში უნდა წაიშალოს ეროვნული და ევროპოლის ყველა ფაილიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მონაცემები და ჩანაწერები საჭიროა სისხლის სამართლის კონკრეტული მიმდინარე გამოძიებისთვის, რომლისთვისაც ისინი მოითხოვა წევრმა სახელმწიფომ ან ევროპოლმა.

მუხლი 59

აღრიცხვა და დოკუმენტირება

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ და ევროპოლმა უნდა უზრუნველყონ, რომ IV თავის შესაბამისად EES-ის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნებიდან გამომდინარე მონაცემთა დამუშავების ყველა ოპერაცია აღრიცხოს ან დოკუმენტირდეს მოთხოვნის დასაშვებობის, მონაცემთა დამუშავების კანონიერების, ასევე, მონაცემთა მთლიანობისა და უსაფრთხოების მონიტორინგისა და თვითმონიტორინგის მიზნებისთვის.

2. ყველა საქმეში უნდა აღირიცხოს ან დოკუმენტირდეს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) EES-ის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნის ზუსტი მიზანი, მათ შორის, შესაბამისი ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაული და, ევროპოლის შემთხვევაში, წვდომის მოთხოვნის ზუსტი მიზანი;

(ბ) გონივრული საფუძვლები, რის გამოც არ განხორციელდა შედარება სხვა წევრ სახელმწიფოებთან 2008/615/JHA გადაწყვეტილების მიხედვით, ამ რეგულაციის 32(2) მუხლის (ბ) პუნქტის შესაბამისად;

(გ) ეროვნული საქმის ნომერი;

(დ) ცენტრალური წვდომის პუნქტის მიერ EES-ის ცენტრალურ სისტემაში წვდომის მოთხოვნის თარიღი და ზუსტი დრო;

(ე) იმ ორგანოს სახელი, რომელმაც მოითხოვა წვდომა გადამოწმების მიზნით;

(ვ) საჭიროების შემთხვევაში, ამ რეგულაციის 31(2) მუხლით გათვალისწინებული გადაუდებელი პროცედურის გამოყენება და *ex-post* შემოწმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

(ზ) გადამოწმების მიზნით გამოყენებული მონაცემები;

(თ) მომხმარებლის უნიკალური იდენტიფიკატორი, ერთი მხრივ, თანამდებობის იმ პირის, რომელმაც განახორციელა ძიება და, მეორე მხრივ, იმ პირის, რომელმაც გასცა მითითება ამ ძიების ჩატარებაზე, ეროვნული წესების ან (EU) 2016/794 რეგულაციის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო ჩანაწერი და დოკუმენტაცია გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ მონაცემთა დამუშავების კანონიერების მონიტორინგისთვის და მონაცემთა მთლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ რეგულაციის 72-ე მუხლით გათვალისწინებული შეფასებისთვის დასაშვებია მხოლოდ იმ სააღრიცხვო ჩანაწერის გამოყენება, რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად დაარსებულ საზედამხედველო ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია მოთხოვნის დასაშვებობის შემოწმებასა და მონაცემთა დამუშავების, ასევე, მათი მთლიანობისა და უსაფრთხოების კანონიერების მონიტორინგზე, მოთხოვნისამებრ უნდა მიეცეს ამ სააღრიცხვო ჩანაწერზე წვდომა საკუთარი მოვალეობების შესრულების მიზნებისთვის.

თავი VIII

ცვლილებები ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტებში

მუხლი 60

ცვლილებები შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციაში

შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის მე-20 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

(1) მე-2 პარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„2. 1-ელი პარაგრაფი არ მოახდენს გავლენას ხელშემკვრელი მხარის უფლებაზე, საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის ყოფნის ვადა გააგრძელოს 90 დღეზე მეტხანს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში:

(ა) განსაკუთრებულ შემთხვევებში; ან

(ბ) ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე დადებული ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად და 2დ პუნქტის მიხედვით კომისიის შეტყობინების საფუძველზე“;

(2) დაემატოს შემდეგი პუნქტები:

„2ა. ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე უცხოელის ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მე-2 პარაგრაფის (ბ) პუნქტის შესაბამისად, უცხოელის მოთხოვნის საფუძველზე, და ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს წარედგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ შესვლისას ან ტერიტორიაზე ყოფნის განმავლობაში, ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 დღის ვადით ყოფნის, სულ მცირე, ბოლო სამუშაო დღეს.

თუ უცხოელს არ წარუდგენია მოთხოვნა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 დღის ვადით ყოფნის განმავლობაში, მისი ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ხელშემკვრელი მხარის მიერ დადებული ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად და ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ უცხოელი აღნიშნულ გადაგრძელებამდე კანონიერად იმყოფებოდა იმ ვადის განმავლობაში, რომელიც ცდება 90 დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში, თუ უცხოელი წარმოადგენს დამარწმუნებელ მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებს, რომ აღნიშნული ვადის განმავლობაში ის იმყოფებოდა მხოლოდ ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

2ბ. თუ ყოფნის ვადა გაგრძელდა ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა გაგრძელებასთან დაკავშირებული მონაცემები უნდა შეიყვანონ უცხოელის იმ პირად საქმესთან დაკავშირებულ უახლეს შესვლა/გასვლის ჩანაწერში, რომელიც განთავსებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/2226 რეგულაციის (*1) შესაბამისად შექმნილ შესვლა/გასვლის სისტემაში. ასეთი მონაცემები შეეყვანილ უნდა იქნას აღნიშნული რეგულაციის მე-19 მუხლის შესაბამისად.

2გ. თუ ყოფნის ვადა მე-2 პარაგრაფის შესაბამისად გადაგრძელდა, შესაბამის უცხოელს მიეცემა მხოლოდ ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყოფნისა და მისი გარე საზღვრებიდან გასვლის უფლება.

კომპეტენტურმა ორგანომ, რომელმაც გადააგრძელა ყოფნის ვადა, უნდა ცნობოს შესაბამის უცხოელს, რომ ვადის გაგრძელება მას უფლებას აძლევს, იმყოფებოდეს მხოლოდ

ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და რომ ვალდებულია, გავიდეს მხოლოდ ამ ხელშემკვრელი მხარის გარე საზღვრებიდან.

2დ. ხელშემკვრელმა მხარეებმა კომისიას 2018 წლის 30 მარტამდე უნდა აცნობონ თავიანთი შესაბამისი ორმხრივი შეთანხმებების ტექსტი, რომლებიც განსაზღვრულია მე-2 პარაგრაფის (ბ) პუნქტით. თუ ხელშემკვრელი მხარე შეწყეტს რომელიმე ამ ორმხრივი ხელშემკვრულების გამოყენებას, უნდა აცნობოს კომისიას ამის შესახებ. კომისიამ *ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში* უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია აღნიშნული ორმხრივი შეთანხმებების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია, სულ მცირე, შესაბამისი წევრი სახელმწიფოებისა და მესამე ქვეყნების, უცხოელთა ამ ორმხრივი შეთანხმებებიდან გამომდინარე უფლებებისა და ამ შეთანხმებებში ცვლილებების შესახებ.

(*1) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/2226 რეგულაცია შესვლა/გასვლის სისტემის (EES) დაარსების შესახებ, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის და შესვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ მონაცემთა აღსარიცხად, რომლებიც კვეთენ წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებს, ასევე, სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პირობების დადგენის თაობაზე და შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციასა და (EC) No 767/2008 და (EU) No 1077/2011 რეგულაციებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ([OJ L 327, 9.12.2017, გვ. 20](#)).”

მუხლი 61

ცვლილებები (EC) No 767/2008 რეგულაციაში

(EC) No 767/2008 შეიცვალოს შემდეგნაირად:

(1) 10(1) მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

(ა) დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„(და) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვიზა გამოცემულია შეზღუდული ტერიტორიული მოქმედებით, (EC) No 810/2009 რეგულაციის 25(1)(ბ) მუხლის შესაბამისად“;

(ბ) დაემატოს შემდეგი პუნქტი:

(i) „(1) საჭიროების შემთხვევაში: პირის სტატუსი, რომ იგი არის ევროკავშირის იმ მოქალაქის ოჯახის წევრი, რომელზეც ვრცელდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004/38/EC დირექტივა (*2) ან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის ოჯახის წევრი, რომელიც სარგებლობს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარი თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშემკვრულების საფუძველზე;

(*2) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/38/EC დირექტივა ევროკავშირის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრთა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ბინადრობის უფლების შესახებ, რომელიც ცვლის (EEC) No 1612/68 რეგულაციას და აუქმებს 64/221/EEC, 68/360/EEC, 72/194/EEC, 73/148/EEC, 75/34/EEC, 75/35/EEC, 90/364/EEC, 90/365/EEC და 93/96/EEC დირექტივებს ([OJ L 158, 30.4.2004, გვ. 77](#)).“;

(2) მე-13 მუხლში დაემატოს შემდეგი პარაგრაფი:

“3. თუ მიღებულია გადაწყვეტილება ვიზის ანულირების ან გაუქმების შესახებ, ამ გადაწყვეტილების მიმღებმა სავიზო ორგანომ VIS-იდან დაუყოვნებლივ უნდა ამოიღოს და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/2226 რეგულაციის (*3) შესაბამისად შექმნილ შესვლა/გასვლის სისტემაში ექსპორტირება გაუკეთოს აღნიშნული რეგულაციის 19(1) მუხლში ჩამოთვლილ მონაცემებს.

(*3) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის (EU) 2017/2226 რეგულაცია შესვლა/გასვლის სისტემის (EES) დაარსების შესახებ, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის და შესვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ მონაცემთა აღსარიცხად, რომლებიც კვეთენ წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებს, ასევე, სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პირობების დადგენის თაობაზე და შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციასა და (EC) No 767/2008 და (EU) No 1077/2011 რეგულაციებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ([OJ L 327, 9.12.2017, გვ. 20](#)).”

(3) მე-14 მუხლში დაემატოს შემდეგი პარაგრაფი:

„3. სავიზო ორგანომ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გაცემული ვიზის მოქმედების ან/და ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ, VIS-იდან დაუყოვნებლივ უნდა ამოიღოს და EES-ში ექსპორტირება გაუკეთოს (EU) 2017/2226 რეგულაციის 19(1) მუხლში ჩამოთვლილ მონაცემებს.“

(3) მე-15 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

(ა) მე-2 პარაგრაფში (ბ) და (გ) პუნქტები ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(ბ) გვარი, სახელ(ებ)ი; დაბადების თარიღი; ეროვნებ(ებ)ი; სქესი;

(გ) სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის ტიპი და ნომერი; მისი გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი; მისი მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი;“

(ბ) დაემატოს შემდეგი პარაგრაფები:

„4. (EU) 2017/2226 რეგულაციის 24-ე მუხლის შესაბამისად სავიზო განაცხადების განსახილველად და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად EES-ის გადამოწმების მიზნებისთვის, კომპეტენტურს სავიზო ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა EES-ში

პირდაპირ VIS-იდან ძიებაზე აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მონაცემის გამოყენებით.

5. თუ ამ მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში ან არსებობს ეჭვი ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ვინაობასთან დაკავშირებით, კომპეტენტურ სავიზო ორგანოს უნდა მიეცეს წვდომა მონაცემებზე ამ რეგულაციის მე-20 მუხლის შესაბამისად იდენტიფიკაციისთვის.

(5) III თავში დაემატოს შემდეგი მუხლი:

„მუხლი 17ა

EES-თან ფუნქციონალური თავსებადობა

1. EES-ის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, როგორც განსაზღვრულია (EU) 2017/2226 რეგულაციის 66(1) მუხლით, უნდა დაინერგოს ფუნქციონალური თავსებადობა EES-სა და VIS-ს შორის სასაზღვრო შემოწმებების უფრო მეტი ეფექტიანობისა და სისწრაფის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, eu-LISA-მ უნდა შექმნას უსაფრთხო კომუნიკაციის არხი EES-ისა და VIS-ის ცენტრალურ სისტემებს შორის. EES-სა და VIS-ს შორის მონაცემთა პირდაპირი გადამოწმება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ამ და (EU) 2017/2226 რეგულაციებით განსაზღვრულ შემთხვევებში. VIS-იდან ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების ამოღება და მათი იმპორტირება EES-ში, ასევე, VIS-იდან EES-ში მონაცემთა განახლება უნდა იყოს ავტომატიზებული პროცესი შესაბამისი ორგანოს მიერ შესაბამისი ოპერაციის ჩაშვების შემდეგ.

2. VIS-ით მოსარგებლე სავიზო ორგანოებს ფუნქციონალურმა ფუნქციონალურმა თავსებადობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს, VIS-დან გაეცნონ EES-ს შემდეგი მიზნებისთვის:

(ა) სავიზო განაცხადების განხილვისას და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც გათვალისწინებულია (EU) 2017/2226 რეგულაციის 24-ე და ამ რეგულაციის 15(4) მუხლებით;

(ბ) ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების პირდაპირ VIS-დან ამოღება და მათი იმპორტირება EES-ში ვიზის ანულისების, გაუქმების ან განახლების შემთხვევაში (EU) 2017/2226 რეგულაციის რეგულაციის მე-19 მუხლისა და ამ რეგულაციის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად;

3. EES-ით მოსარგებლე სასაზღვრო უწყებებს ფუნქციონალურმა ფუნქციონალურმა თავსებადობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს, EES-დან გაეცნონ VIS-ს შემდეგი მიზნებისთვის:

(ა) ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების პირდაპირ VIS-დან ამოღება და მათი EES-ში იმპორტირება ვიზის მფლობელის შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ EES-ში ჩანაწერის შექმნის ან განახლების მიზნით, (EU) 2017/2226 რეგულაციის მე-14, მე-16 და მე-18 მუხლებისა და ამ რეგულაციის 18ა მუხლის შესაბამისად;

(ბ) ვიზასთან დაკავშირებული მონაცემების პირდაპირ VIS-დან ამოღება და მათი იმპორტირება EES-ში ვიზის ანულისრების, გაუქმების ან განახლების შემთხვევაში (EU) 2017/2226 რეგულაციის მე-19 მუხლისა და ამ რეგულაციის მე-13, მე-14 და 18ა მუხლების შესაბამისად;

(გ) ამ რეგულაციის 18(2) მუხლის შესაბამისად, ვიზის ავთენტურობისა და ნამდვილობის ან/და წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის პირობების შესრულების შემოწმება, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/399 (*4) რეგულაციის მე-6 მუხლით;

(დ) გადამოწმება, არიან თუ არა VIS-ში დარეგისტრირებული ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთა პირადი საქმეც არ დარეგისტრირებულა EES-ში, (EU) 2017/2226 რეგულაციის 23-ე მუხლისა და ამ რეგულაციის 19ა მუხლის შესაბამისად;

(ე) თუ ვიზის მფლობელის ვინაობა თითის ანაბეჭდების გამოყენებით დგინდება, ვიზის მფლობელის ვინაობის შემოწმება მისი თითის ანაბეჭდების VIS-თან მიმართებით გადამოწმებით, (EU) 2017/2226 რეგულაციის 23(2) და 23(4) მუხლებისა და ამ რეგულაციის 18(6) მუხლის შესაბამისად.

4. (EU) 2017/2226 რეგულაციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული EES ვებმომსახურების ფუნქციონირებისთვის, VIS-მა VIS-ის მინიმალურად აუცილებელი მონაცემების ერთმხრივი ამოღების გზით ყოველდღიურად უნდა გაახლოს ხსენებული რეგულაციის 13(5) მუხლით განსაზღვრული მხოლოდ წაკითხვადი მონაცემთა ბაზა.

5. (EU) 2017/2226 რეგულაციის 36-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ფუნქციონალური თავსებადობის დანერგვისა და ზედა დონის დიზაინის შემუშავებისთვის. EES-სთან ფუნქციონალური თავსებადობის დანერგვისთვის, მმართველმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს საჭირო განვითარებები და ადაპტაციები VIS-ის ცენტრალურ სისტემის, თითოეული წევრი სახელმწიფოს ეროვნული ინტერფეისისა და VIS-სა და ეროვნულ ინტერფეისებს შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისთვის. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და მოახდინონ ეროვნული ინფრასტრუქტურების ადაპტაცია.

(*4) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის (EU) 2016/399 რეგულაცია ევროკავშირის კოდექსის მიღების თაობაზე, რომელიც შეეხება საზღვრებს შორის პირთა მოძრაობის მარეგულირებელ წესებს (შენგენის სასაზღვრო კოდექსი)(OJ L 77, 23.3.2016, გვ. 1).“

(6) მე-18 მუხლი უნდა ჩანაცვლდეს შემდეგით:

„მუხლი 18

შემოწმების მიზნით მონაცემებზე წვდომა იმ საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES

1. მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ვიზის მფლობელთა ვინაობა, ვიზის ავთენტურობა, დროებითი და ტერიტორიული მოქმედება და სტატუსი ან/და წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის პირობების შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-6 მუხლით, კომპეტენტურ ორგანოებს ჩამოთვლილი მონაცემებით ძიებისთვის უნდა ჰქონდეთ VIS-ზე წვდომა იმ საზღვრებზე შემოწმების განსახორციელებლად, სადაც ფუნქციონირებს EES:

(ა) გვარი, სახელ(ებ)ი; დაბადების თარიღი; ეროვნებ(ებ)ი; სქესი; სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის ტიპი და ნომერი; მისი გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი; სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი; ან

(ბ) ვიზის სტიკერის ნომერი.

2. მხოლოდ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული მიზნებისთვის, როდესაც EES-ში ძიება ჩაეშვება (EU) 2017/2226 რეგულაციის 23(2) მუხლის შესაბამისად, კომპეტენტურმა სასაზღვრო უწყებამ ძიება VIS-ში უნდა ჩაუშვას პირდაპირ EES-იდან ამ მუხლის 1(ა) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გამოყენებით;

3. ამ მუხლის მე-2 პარაგრაფიდან დეროგაციის სახით, როდესაც EES-ში ძიება ჩაეშვება 2017/2226 რეგულაციის 23(2) ან (4) მუხლის შესაბამისად, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია VIS-ში ძიება განახორციელოს EES-სთან ფუნქციონალური თავსებადობის გამოყენების გარეშე, როდესაც კონკრეტული გარემოებები ასე მოითხოვს, კერძოდ, როდესაც მესამე ქვეყნის მოქალაქის სპეციფიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, უფრო ჯეროვანია, რომ ძიება განხორციელდეს ამ მუხლის 1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული მონაცემებით; როდესაც EES-ის მონაცემების გადამოწმება დროებით ტექნიკურად შეუძლებელია; ან EES-ის გაუმართაობის შემთხვევაში.

4. თუ 1-ელ პარაგრაფში ჩამოთვლილი მონაცემებით ძიება აჩენებს, რომ VIS-ში დაცულია მონაცემები ერთი ან მეტი გაცემული ან გაგრძელებული ვიზის შესახებ, რომლის მოქმედების ვადა და ტერიტორიული მოქმედების ფარგლები არ დარღვეულა, იმ საზღვრებზე შემოწმების განსახორციელებელ კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES — მხოლოდ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული მიზნებისთვის — უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს შესაბამისი განაცხადის ფაილში, ასევე, 8(4) მუხლის შესაბამისად დაკავშირებულ განაცხადის ფაილ(ებ)ში არსებული შემდეგი მონაცემები:

(ა) სტატუსის შესახებ ინფორმაცია და განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც განსაზღვრულია 9(2) და (4) მუხლით;

(ბ) ფოტოები;

(გ) მე-10, მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრული მონაცემები, რომლებიც შეყვანილია გაცემულ, გაუქმებულ ან ანულირებულ, ასევე, იმ ვიზასთან/ვიზებთან დაკავშირებით, რომელთა მოქმედების ვადაც გაგრძელდა.

გარდა ამისა, იმ ვიზის მფლობელების შემთხვევაში, რომელთა გარკვეული მონაცემების შეყვანა სამართლებრივი მიზეზებით არ არის აუცილებელი ან ფაქტობრივად შეუძლებელია, კომპეტენტურმა ორგანომ, რომელიც ახორციელებს შემოწმებას იმ საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა მიიღოს შეტყობინება კონკრეტულ მონაცემთა ველ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებიც უნდა მოინიშნოს, როგორც „არ ვრცელდება“.

5. თუ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფში ჩამოთვლილი მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ ამ პირის მონაცემები აღრიცხულია VIS-ში, მაგრამ არ არის რეგისტრირებული მოქმედი ვიზა, იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელ კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES — მხოლოდ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული მიზნებისთვის — უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს შესაბამისი განაცხადის ფაილში, ასევე, 8(4) მუხლის შესაბამისად დაკავშირებულ განაცხადის ფაილ(ებ)ში არსებული შემდეგი მონაცემები:

(ა) სტატუსის შესახებ ინფორმაცია და განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც განსაზღვრულია 9(2) და (4) მუხლით;

(ბ) ფოტოები;

(გ) მე-10, მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრული მონაცემები, რომლებიც შეყვანილია გაცემულ, გაუქმებულ ან ანულირებულ, ასევე, იმ ვიზასთან/ვიზებთან დაკავშირებით, რომელთა მოქმედების ვადაც გაგრძელდა.

6. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ გადამოწმებასთან ერთად, იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელმა კომპეტენტურმა ორგანომ, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა შეამოწმოს პირის ვინაობა VIS-თან მიმართებით, თუ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფში ჩამოთვლილი მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ VIS-ში პირთან დაკავშირებით აღრიცხულია მონაცემები და კმაყოფილდება ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

(ა) შეუძლებელია პირის ვინაობის შემოწმება EES-თან მიმართებით, (EU) 2017/2226 რეგულაციის 23(2) მუხლის შესაბამისად, ვინაიდან:

- (i) ვიზის მფლობელი ჯერ არ არის დარეგისტრირებული EES-ში;
- (ii) ვინაობა შემოწმდა შესაბამის სასაზღვრო პუნქტზე თითის ანაბეჭდების გამოყენებით, (EU) 2017/2226 რეგულაციის 23(2) მუხლის შესაბამისად;
- (iii) არსებობს ეჭვი ვიზის მფლობელის ვინაობასთან დაკავშირებით;

(iv) ნებისმიერი სხვა მიზეზით.

(ბ)შესაძლებელია პირის ვინაობის შემოწმება EES-თან მიმართებით, მაგრამ ვრცელდება (EU) 2017/2226 რეგულაციის 23(5).

იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელმა კომპეტენტურმა ორგანომ, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა შეამოწმოს ვიზის მფლობელის ანაბეჭდები VIS-ში აღრიცხულ ანაბეჭდებთან მიმართებით. იმ ვიზის მფლობელების შემთხვევაში, რომელთა ანაბეჭდების გამოყენებაც შეუძლებელია, 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ძიება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმავე პარაგრაფით განსაზღვრული ასო-ციფრული მონაცემების გამოყენებით.

7. მე-6 პარაგრაფის შესაბამისად ანაბეჭდების VIS-თან მიმართებით შემოწმების მიზნით, სასაზღვრო უწყებას შეუძლია ძიება ჩაუშვას EES-დან VIS-ში.
8. თუ ვიზის მფლობელის ან ვიზის შემოწმება წარუმატებლად დასრულდება, ან არსებობს ეჭვები ვიზის მფლობელის ვინაობასთან, ასევე, ვიზის ან სასაზღვრო დოკუმენტის ავთენტურობასთან დაკავშირებით, შემოწმების იმ საზღვრებზე განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანოს სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა ჰქონდეთ მონაცემებზე წვდომა 20(1) და (2) მუხლის შესაბამისად.“

(7) დაემატოს შემდეგი მუხლი:

„მუხლი 18ა

VIS-იდან მონაცემების ამოღება EES-ში ვიზის მფლობელის შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერის შექმნის ან განახლების მიზნით

მხოლოდ იმ მიზნით, რომ EES-ში შეიქმნას ან განახლდეს ვიზის მფლობელის შესვლა/გასვლის ან შესვლაზე უარის თქმის შესახებ ჩანაწერი (EU) 2017/2226 რეგულაციის 14(2), მე-16 და მე-18 მუხლების შესაბამისად, იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელ კომპეტენტური ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა მიეცეს წვდომა, რომ შეძლოს VIS-ში დაცული და აღნიშნული რეგულაციის 16(2) (გ)-(ვ) პუნქტებში ჩამოთვლილ მონაცემთა ამოღება VIS-იდან და მათი EES-ში იმპორტირება.“;

(8) დაემატოს შემდეგი მუხლი:

„მუხლი 19ა

VIS-ის გამოყენება EES-ში ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების პირადი საქმეების შექმნამდე

1. იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა პირი VIS-ში უკვე რეგისტრირებული, (EU) 2016/399 რეგულაციის შესაბამისად იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანო, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა გადაამოწმოს VIS EES-ში ვიზისგან გათავისუფლებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების პირადი საქმის შექმნამდე, როგორც განსაზღვრულია 2017/2226 რეგულაციის 17-ე მუხლით.
2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული მიზნებისთვის, როცა გამოიყენება 2017/2226 რეგულაციის 23(4) მუხლი და აღნიშნული რეგულაციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები არ არის აღრიცხული EES-ში, იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელ კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა ჰქონდეს წვდომა VIS-ში ძიებაზე შემდეგი მონაცემების გამოყენებით: (ა) გვარი, სახელ(ებ)ი; დაბადების თარიღი; ეროვნებ(ებ)ი; სქესი; სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის ტიპი და ნომერი; მისი გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი; სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი.
3. მხოლოდ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული მიზნებისთვის, EES-ში (EU) 2017/2226 რეგულაციის 23(4) მუხლის შესაბამისად ძიების ჩაშვებასთან ერთად, იმ საზღვრებზე შემოწმების განმახორციელებელ კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES, შეუძლია ძიების EES-იდან პირდაპირ VIS-ში ჩაშვება ამ მუხლის მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული ასო-ციფრული მონაცემების გამოყენებით.
4. გარდა ამისა, თუ მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული მონაცემებით ძიება აჩვენებს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მონაცემები აღრიცხულია VIS-ში, შემოწმების იმ საზღვრებზე განმახორციელებელმა კომპეტენტურმა ორგანომ, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა შეამოწმოს ამ მესამე ქვეყნის მოქალაქის ანაბეჭდები VIS-ში აღრიცხულთან მიმართებით. ამ ორგანოს შეუძლია შემოწმების პროცესის EES-იდან ჩაშვება. იმ მესამე ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომლის ანაბეჭდების გამოყენებაც შეუძლებელია, ძიება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული ასო-ციფრული მონაცემებით.
5. თუ ამ მუხლის მე-2 პარაგრაფში ჩამოთვლილი მონაცემებით ძიება და მე-4 პარაგრაფის მიხედვით განხორციელებული შემოწმება აჩვენებს, რომ ამ პირის მონაცემები არ არის აღრიცხული VIS-ში, შემოწმების იმ საზღვრებზე განმახორციელებელ კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES — მხოლოდ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული მიზნებისთვის — უნდა მიეცეს წვდომა, რომ გადაამოწმოს შესაბამისი განაცხადის ფაილში, ასევე, 8(4) მუხლის შესაბამისად დაკავშირებულ განაცხადის ფაილ(ებ)ში არსებული შემდეგი მონაცემები:
 - (ა) სტატუსის შესახებ ინფორმაცია და განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც განსაზღვრულია 9(2) და (4) მუხლით;
 - (ბ) ფოტოები;

(გ) მე-10, მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრული მონაცემები, რომლებიც შეყვანილია გაცემულ, გაუქმებულ ან ანულირებულ, ასევე, იმ ვიზასთან/ვიზებთან დაკავშირებით, რომელთა მოქმედების ვადაც გაგრძელდა.

6. თუ ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პარაგრაფით გათვალისწინებული შემოწმება წარუმატებელი აღმოჩნდება ან თუ არსებობს ეჭვები პირის ვინაობასთან ან სამგზავრო დოკუმენტის ავთენტურობასთან დაკავშირებით, შემოწმების იმ საზღვრებზე განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანოს სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს, სადაც ფუნქციონირებს EES, უნდა ჰქონდეთ მონაცემებზე წვდომა 20(1) და (2) მუხლის შესაბამისად. შემოწმების იმ საზღვრებზე განმახორციელებელ კომპეტენტური ორგანოს, სადაც ფუნქციონირებს EES, შეუძლია მე-20 მუხლით განსაზღვრული იდენტიფიკაციის პროცესის EES-დან ჩაშვება.“;

(9) 20(1) მუხლის პირველი ქვეპარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„1. მხოლოდ ისეთი პირის იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც ადრე შეიძლება რეგისტრირებული ყოფილიყო VIS-ში ან შეიძლება არ ან აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ბინადრობის პირობებს, კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც ატარებენ შემოწმებას იმ საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES ან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის შიგნით, რათა დაადგინონ, დაკმაყოფილებულია თუ არა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ბინადრობის პირობები, უნდა ჰქონდეთ წვდომა VIS-ში ძიებაზე ამ პირის ანაბეჭდების გამოყენებით.“;

(10) 26-ე მუხლში დაემატოს შემდეგი პარაგრაფი:

„3ა. 2018 წლის 30 ივნისის შემდეგ, მმართველი ორგანო პასუხისმგებელი იქნება მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებულ ამოცანებზე.“;

(11) 34-ე მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

(ა) 1-ლი პარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„1. თითოეული წევრი სახელმწიფო და მმართველი ორგანო უნდა აწარმოებდეს VIS-ში მონაცემთა დამუშავების ყველა ოპერაციის ჩანაწერს. აღნიშნული ჩანაწერები უნდა შეცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(ა) წვდომის მიზანი, როგორც გათვალისწინებულია 6(1) და 15-22 მუხლებით;

(ბ) დრო და თარიღი;

(გ) გადაცემული მონაცემების ტიპი, როგორც განსაზღვრულია 9-14 მუხლებით;

(დ) მოკვლევით გამოყენებული მონაცემების ტიპი, როგორც განსაზღვრულია 15(2), მე-17, 18(1) და (6), 19(1), 19ა(2) და (4), 20(1), 21(1) და 22(1) მუხლებით; და

(ე) იმ ორგანოს სახელი, რომელსაც შეჰყავს ან იღებს მონაცემებს.

გარდა ამისა, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აღრიცხოს იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც მონაცემთა შეყვანის ან ამოღების სათანადო უფლებამოსილება აქვთ.“;

(ბ) დაემატოს შემდეგი პარაგრაფი:

„1ა. 17ა მუხლში ჩამოთვლილი ოპერაციების შემთხვევაში, ამ მუხლისა და (EU) 2017/2226 რეგულაციის 46-ე მუხლის შესაბამისად უნდა იწარმოებოდეს VIS-სა და EES-ში მონაცემთა დამუშავების თითოეული ოპერაციის ჩანაწერი.

მუხლი 62

ცვლილებები (EU) No 1077/2011 რეგულაციაში

(EU) No 1077/2011 რეგულაცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

(1) 1-ელ მუხლში მე-2 პარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„2. სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს შენგენის მეორე თაობის საინფორმაციო სისტემის (SIS II), ვიზის საინფორმაციო სისტემის (VIS), Eurodac-ისა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/2226 რეგულაციის (*5) შესაბამისად შექმნილი შესვლა/გასვლის სისტემის (EES) ფუნქციონალურ მართვაზე.

(*5) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის (EU) 2017/2226 რეგულაცია შესვლა/გასვლის სისტემის (EES) დაარსების შესახებ, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის და შესვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ მონაცემთა აღსარიცხად, რომლებიც კვეთენ წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებს, ასევე, სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პირობების დადგენის თაობაზე და შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციასა და (EC) No 767/2008 და (EU) No 1077/2011 რეგულაციებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (OJ L 327, 9.12.2017, გვ. 20).”

(2) დაემატოს შემდეგი მუხლი:

„მუხლი 5ა

EES-თან დაკავშირებული ამოცანები

EES-თან დაკავშირებით, სააგენტომ უნდა შეასრულოს:

(ა) (EU) 2017/2226 რეგულაციის შესაბამისად მასზე დაკისრებული ფუნქციები;

(ბ) EES-ის ტექნიკური გამოყენების შესახებ ტრენინგთან დაკავშირებული ამოცანები.

(3) მე-7 მუხლში მე-5 და მე-6 პარაგრაფები ჩანაცვლდეს შემდეგით:

„5. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონალურ მართვასთან დაკავშირებული ამოცანები შეიძლება გადაეკისროს გარე, კერძო სექტორის დაწესებულებას ან ორგანოს, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU, Euratom) No 966/2012 რეგულაციის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, ქსელის პროვაიდერისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალა უნდა ჰქონდეს ამ მუხლის მე-4 პარაგრაფში გათვალისწინებულ უსაფრთხოების ღონისძიებებს და ამ პროვაიდერს არ უნდა ჰქონდეს რაიმე გზით წვდომა SIS II-ის, VIS-ის, Eruodac-ის ან EES-ის ოპერაციულ მონაცემებზე ან SIS II-თან დაკავშირებულ SIRENE მიმოცვლაზე.

6. SIS II-ის, VIS-ის, Eruodac-ის და EES-ის ქსელთან დაკავშირებით არსებული ხელშეკრულებების მოქმედების შეუზღუდავად, დაშიფვრის გასაღებების მართვა კვლავ სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში უნდა დარჩეს და დაუშვებელია მისი გადაკისრება გარე, კერძო სექტორის დაწესებულებაზე.

(*6) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის (EU, Euratom) No 966/2012 რეგულაცია ფინანსური წესების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ევროკავშირის გენერალური ბიუჯეტის მიმართ, და საბჭოს (EC, Euratom) No 1605/2002 რეგულაციის გაუქმების შესახებ ([OJ L 298, 26.10.2012, გვ. 1](#)).“;

(4) მე-8 მუხლში 1-ლი პარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„1. სააგენტომ მონიტორინგი უნდა გაუწიოს SIS II-ის, VIS-ის, Eruodac-ის, EES-ისა და სხვა ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალური მართვის საკითხებში რელევანტური კვლევების მხრივ განვითარებებს.“

(4) მე-12 მუხლში 1-ლი პარაგრაფი შეიცვალოს შემდეგნაირად;

(ა) დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„(sa) ანგარიშების მიღება EES-ის განვითარებების შესახებ, (EU) 2017/2226 რეგულაციის 72(2) მუხლის შესაბამისად;

(ბ) (t) პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(t) ანგარიშების მიღება SIS II-ის ტექნიკური ფუნქციონირების შესახებ, (EC) No 1987/2006 რეგულაციის 50(4) და 2007/533/JHA გადაწყვეტილების 66(4) მუხლების შესაბამისად; VIS-ის ტექნიკური ფუნქციონირების შესახებ — (EC) No 767/2008 რეგულაციის 50(3) და 2008/633/JHA გადაწყვეტილების 17(3) მუხლების შესაბამისად; და EES-ის ტექნიკური ფუნქციონირების შესახებ — (EU) 2017/2226 რეგულაციის 72(4) მუხლის შესაბამისად;

(გ) (v) პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(v) კომენტარების გაკეთება ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ანგარიშებზე აუდიტების შესახებ, (EC) No 1987/2006 რეგულაციის 45(2), (EC) No 767/2008 რეგულაციის 42(2),

(EU) No 603/2013 რეგულაციის 31(2) და (EU) 2017/2226 რეგულაციის 56(2) მუხლების შესაბამისად და აღნიშნულ აუდიტებზე სათანადოდ თვალის მიდევნების უზრუნველყოფა;

(დ) დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„(xa) EES-სთან დაკავშირებული სტატისტიკის გამოქვეყნება (EU) 2017/2226 რეგულაციის 63-ე მუხლის შესაბამისად;“

(ე) დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„(za) კომპეტენტური ორგანოების სიის ყოველწლიური გამოქვეყნების უზრუნველყოფა EU) 2017/2226 რეგულაციის 5(2) მუხლის შესაბამისად;“

(5) მე-15 მუხლში მე-4 პარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„4. ევროპოლსა და ევროჯასტს შეუძლიათ დამკვირვებლებად დაესწრონ მმართველი საბჭოს შეხვედრებს, როდესაც დღის წესრიგში გათვალისწინებულია საკითხი SIS II-ის შესახებ, 2007/533/JHA გადაწყვეტილების გამოყენებასთან დაკავშირებით. ევროპოლს ასევე შეუძლია დამკვირვებლად დაესწროს მმართველი საბჭოს შეხვედრებს, როდესაც დღის წესრიგში გათვალისწინებულია საკითხი VIS-ის შესახებ, Decision 2008/633/JHA გადაწყვეტილების გამოყენებასთან დაკავშირებით, Eurodac-ის შესახებ, (EU) No 603/2013 რეგულაციის გამოყენებასთან დაკავშირებით, ან EES-ის შესახებ, (EU) 2017/2226 რეგულაციის გამოყენებასთან დაკავშირებით.“;

(7) მე-17 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

(ა) მე-5 პარაგრაფში (ზ) პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(ზ) თანამშრომელთა შესახებ რეგულაციის მე-17 მუხლის მოქმედების შეუზღუდავად, დაადგინოს კონფიდენციალობის მოთხოვნები (EC) No 1987/2006 რეგულაციის მე-17, 2007/533/JHA გადაწყვეტილების მე-17, (EC) No 767/2008 რეგულაციის 26(9), (EU) No 603/2013 რეგულაციის 4(4) და and (EU) 2017/2226 რეგულაციის 37(4) მუხლებთან შესაბამისობისათვის;“;

(ბ) მე-6 პარაგრაფში დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„(k) EES-ის განვითარების მდგომარეობის შესახებ ანგარიშები, როგორც გათვალისწინებულია (EU) 2017/2226 რეგულაციის 72(2) მუხლით.“;

(8) მე-19 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

(ა) 1-ელ პარაგრაფში დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„(და) EES-ის საკონსულტაციო ჯგუფი;“;

(ბ) მე-3 პარაგრაფი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„ევროპოლისა და ევროჯასტს შეუძლიათ თითოეულს საკუთარი წარმომადგენლის დანიშვნა SIS II-ის საკონსულტაციო ჯგუფში. ევროპოლს ასევე შეუძლია წარმომადგენლის დანიშვნა VIS-ის, Eurodac-ისა და EES-ის საკონსულტაციო ჯგუფებში.“.

თავი IX

საბოლოო დებულებები

მუხლი 63

მონაცემთა გამოყენება ანგარიშგებისა და სტატისტიკის მიზნებისთვის

1. მხოლოდ ანგარიშგებისა და სტატისტიკის მიზნებისთვის, ინდივიდუალური იდენტიფიკაციის გარეშე და 10(2) მუხლში მითითებული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო გარანტიების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების, კომისიისა და eu-LISA-ს სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა, რომ გაეცნონ ჩამოთვლილ მონაცემებს:

(ა) ინფორმაცია სტატუსის შესახებ;

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქის ეროვნება, სქესი და დაბადების თარიღი;

(გ) წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და ტერიტორიიდან გასვლის თარიღები და სასაზღვრო პუნქტები;

(დ) სამგზავრო დოკუმენტის ტიპი და გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი;

(ე) მე-12 მუხლით გათვალისწინებული იდენტიფიცირებული ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილი პირების რაოდენობა, ეროვნება და შესვლისთვის გამოყენებული სასაზღვრო პუნქტი;

(ზ) ყოფნის ნებართვის გაუქმებასთან ან ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით შეყვანილი მონაცემები;

(თ) საჭიროების შემთხვევაში, ვიზის გამცემი წევრი სახელმწიფოს სამასოიანი კოდი;

(ი) იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც გათავისუფლებული არიან ანაბეჭდების ჩაბარების მოთხოვნისგან 17(3) და (4) მუხლის შესაბამისად;

(კ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომელთაც უარი ეთქვათ შესვლაზე, მათი ეროვნება, იმ სასაზღვრო პუნქტის ტიპი (სახმელეთო, საჰაერო ან საზღვაო), სადაც შესვლაზე უარი ეთქვათ და შესვლაზე უარის მიზეზები, რომლებიც გათვალისწინებულია 18(6) მუხლის

(დ) პუნქტით.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (44) (EU) 2016/1624 რეგულაციის საფუძველზე შექმნილი ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა, რომ გაეცნონ ამ პარაგრაფის პირველი ქვეპარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემებს რისკის ანალიზისა და მოწყვლადობის შეფასების განხორციელების მიზნებისთვის, როგორც გათვალისწინებულია აღნიშნული რეგულაციის მე-11 და მე-13 მუხლებით.

2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებისთვის, eu-LISA-მ თავის ტექნიკურ პუნქტებში ცენტრალურ დონეზე უნდა შექმნას, დანერგოს და ჰოსტინგი გაუწიოს მონაცემთა საცავს, რომელიც შეიცავს ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ მონაცემებს. მონაცემთა ამ საცავმა არ უნდა დაუშვას პირთა იდენტიფიკაცია, მაგრამ სასაზღვრო შემოწმებების ეფექტიანობის გასაძლიერებლად, საკონსულოების სავიზო განაცხადების განხილვაში დასახმარებლად და ევროკავშირში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკების შემუშავების მხარდასაჭერად, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, მოიპოვონ მორგებადი ანგარიშები და სტატისტიკა მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და გასვლის, შესვლაზე უარის თქმისა და ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენის შესახებ. მონაცემთა ეს საცავი ასევე უნდა შეიცავდეს ყოველდღიურ სტატისტიკას მე-4 მუხლში მითითებულ მონაცემებთან დაკავშირებით. მონაცემთა საცავზე წვდომის მინიჭება უნდა ხდებოდეს TESTA-ს საშუალებით უსაფრთხო წვდომის გზით, წვდომის კონტროლისა და მომხმარებლის კონკრეტული პროფილების გამოყენებით, მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშებისა და სტატისტიკის მიზნებისთვის. ამ მონაცემთა საცავის ფუნქციონირების დეტალური წესები, ასევე, მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების წესები მიღებულ უნდა იქნას 68(2) მუხლით გათვალისწინებული გამოკვლევის პროცედურის შესაბამისად.
3. eu-LISA-ს მიერ EES-ის განვითარებისა და ფუნქციონირების მონიტორინგისთვის მიღებული წესები, როგორც გათვალისწინებულია 72(1) მუხლით, უნდა შეიცავდეს რეგულარული სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობას აღნიშნული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.
4. eu-LISA-მ ყოველკვარტლურად უნდა გამოაქვეყნოს EES-ის სტატისტიკა, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, კერძოდ, რაოდენობის, ეროვნების, ასაკის, სქესის, ყოფნის ვადისა და შესვლისთვის გამოყენებული სასაზღვრო პუნქტის შესახებ შემდეგ პირებთან დაკავშირებით: ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილი პირები; მესამე ქვეყნის ის მოქალაქეები, რომელთაც უარი ეთქვათ შესვლაზე — ამ შემთხვევაში, ასევე, ინფორმაცია შესვლაზე უარის საფუძვლების შესახებ; მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთა ყოფნის ნებართვაც გაუქმდა ან გაგრძელდა; და ინფორმაცია მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების რაოდენობის შესახებ, რომლებიც გათავისუფლებულები არიან ანაბეჭდების ჩაბარების მოთხოვნისგან.
5. ყოველი წლის ბოლოს სტატისტიკური მონაცემები უნდა შეჯერდეს ამ წლის ყოველწლიურ ანგარიშში. სტატისტიკაში მონაცემები უნდა ჩაიშალოს თითოეული წევრი სახელმწიფოს მიხედვით. ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს და გადაეგზავნოს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიას, ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს და ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებს.
6. eu-LISA-მ კომისიას მოთხოვნის საფუძველზე უნდა მიაწოდოს სტატისტიკა ამ რეგულაციის დანერგვასთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტების შესახებ, ასევე, სტატისტიკა მე-3 პარაგრაფის შესაბამისად.

მუხლი 64

ხარჯები

1. EES-ის ცენტრალური სისტემის, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, NUI-ის, ვებმომსახურებისა და 63(2) მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საცავის დაარსებისა და ფუნქციონირების ხარჯები დაიფარება ევროკავშირის გენერალური ბიუჯეტიდან.
2. არსებული ეროვნული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის ინტეგრაციისა და მისი NUI-სთან დაკავშირების, ასევე, NUI-ის ჰოსტინგის ხარჯები დაიფარება ევროკავშირის გენერალური ბიუჯეტიდან.

გამორიცხება შემდეგი ხარჯები:

- (ა) წვერი სახელმწიფოების პროექტის მართვის ორგანო (შეხვედრები, მისიები, ოფისები);
 - (ბ) ეროვნული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების ჰოსტინგი (სივრცე, დანერგვა, ელექტროენერჯია, გაგრილება);
 - (გ) ეროვნული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების ფუნქციონირება (ოპერატორები და ხელშეკრულებები მხარდაჭერის შესახებ);
 - (დ) არსებული სასაზღვრო შემოწმებებისა და საპოლიციო სისტემების მორგება ეროვნული შესვლა/გასვლის სისტემებისთვის;
 - (ვ) ეროვნული შესვლა/გასვლის სისტემების პროექტის მართვა;
 - (ზ) ეროვნული საკომუნიკაციო ქსელების დიზაინის შემუშავება, განვითარება, დანერგვა, ფუნქციონირება და მოვლა-შენარჩუნება;
 - (თ) სასაზღვრო კონტროლის ავტომატიზებული სისტემები, თვითმომსახურების სისტემები და ელ. გასასვლელები.
3. ცენტრალური წვდომის პუნქტების ხარჯებს, როგორც განსაზღვრულია 29-ე და 30-ე მუხლებით, შესაბამისად დაფარავს თითოეული წვერი სახელმწიფო და ევროპოლი. ამ ცენტრალური წვდომის პუნქტების NUI-სა და EES-სთან დაკავშირების ხარჯებს შესაბამისად დაფარავს თითოეული წვერი სახელმწიფო და ევროპოლი.
 4. თითოეულმა წვერმა სახელმწიფომ და ევროპოლმა საკუთარი ხარჯით უნდა შექმნას და მოუაროს და შეინარჩუნოს ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია IV თავის დანერგვისთვის და პასუხისმგებელია ამ მიზნით EES-ზე წვდომიდან გამომდინარე ხარჯებზე.

მუხლი 65

შეტყობინებები

1. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ ორგანოების შესახებ, რომლებიც 39-ე მუხლის შესაბამისად მაკონტროლებლად იქნებიან მიჩნეულები.
2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიასა და eu-LISA-ს უნდა აცნობონ 9(2) მუხლში მითითებული იმ კომპეტენტური ორგანოების შესახებ, რომლებსაც აქვთ წვდომა მონაცემთა შეყვანაზე, შესწორებაზე, შევსებაზე, წაშლაზე, გადამოწმებაზე ან ძიებაზე. EES-ის ფუნქციონირების დაწყებიდან სამი თვის შემდეგ, 66-ე მუხლის შესაბამისად, eu-LISA-მ უნდა ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში უნდა გამოაქვეყნოს ამ ორგანოების კონსოლიდირებული სია. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნონ შეტყობინება ამ სიაში რაიმე ცვლილების შესახებ. ამგვარი ცვლილებების შემთხვევაში, eu-LISA-მ წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს ამ ინფორმაციის განახლებული კონსოლიდირებული ვერსია.
3. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიასა და eu-LISA-ს უნდა აცნობონ თავიანთი დანიშნული ორგანოებისა და ცენტრალური წვდომის პუნქტების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია 29-ე მუხლით, და დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ამ მხრივ რაიმე ცვლილების შესახებ.
4. ევროპოლმა კომისიასა და eu-LISA-ს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავისი დანიშნული ორგანოსა და ცენტრალური წვდომის პუნქტის შესახებ, როგორც გათვალისწინებულია 30-ე მუხლით, და დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამ მხრივ რაიმე ცვლილების შესახებ.
5. eu-LISA-მ კომისიას უნდა შეატყობინოს 66(1) მუხლში მითითებული ტესტის წარმატებული დასრულების შესახებ.
6. კომისიამ ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში უნდა გამოაქვეყნოს 1-ელ, მე-3 და მე-4 პარაგრაფებში მითითებული ინფორმაცია. მასში ცვლილებების შემთხვევაში, კომისიამ წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს ამ ინფორმაციის განახლებული კონსოლიდირებული ვერსია. კომისიას უნდა ჰქონდეს მუდმივად განახლებადი საჯარო ვებსაიტი, სადაც ეს ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი.

მუხლი 66

ფუნქციონირების დაწყება

1. ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების შემდეგ, კომისიამ უნდა განსაზღვროს თარიღი, რომლიდანაც EES დაიწყებს ფუნქციონირებას:
 - (ა) მიღებულია 36-ე და 50(4) და (5) მუხლებით გათვალისწინებული ზომები;
 - (ბ) eu-LISA-მ გამოაცხადა, რომ წარმატებით დასრულდა EES-ის ყოველმხრივი ტესტირება, რომელიც eu-LISA-მ უნდა ჩაატაროს წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით;
 - (გ) წევრმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს ტექნიკური და სამართლებრივი ზომები 16-20 მუხლებში მითითებული მონაცემების შესაგროვებლად და EES-ში გადასაცემად, და აღნიშნულის თაობაზე აცნობეს კომისიას;

(დ) წევრმა სახელმწიფოებმა შეტყობინება გაუგზავნეს კომისიას 65(1), (2) და (3) მუხლის შესაბამისად.

2. EES-ის ფუნქციონირებას ახორციელებს:

(ა) წევრი სახელმწიფო, სადაც სრულად მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*); და

(ბ) წევრი სახელმწიფოები, სადაც ჯერ სრულად არ მოქმედებს შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*), მაგრამ რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- (i) წარმატებით დასრულდა შემოწმება შენგენის შეფასების პროცედურების შესაბამისად;
- (ii) მიერთების შესაბამისი აქტის საფუძველზე ძალაში შევიდა შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) SIS-თან დაკავშირებული დებულებები;
- (iii) მიერთების შესაბამისი აქტის საფუძველზე ძალაში შევიდა შენგენის კანონმდებლობა (*Schengen acquis*) VIS-თან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც ამ რეგულაციის მიხედვით აუცილებელია EES-ის ფუნქციონირებისთვის.

3. წევრი სახელმწიფო, რომელიც არ ექცევა მე-2 პარაგრაფის ფარგლებში, EES-ს უნდა დაუკავშირდეს 1-ლი პარაგრაფის (ბ), (გ) და (დ) პუნქტებითა და მე-2 პარაგრაფის (2) პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთანავე. კომისიამ უნდა განსაზღვროს თარიღი, რომლიდანაც EES დაიწყებს ფუნქციონირებას ამ წევრ სახელმწიფოებში.

4. კომისიამ უნდა აცნობოს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს 1-ლი პარაგრაფის (ბ) პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ტესტის შედეგების შესახებ.

5. *ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში* უნდა გამოქვეყნდეს კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია 1-ელი და მე-3 პარაგრაფებით.

6. წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპოლმა EES-ის გამოყენება უნდა დაიწყონ კომისიის მიერ 1-ელი ან, საჭიროების შემთხვევაში, მე-3 პარაგრაფის შესაბამისად განსაზღვრული თარიღიდან.

მუხლი 67

სეუტა და მელილია

ეს რეგულაცია გავლენას არ მოახდენს სპეციალურ წესებზე, რომლებიც ვრცელდება სეუტასა და მელილიას ქალაქებზე, როგორც განსაზღვრულია ესპანეთის სამეფოს დეკლარაციით სეუტასა და მელილიას ქალაქებთან დაკავშირებით, შენგენის დანერგვის შესახებ 1985 წლის 14 ივნისის ხელშეკრულებაზე ესპანეთის სამეფოს მიერთების შეთანხმების ბოლო აქტში.

მუხლი 68

კომიტეტის პროცედურა

1. კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი. კომიტეტი ნიშნავს კომიტეტს (EU) No 182/2011 რეგულაციით გათვალისწინებული მნიშვნელობით.
2. თუ მითითება ხორციელდება ამ პარაგრაფზე, გამოიყენება (EU) No 182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლი.

მუხლი 69

საკონსულტაციო ჯგუფი

eu-LISA-მ უნდა შექმნას საკონსულტაციო საბჭო EES-სთან დაკავშირებით ექსპერტული ცოდნის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, თავისი ყოველწლიური სამუშაო პროგრამისა და ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის მომზადების კონტექსტში. EES-ის დიზაინის შექმნისა და განვითარების პროცესის განმავლობაში გამოიყენება 37(2) მუხლი.

მუხლი 70

საკონსულტაციო ჯგუფი

eu-LISA-მ უნდა შეასრულოს თავისი ამოცანები, რომლებიც უკავშირდება EES-ის ტექნიკური გამოყენების შესახებ ტრენინგის მიწოდებას, (EU) No 1077/2011 რეგულაციის შესაბამისად.

მუხლი 71

პრაქტიკული გზამკვლევი

წევრ სახელმწიფოებთან, eu-LISA-სთან და სხვა შესაბამის სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, კომისიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პრაქტიკული გზამკვლევი EES-ის დანერგვისა და მართვის შესახებ. ეს პრაქტიკული გზამკვლევი უნდა შეიცავდეს ტექნიკურ და ფუნქციონალურ სახელმძღვანელო მითითებები, რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკა. კომისიამ პრაქტიკული გზამკვლევი უნდა მიიღოს რეკომენდაციის ფორმით.

მუხლი 72

მონიტორინგი და შეფასება

1. eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს პროცედურების არსებობა EES-ის განვითარების მონიტორინგისთვის დაგეგმვასა და ხარჯებთან დაკავშირებული ამოცანების

გათვალისწინებით და EES-ის ფუნქციონირების მონიტორინგისთვის ტექნიკურ სიმძლავრესთან, ხარჯეფექტიანობასთან, უსაფრთხოებასა და მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული ამოცანების გათვალისწინებით.

2. 2018 წლის 30 ივნისისთვის და EES-ის შემუშავების ფაზის განმავლობაში ამ თარიღიდან ყოველ ექვს თვეში ერთხელ, eu-LISA-მ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში EES-ის ცენტრალური სისტემის, ერთიანი ინტერფეისის, ასევე, EES-ის ცენტრალურ სისტემასა და ერთიანი ინტერფეისის შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შემუშავების მდგომარეობის შესახებ. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ხარჯებისა და ნებისმიერი იმ რისკის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს EES-ის საერთო ხარჯებზე, რომლებიც ევროკავშირის გენერალური ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს 64(1) მუხლისა და 64(2) მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად. EES-ის შემუშავების შემდეგ, eu-LISA-მ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, სადაც დეტალურად განმარტავს, როგორ იქნა მიღწეული ამოცანები — კერძოდ, დაგეგმვასა და ხარჯებთან დაკავშირებით — და დაასაბუთოს ნებისმიერი გადახვევა.
3. ტექნიკური მოვლა-შენარჩუნების მიზნებისთვის, eu-LISA-ს უნდა ჰქონდეს აუცილებელ ინფორმაციაზე წვდომა, რომელიც უკავშირდება EES-ში განხორციელებულ მონაცემთა დამუშავების ოპერაციებს.
4. EES-ის ფუნქციონირების დაწყებიდან ორი წლის შემდეგ და ამ თარიღიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, eu-LISA-მ ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას უნდა წარუდგინოს ანგარიში EES-ის ტექნიკური ფუნქციონირების, მათ შორის, მისი უსაფრთხოების შესახებ.
5. EES-ის ფუნქციონირების დაწყებიდან სამი წლის შემდეგ და ამ თარიღიდან ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, კომისიამ უნდა წარმოადგინოს EES-ის საერთო შეფასება, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(ა) ამ რეგულაციის გამოყენების შეფასება;

(ბ) მიღწეული შედეგების შეფასება ამოცანებთა მიმართებით და ძირითად უფლებებზე მათი გავლენის შეფასება;

(გ) განგრძობადი შეფასება იმისა, რომ EES-ის ძირითადი დასაბუთება კვლავ ძალაშია;

(დ) EES-ის სათანადო ფუნქციონირებისთვის გამოყენებული ბიომეტრიული მონაცემების ადეკვატურობის შეფასება;

(ე) განსაკუთრებულ შემთხვევებში შტამპის გამოყენების შეფასება, როგორც გათვალისწინებულია 21(2) მუხლით;

(ვ) EES-ის უსაფრთხოების შეფასება;

(ზ) შესაძლო ეფექტების შეფასება, მათ შორის, სასაზღვრო პუნქტებში მოძრაობაზე ნებისმიერი არაპროპორციული გავლენისა და ევროკავშირის ბიუჯეტზე გავლენის შეფასებები.

შეფასება უნდა შეიცავდეს აუცილებელ რეკომენდაციებს. კომისიამ შეფასების ანგარიში უნდა გადაუგზავნოს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველსა და საბჭოს (EC) No 168/2007 რეგულაციით (45) დაფუძნებულ ევროკავშირის სააგენტოს ძირითადი უფლებების შესახებ.

ეს შეფასებები ასევე უნდა შეიცავდეს მე-60 მუხლში მითითებული დებულებების გამოყენების შეფასებას როგორც სიხშირის თვალსაზრისით — წვერი სახელმწიფოს მიხედვით, მესამე ქვეყნის მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ ამ დებულებებით, მათი ეროვნება და ყოფნის საშუალო ვადა — ისე პრაქტიკული ეფექტების მხრივ, და უნდა ითვალისწინებდეს ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის შესაბამის განვითარებებს. შეფასების პირველი ანგარიში შეიძლება შეიცავდეს ალტერნატივებს მე-60 მუხლით გათვალისწინებული დებულებების გამოყენების თანდათანობითი შეწყვეტისა და მათი ევროკავშირის ინსტრუმენტით ჩანაცვლების კუთხით. საჭიროებისამებრ მას თან უნდა ახლდეს საკანონმდებლო წინადადება მე-60 მუხლში მითითებული დებულებების ცვლილების შესახებ.

6. წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპოლმა eu-LISA-სა და კომისიას უნდა მიაწიდონ აუცილებელი ინფორმაცია, რაც საჭიროა მე-4 და მე-5 პარაგრაფებში განსაზღვრული ანგარიშების შესადგენად, კომისიის ან/და eu-LISA-ს მიერ წინასწარ დადგენილი რაოდენობრივი ინდიკატორების შესაბამისად. ამ ინფორმაციამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას სამუშაო მეთოდებს ან ამჟღავნებდეს დანიშნული ორგანოების წყაროებს, თანამშრომლებს ან მათ მიერ განხორციელებულ გამოძიებას.
7. eu-LISA-მ კომისიას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რაც აუცილებელია მე-5 პარაგრაფით გათვალისწინებული საერთო შეფასების განსახორციელებლად.
8. სენსიტიური ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებების დაცვით, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ და ევროპოლმა უნდა მოამზადონ ყოველწლიური ანგარიშები სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ის მონაცემებზე წვდომის ეფექტიანობის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციასა და სტატისტიკას შემდეგ საკითხებზე:

(ა) მონაცემების გადამოწმების მიზანი — იდენტიფიკაციის ან შესვლა/გასვლის ჩანაწერზე წვდომა — და ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ტიპი, რომლის გამოც განხორციელდა გადამოწმება;

(ბ) საფუძვლები, რომლებითაც დასაბუთდა, რომ პირი ექცევა რეგულაციის ფარგლებში;

(გ) საფუძვლები, რომლის გამოც არ მოხდა გადამოწმება სხვა წვერი სახელმწიფოების ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური იდენტიფიკაციის სისტემაში 2008/615/JHA გადაწყვეტილების შესაბამისად, როგორც გათვალისწინებული ამ რეგულაციის 32(2) მუხლის (ბ) პუნქტით;

(დ) EES-ზე წვდომის მოთხოვნათა რაოდენობა სამართალდაცვის მიზნებისთვის;

(ე) იმ შემთხვევათა რაოდენობა და ტიპი, სადაც სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომა წარმატებული იდენტიფიკაციით დასრულდა;

(ვ) იმ შემთხვევათა რაოდენობა და ტიპი, სადაც გამოიყენეს სადაც 31(2) მუხლითა და 32(2) მუხლის მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული გადაუდებელი პროცედურები, მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, სადაც ცენტრალური წვდომის პუნქტის შემდგომმა შემოწმებამ დაადგინა, რომ გადაუდებელი პროცედურის გამოყენება არ იყო დასაბუთებული.

ამ პარაგრაფში მითითებული სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის ამ პარაგრაფის პირველი ქვეპარაგრაფით გათვალისწინებული მონაცემების შესაგროვებლად წევრი სახელმწიფოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური უზრუნველყოფა. კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები ტექნიკური უზრუნველყოფის მახასიათებლებთან დაკავშირებით. აღნიშნული საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას 68(2) მუხლით განსაზღვრული გამოკვლევის პროცედურის შესაბამისად.

წევრი სახელმწიფოებისა და ევროპოლის ყოველწიური ანგარიშები კომისიას უნდა გადაეგზავნოს შემდგომი წლის 30 ივნისამდე.

მუხლი 73

ძალაში შესვლა და გამოყენების ფარგლები

ეს რეგულაცია ძალაში შევა მისი *ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

ამ რეგულაციის დებულებები ამოქმედდება კომისიის მიერ 66(1) მუხლის შესაბამისად დადგენილი თარიღიდან, გარდა ჩამოთვლილი დებულებებისა, რომლებიც 2017 წლის 29 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს: ამ რეგულაციის მე-5, 36-ე, 37-ე, 38-ე, 43-ე, 51-ე მუხლები; ამ რეგულაციის 61-ე მუხლის (5) პუნქტის ის ნაწილი, რომელიც მიემართება (EC) No 767/2008 რეგულაციის 17ა(5) პუნქტს; ამ რეგულაციის 61-ე მუხლის (10) პუნქტის ის ნაწილი, რომელიც მიემართება (EC) No 767/2008 რეგულაციის 26(3ა) მუხლს; ამ რეგულაციის 62-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე, 68-ე, 69-ე და 70-ე მუხლები და 72(2) მუხლი.

ეს რეგულაცია შესასრულებლად სავალდებულოა სრული მოცულობით და პირდაპირ გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიმართ, ხელშეკრულებების შესაბამისად.

შესრულებულია ბრიუსელში, 2017 წლის 30 ნოემბერს.

<i>ევროპის პარლამენტისთვის</i> <i>პრეზიდენტი</i> <i>ა. ტაჯანი</i>	<i>საბჭოსთვის</i> <i>პრეზიდენტი</i> <i>მ. მასიკასი</i>
---	--

(1) [OJ C 487, 28.12.2016, გვ. 66.](#)

(2) ევროპის პარლამენტის 2017 წლის 25 ოქტომბრის პოზიცია (ჯერ არ გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

(3) საბჭოს 2004 წლის 8 ივნისის 2004/512/EC გადაწყვეტილება სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) დაარსების შესახებ ([OJ L 213, 15.6.2004, გვ. 5.](#))

(4) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის (EC) No 1987/2006 რეგულაცია შენგენის მეორე თაობის საინფორმაციო სისტემის (SIS II) დაარსების, ფუნქციონირებისა და გამოყენების შესახებ ([OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4.](#))

(5) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის (EU) 2016/399 რეგულაცია ევროკავშირის კოდექსის მიღების თაობაზე, რომელიც შეეხება საზღვრებს შორის პირთა მოძრაობის მარეგულირებელ წესებს (შენგენის სასაზღვრო კოდექსი)([OJ L 77, 23.3.2016, გვ. 1.](#))

(6) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის რეგულაცია (EU) No 1077/2011 თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპული სააგენტოს დაარსების შესახებ ([OJ L 286, 1.11.2011, გვ. 1.](#))

(7) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) No 767/2008 რეგულაცია ვისის საინფორმაციო სისტემის (VIS) და წევრ სახელმწიფოებს შორის მოკლევადიან ვიზებთან დაკავშირებული მონაცემების მიმოცვლის შესახებ (VIS-ის რეგულაცია) ([OJ L 218, 13.8.2008, გვ. 60.](#))

(8) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 15 მარტის (EU) 2017/541 დირექტივა ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას და ცვლის საბჭოს 2005/671/JHA გადაწყვეტილებას ([OJ L 88, 31.3.2017, გვ. 6.](#))

(9) საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის 2002/584/JHA ჩარჩო გადაწყვეტილება დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის გადაცემის პროცედურების შესახებ ([OJ L 190, 18.7.2002, გვ. 1.](#));

(10) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის (EU) 2016/794 ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შესახებ, რომელიც ანაცვლებს და აუქმებს საბჭოს 2009/371/JHA, 2009/934/JHA, 2009/935/JHA, 2009/936/JHA და 2009/968/JHA გადაწყვეტილებებს ([OJ L 135, 24.5.2016, გვ. 53.](#))

(11) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის (EU) 2016/680 დირექტივა სისხლის სამართლის დანაშაულების აღკვეთის, გამოძიების, გამოვლენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან სისხლისსამართლებრივი სასჯელების აღსრულების მიზნებისთვის კომპეტენტური ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკური პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას ([OJ L 119, 4.5.2016, გვ. 89.](#))

(12) საბჭოს 2008 წლის 23 ივნისის 2008/615/JHA გადაწყვეტილება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ამოქმედების შესახებ, განსაკუთრებით, ტერორიზმთან და ტრანსსასაზღვრო დანაშაულებთან ბრძოლის საკითხებში (OJ L 210, 6.8.2008, გვ. 1).

(13) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/38/EC დირექტივა ევროკავშირის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრთა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ბინადრობის უფლების შესახებ, რომელიც ცვლის (EEC) No 1612/68 რეგულაციას და აუქმებს 64/221/EEC, 68/360/EEC, 72/194/EEC, 73/148/EEC, 75/34/EEC, 75/35/EEC, 90/364/EEC, 90/365/EEC და 93/96/EEC დირექტივებს (OJ L 158, 30.4.2004, გვ. 77).

(14) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია) (OJ L 119, 4.5.2016, გვ. 1).

(15) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის (EC) No 45/2001 რეგულაცია თანამეგობრობის დაწესებულებებისა და ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ (OJ L 8, 12.1.2001, გვ. 1).

(16) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 16 თებერვლის (EU) No 182/2011 რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს კომისიის მიერ საიმპლემენტაციო უფლებამოსილების გამოყენებისას წევრი სახელმწიფოების კონტროლის მექანიზმის წესებსა და ზოგად პრინციპებს. (OJ L 55, 28.2.2011, გვ. 13).

(17) OJ L 239, 22.9.2000, p. 19.

(18) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის (EU) No 515/2014 რეგულაცია, რომელიც, შიდა უშიშროების ფონდის ფარგლებში, აარსებს გარე საზღვრებისა და ვიზის მხარდაჭერ ფინანსურ ინსტრუმენტს და აუქმებს No 574/2007/EC გადაწყვეტილებას. (OJ L 150, 20.5.2014, p. 143).

(19) საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/365/EC გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნას, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის (Schengen *acquis*) ზოგიერთ დებულებაში (OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43).

(20) საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის 2002/192/EC გადაწყვეტილება ირლანდიის მოთხოვნის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის (Schengen *acquis*) ზოგიერთ დებულებაში (OJ L 64, 7.3.2002, p. 20).

(21) OJ L 176, 10.7.1999, p. 36.

(22) საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილება ევროპის კავშირის საბჭოს, ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, რომელიც შეეხება

აღნიშნული ორი სახელმწიფოს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საკითხებში (OJ L 176, 10.7.1999, p. 31).

(²³) OJ L 53, 27.2.2008, გვ. 52.

(²⁴) საბჭოს 2008 წლის 28 იანვრის 2008/146/EC გადაწყვეტილება ევროპული თანამეგობრობის სახელით ევროპის კავშირს, ევროპულ თანამეგობრობასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საკითხებში (OJ L 53, 27.2.2008, გვ. 1).

(²⁵) საბჭოს 2008 წლის 28 იანვრის 2008/146/EC გადაწყვეტილება ევროპული თანამეგობრობის სახელით ევროპის კავშირს, ევროპულ თანამეგობრობასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საკითხებში (OJ L 53, 27.2.2008, გვ. 50).

(²⁶) OJ L 160, 18.6.2011, p. 21.

(²⁷) საბჭოს 2011 წლის 7 მარტის 2011/350/EU გადაწყვეტილება ევროპის კავშირის სახელით ევროკავშირს, ევროპულ თანამეგობრობას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროს შორის გაფორმებული ოქმის ფარგლებში, რომელიც შეეხება ლიხტენშტაინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესში, რომელიც შეეხება შიდა საზღვრებზე შემოწმებების გაუქმებასა და ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებას (OJ L 160, 18.6.2011, p. 19).

(²⁸) საბჭოს 2011 წლის 7 მარტის 2011/350/EU გადაწყვეტილება ევროპის კავშირის სახელით ევროკავშირს, ევროპულ თანამეგობრობას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროს შორის გაფორმებული ოქმის ფარგლებში, რომელიც შეეხება ლიხტენშტაინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესში, რომელიც კერძოდ შეეხება სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობასა და საპოლიციო თანამშრომლობას (OJ L 160, 18.6.2011, გვ.1).

(²⁹) საბჭოს 2010 წლის 29 ივნისის 2010/365/EU გადაწყვეტილება შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დებულებების გამოყენების შესახებ, რომლებიც შეეხება შენგენის საერთაშორისო სისტემას ბულგარეთის რესპუბლიკასა და რუმინეთში (OJ L 166, 1.7.2010, გვ. 17).

(30) საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის (EU) 2017/733 გადაწყვეტილება შენგენის კანონმდებლობის (Schengen *acquis*) დებულებების გამოყენების შესახებ, რომლებიც შეეხება შენგენის საერთაშორისო სისტემას ხორვატიის რესპუბლიკაში (OJ L 108, 26.4.2017, გვ. 31).

(31) საბჭოს 2017 წლის 12 ოქტომბრის (EU) 2017/1908 გადაწყვეტილება შენგენის კანონმდებლობის (Schengen *acquis*) ზოგიერთი დებულების ამოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება ვიზის საინფორმაციო სისტემას ბულგარეთის რესპუბლიკასა და რუმინეთში (OJ L 269, 19.10.2017, გვ. 39).

(32) საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის (EC) No 1030/2002 რეგულაცია, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვების ერთიან ფორმატს (OJ L 157, 15.6.2002, გვ. 1).

(33) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის 2014/66/EU დირექტივა შიდაკორპორაციული ტრანსფერის ფარგლებში მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და ბინადრობის პირობების შესახებ (OJ L 157, 27.5.2014, გვ. 1).

(34) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის (EU) 2016/801 დირექტივა კვლევის, სწავლის, ტრენინგის, მოხალისეობის, მოსწავლეთა გაცვლითი სქემების ან საგანმანათლებლო პროექტებისა და “Au Pair” მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და ბინადრობის პირობების შესახებ (OJ L 132, 21.5.2016, გვ. 21).

(35) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2013/32/EU დირექტივა საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების საერთო პროცედურების შესახებ (OJ L 180, 29.6.2013, გვ. 60).

(36) საბჭოს 2004 წლის 19 თებერვლის (EC) No 377/2004 რეგულაცია საიმიგრაციო კავშირის ოფიცრების ქსელის შექმნის შესახებ (OJ L 64, 2.3.2004, p. 1).

(37) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის (EC) No 810/2009 რეგულაცია ვიზების შესახებ თანამეგობრობის კოდექსის (სავიზო კოდექსი) დამტკიცების თაობაზე (OJ L 243, 15.9.2009, გვ. 1).

(38) კომისიის 2008 წლის 17 ივნისის 2008/602/EC გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს განვითარების ფაზის განამვლობაში ეროვნული ინტერფეისებისა და VIS-ის ცენტრალურ და ეროვნულ ინტერფეისებს შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფიზიკურ არქიტექტურასა და მოთხოვნებს (OJ L 194, 23.7.2008, გვ. 3).

(39) საბჭოს 2003 წლის 14 აპრილის (EC) No 693/2003 რეგულაცია, რომლითაც მტკიცდება სპეციალური გამარტივებული სატრანზიტო დოკუმენტი (FTD), გამარტივებული სარკინიგზო სატრანზიტო დოკუმენტი (FRTD) და რომელიც ცვლის საერთო საკონსულო ინსტრუქტივასა და საერთო გზამკვლევს (OJ L 99, 17.4.2003, p. 8).

(40) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის 2008/115/EC დირექტივა წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნების საერთო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ (OJ L 348, 24.12.2008, გვ. 98).

(41) საბჭოს 2008 წლის 23 ივნისის 2008/633/JHA გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება წევრი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოებისა და ევროპოლის მიერ ვიზის საინფორმაციო სისტემის (VIS) გადამოწმებას ტერორისტული და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების აღკვეთის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნებისთვის ([OJ L 218, 13.8.2008, გვ. 129](#)).

(42) [OJ L 56, 4.3.1968, გვ. 1](#).

(43) საბჭოს 2013 წლის 7 ოქტომბრის რეგულაცია (EU) No 1053/2013, რომელიც აარსებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) გამოყენების შესამოწმებლად და აუქმებს აღმასრულებელი კომიტეტის 1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებას შენგენის შეფასებისა და დანერგვის მუდმივი კომიტეტის შექმნის შესახებ ([OJ L 295, 6.11.2013, გვ. 27](#)).

(44) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 14 სექტემბრის (EU) 2016/1624 რეგულაცია ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს შესახებ, რომელიც ცვლის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/399 რეგულაციას, აუქმებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 863/2007 რეგულაციას, საბჭოს (EC) No 2007/2004 რეგულაციასა და საბჭოს 2005/267/EC გადაწყვეტილებას ([OJ L 251, 16.9.2016, გვ. 1](#)).

(45) საბჭოს 2007 წლის 15 თებერვლის (EC) No 168/2007 რეგულაცია, რომელიც აარსებს ევროპის კავშირის სააგენტოს ძირითად უფლებათა შესახებ ([OJ L 53, 22.2.2007, გვ. 1](#)).

დანართი I

41(2) მუხლში მითითებული საერთაშორისო ორგანიზაციების სია

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციები (როგორცაა UNHCR);
2. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM);
3. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

დანართი II

სპეციალური დებულებები მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც საზღვარს კვეთენ მოქმედი FTD-ის საფუძველზე

(1) ამ რეგულაციის მე-16 მუხლის (1)-(3) პუნქტებიდან დეროგაციის სახით, მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, რომლებიც საზღვარს კვეთენ მოქმედი FTD-ის საფუძველზე, სასაზღვრო უწყებებმა უნდა:

(ა) შექმნან ან განაახლონ მათი პირადი საქმე, რომელიც შეიცავს ამ რეგულაციის 17(1) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემებს. გარდა ამისა, პირადი საქმე უნდა მიუთითებდეს, რომ მესამე ქვეყნის ეს მოქალაქე ფლობს FTD-ის. აღნიშნული მითითების შედეგად, შესვლა/გასვლის ჩანაწერში ავტომატურად უნდა იქნას შეტანილი ინფორმაცია, რომ FTD მრავალჯერადი შესვლის უფლებითაა გაცემული;

(ბ) მოქმედი FTD-ის საფუძველზე თითოეული შესვლისა, შესვლა/გასვლის ჩანაწერში შეყვანონ ამ რეგულაციის 16(2) მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები, ასევე, მითითება, რომ ინფორმაცია შეყვანილ იქნა მოქმედი FTD-ის საფუძველზე.

ტრანზიტის მაქსიმალური ხანგრძლივობის გამოთვლის მიზნებისთვის, შესვლის თარიღი და დრო მიჩნეულ უნდა იქნას ამ ვადის ათვლის დაწყების მომენტად. ნებადართული ტრანზიტის ამოწურვის თარიღი და დრო EES-ში ავტომატურად უნდა იქნას გამოთვლილი (EC) No 693/2003 რეგულაციის 3(2) მუხლის შესაბამისად.

(2) გარდა ამისა, FTD-ის საფუძველზე პირველი შესვლისას შესვლა/გასვლის ჩანაწერში შეყვანილ უნდა იქნას ინფორმაცია FTD-ის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღის შესახებ.

(3) FTD-ის მფლობელ მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე *mutatis mutandis* უნდა გავრცელდეს 16(3) და (4) მუხლები.

(4) იმ საზღვრებზე, სადაც ფუნქციონირებს EES და წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის შიგნით შემოწმების მიზნებისთვის, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მოქმედი FTD-ის საფუძველზე კვეთს საზღვარს, *mutatis mutandis* უნდა დაექვემდებაროს ამ რეგულაციის 23-ე და 26-ე და (EC) No 767/2008 რეგულაციის 19-ე მუხლით გათვალისწინებულ შემოწმებასა და იდენტიფიკაციას, რომელიც ვრცელდება ვიზისგან გათავისუფლებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე.

(5) მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომლებიც საზღვარს კვეთენ მოქმედი FTD-ის საფუძველზე, არ გამოიყენება (1)–(4) პუნქტები, თუ ისინი აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას:

(ა) ტრანზიტს ახორციელებენ მატარებლით; და

(ბ) არ ჩამოდიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.